ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო

მასწავლებლის წიგნი

6

ბლიო

ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო

VI კლასი

მასწავლებლის წიგნი

გამომცემლობა „კლიო“

ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო
VI კლასი
მასწავლებლის წიგნი

სერიის რედაქტორი ელენე მეძმარიაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2018
© ელენე მეძმარიაშვილი, ანა კუპრავა-გოგოლაძე, გიორგი ავთანდილაშვილი, 2018
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-25-3

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181-2,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

სარჩევი

1. სახელმძღვანელოების სერიის კონცეფცია 4

2. სახელმძღვანელოს სტრუქტურა 5

3. მეთოდური რეკომენდაციები 7

4. გაკვეთილის დაგეგმვა 12

5. V-VI კლასების სტანდარტი 17

6. შინაარსის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 21

7. შეფასება 25

8. საათობრივი განაწილება 26

9. შეფასების რუბრიკები 28

10. გაკვეთილის სცენარები და დამატებითი ინფორმაცია 33

11. შემაჯამებელი დავალებების –
    რა ვიცი და რა შემიძლია შეფასების რუბრიკები 72

12. დამატებითი ინსტრუმენტები 83

13. ტესტური დავალების ნიმუშები 85

14. რესურსები 87

1. სახელმძღვანელოების სერიის კონცეფცია

შესავალი

სახელმძღვანელო „ჩვენი საქართველო“ ითვალისწინებს დაწყებით V-VI კლასებში, საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტით გათვალისწინებული, ამავე სახელწოდების საგნის ფარგლებში, საქართველოს მხარეების გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და თანამედროვე მდგომარეობის ინტეგრირებულ შესწავლას.

მოსწავლის წიგნის ძირითადი მიზანია სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაღვივება საკუთარი ქვეყნის წარსულისა და აწმყოსადმი; შეასრულოს საინფორმაციო ფუნქცია ანუ მოსწავლეს მიაწოდოს გადამუშავებული, მოწესრიგებული, უახლეს მეცნიერულ მიღწევებსა და გამოკვლევებზე დაფუძნებული ცოდნა საქართველოს მხარეების გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. სახელმძღვანელო ინტერდისციპლინარულია. იგი დაუკავშირებს მხარის გეოგრაფიას ისტორიას, კულტურასა და ეთნოგრაფიას; მოსწავლეს საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში საკუთარი წვლილის შეტანის მოტივაციას გაუჩენს; მისი დახმარებით მოსწავლე ჩამოყალიბდება სამშობლოს მოყვარულ, მაღალი საზოგადოებრივი ცნობიერების მქონე მოქალაქედ.

მიზნები

სახლემძღვანელო „ჩვენი საქართველო“ მიზნად ისახავს მოსწავლეს:

- დაანახოს და შეაცნობინოს საკუთარი ქვეყანა სხვადასხვა მხრიდან.
- დაინტერესოს მისი წარსულითა და თანამედროვეობით.
- გააცნობიერებინოს, რომ საქართველოს მრავალფეროვნება მისი სიმდიდრეა.
- ჩამოუყალიბოს მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი მხარის და, ზოგადად, ქვეყნის მიმართ.
- დაეხმაროს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წევრად თავის აღქმაში, სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაში.
- განუვითაროს სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.
- განუვითაროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ვითარების შეფასებისა და ადეკვატურად მოქმედების უნარი.
- ჩამოუყალიბოს მოსწავლეს საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლისთვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევები.
- ჩამოუყალიბოს წყაროებზე, რუკებზე, სურათებზე, ილუსტრაციებზე, ცხრილებსა და დიაგრამებზე მუშაობის უნერ-ჩვევები.
- შეასრულოს აღმზრდელობითი ფუნქცია ანუ რეალიზაცია გაუკეთოს საქართველოს მხარეების გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და თანამედროვე მდგომარეობის სწავლების საგანმანათლებლო-აღმზრდელობით ამოცანებს,
- ხელი შეუწყოს მასწავლებლის პროფესიონალიზმის სრულყოფას სწავლებისა და სწავლის პოეცესში.
- განუვითაროს ისეთი ძირითადი უნარ-ჩვევები, როგორიცაა: სააზროვნო ოპერაციების დაუფლება, კომუნიკაცია, კვლევა, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, შემოქმედებითი აზროვნება, თვითმმართველობა.

სახელმძღვანელოს აკისრია შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

1. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ფუნქცია

- ცოდნის გადაცემის;
- უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების;
- ცოდნის განმტკიცების;
- ცოდნის შეფასების.

2. ყოველდღიურ და პროფესიულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ფუნქცია

- მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებისა და ინტეგრირების;
- რეფერენციის (შესაძლებელია, როგორც ცნობარის გამოყენება);
- სოციალური და კულტურული აღზრდის.

3. ფუნქცია, რომელიც განკუთვნილია მასწავლებლისათვის

- სამეცნიერო და ზოგადი ინფორმაციის მიწოდება;
- კვალიფიკაციის ამაღლება;
- სასწავლო პროცესში და გაკვეთილების ჩატარების დროს დამხმარის ფუნქცია.

2. სახელმძღვანელოს სტრუქტურა

VI კლასის სახელმძღვანელო „ჩვენი საქართველო“ შედგება რვა კარისა და 59 თავისგან. თითოეულ კარს ახლავს შემაჯამებელი გაკვეთილი „რა ვიცი და რა შემიძილია“, რომელიც ერთ ან ორ გაკვეთილზეა გათვლილი. ერთი თავი შეესაბამება ერთ გაკვეთილს, ე.ი. სასკოლო სახემძღვანელოში ერთ თავში მოცემული მასალა განკუთვნილია „ჩვენი საქართველოს“ ერთი გაკვეთილისათვის, ექვსი თავის გამოკლებით, რომლებიც ორ გაკვეთილს ითვალისწინებს. ამგვარად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა, რვა შემაჯამებელი გაკვეთილის გარდა, გათვალისწინებულია 68 გაკვეთილისთვის. შემაჯამებელი გაკვეთილები „რა ვიცი და რა შემიძლია“ მთლიანად სწავლების ინტერაქტიური მეთოდის გამოყენებას გულისხმობს.

სასწავლო პროგრამის მიხედვით, აღნიშნულ საგანს ეთმობა კვირაში სამი, ხოლო წელიწადში ასხუთი საათი. ამ 105 საათიდან დარჩენილი საათები არის სარეზერვო დრო, რომელიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შესავალი, განზოგადების და შემაჯამებელი განზოგადების გაკვეთილის, სასკოლო ლექციის, სემინარის, პრაქტიკუმის, ექსკურსიების, თეატრალური წარმოდგენების და ა.შ. ჩასატარებლად.

თითოეული თავი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. საკვანძო კითხვა; 2. ტექსტი; 3. სამუშაო ნაწილი: კითხვები და დავალებები.

1. საკვანძო კითხვა. მასში დასმულია მთავარი შეკითხვა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ყურადღების კონცენტრირებას და დაინტერესებას თავში მოცემული პრობლემითა და საკითხით.

2. ტექსტი. ტექსტის მიზანია: პასუხი გაეცეს „საკვანძო კითხვას“. ტექსტის ძირითადი კომპონენტებია: ა) ავტორის ტექსტი; ბ) წყაროები (მათზე დართული შეკითხვები და სავარჯიშოები); გ) თვალსაჩინოებები: ილუსტრაციები, რუკები, ცხრილები, სქემები, დიაგრამები და ა.შ. (მათზე დართული შეკითხვები და სავარჯიშოები).

წყაროები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: 1. თემატურად გაღრმავებული ნაწილი. მასში წინ წამოწეულია ავტორის ტექსტში მოკლედ გადმოცემული საკითხები; 2. კონტრასტული ნაწილი. მასში არის ისეთი საკითხები და მოვლენები, რომლებსაც არ ექცევა ყურადღება ავტორის ტექსტში; 3. ბიოგრაფიული და სოციალურ-ბიოგრაფიული. მათი დანიშნულებაა წარმართოს მოსწავლის ყურადღება პიროვნების მიმართ ისე, რომ წინ არ წამოიწიოს ისტორიის პერსონიფიკაციის პრინციპმა და მიღწეულ იქნას შემდეგი მიზანი: ინტერესი ისტორიისადმი, გეოგრაფიისადმი, ინტერესი პიროვნებისადმი, ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისადმი.

წყაროები, ფოტოები, სურათები, რუკები, ცხრილები და ა.შ. ერთგვარად „აორმაგებს“ ავტორის ტექსტში მოცემულ ინფორმაციას და ხელს უწყობს ტექსტის უკეთ გაგებას. ზემოთ აღნიშნული თვალსაჩინოებების მეშვეობით, შესაძლებელია ტექსტის გამეორება ვიზუალური „თარგმანის“ გზით და ტექსტში წამოჭრილი საკითხების შევსება და დამატება სულ სხვა, ვიზუალური ფორმით.

სახელმძღვანელოში მოცემული წყაროები და თვალსაჩინოება, რომელიც წყაროს სახით არის მოცემული, უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი სამუშაო ნაწილი, რომლის „ამოხსნა“, „წაკითხვა“ და გამოყენება მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა ასწავლოს. უშუალო რეკომენდაციები და რჩევები სახელმძღვანელოს წყაროებსა და თვალსაჩინოებებზე მუშაობისათვის მოცემულია მასწავლებლის წიგნში.

გაკვეთილის შემადგენელი ნაწილია რუბრიკა „გაიგე მეტი“. რუბრიკა მიზნად ისახავს გაკვეთილის თემის გაღრმავებას. იგი ძირითადი ტექსტისგან გამოყოფილია და ოთხი სახის არის: საინტერესო ინფორმაცია, ისტორიის ფურცლები, პიროვნება ისტორიაში, მითები და ლეგენდები და განსხვავდება ლოგოს ფერით. მას ასევე დართული აქვს კითხვები და დავალებები და ძირითადი ტექსტის ნაწილია.

გაკვეთილს ერთვის ლექსიკონი, რომელშიც ტექსტში მოცემული უცხო სიტყვაა ახსნილი.

ყოველი კარის ბოლოს არის შემაჯამებელი გაკვეთილი „რა ვიცი და რა შემიძლია“, რომლის დავალებები აჯამებს და აღრმავებს არა მარტო კარის გაკვეთილებით მიღებულ თეორიულ ცოდნას, არამედ მოსწავლის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. შემაჯამებელი გაკვეთილის სათაურიც ამას უსვამს ხაზს.

ტექსტის შინაარსის არჩევისა და აგების განმსაზღვრელი კრიტერიუმი იყო **წამყვანი თემები.** წამყვან თემებში იგულისხმება ის კატეგორიები, რომლებიც სცილდება დროისა და სივრცის ჩარჩოებს და მოიცავს გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების ძირითად ტენდენციებსა და პროცესებს. სწორედ ამ წამყვანი თემების მეშვეობით ხდება საკითხისა და პრობლემის დასმა. ისინი წარმოადგენს ერთგვარ საყრდენს, საფუძველს, რომელზეც ტექსტი იგება.

ასეთი წამყვანი თემებია: **საქართველოს მხარეები: ქართლი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, სამეგრელო, აჭარა, იმერეთი, კახეთი, გურია, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, სამცხე-ჯავახეთი; ასევე, საქართველოს დედაქალაქი – თბილისი და სახელმწიფო – ჩვენი საქართველო.**

მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში შესულია ექვსი მხარე: კახეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, ასევე, თბილისი და სახემლწიფო – ჩვენი საქართველო. ორივე კლასის სახელმძღვანელოს თითოეულ ნაწილს პირველივე გვერდებზე წამძღვარებული აქვს საქართველოს ფიზიკური რუკა და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა.

წამყვანი თემები აადვილებს საკვლევი საკითხებისა და სფეროების გამოყოფას და, ამავე დროს, ქმნის ერთგვარ ჩარჩოს, რომელიც აკონტროლებს და ზღუდავს მასალის სიუხვეს. წამყვანი თემები საგნების ინტეგრირების საუკეთესო საშუალებას იძლევა.

ტექსტის ენა მარტივია, სტილი – თხრობით-აღწერითი, არ არის გადატვირთული უცხო სიტყვებით.

3. სამუშაო ნაწილი: კითხვები და დავალებები. სახელმძღვანელოს ამ ნაწილის მიზანია მოცემული თავის შესწავლის შედეგად შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება. ისინი აქტიურ სასწავლო პროცესზეა ორიენტირებული და მოითხოვს მუშაობის მრავალფეროვნებას. მაგალითად, სავარჯიშოები არის შემდეგი ტიპის: მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება, ანალიზი და ინტერპრეტაცია; რუკების, ცხრილებისა და დიაგრამების შედგენა, წაკითხვა და ინფორმაციის გამოყენება; დროში და სივრცეში ორიენტირება; ილუსტრაციებისა და ფოტოების „წაკითხვა“ და მათგან ინფორმაციის ამოღება; გამოკითხვის ჩატარება; მცირე ზომის ნაშრომის დაწერა; დისკისიისა და დიალოგის წარმართვა; ე.წ. სხვადასხვა ტიპის „ჰენდაუთებზე“ მუშაობა; თამაში როლების განაწილებით (ინსცენირება); ხატვა, ხაზვა და ა. შ.

სამუშაო ნაწილი გამიზნულია ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოს ტექსტისა და სამუშაო ნაწილის ერთმანეთთან შესაბამისობას. სამუშაო ნაწილში, ძირითადად, არ არის შეკითხვა, რომელზე პასუხიც ტექსტში არ მოიძებნება. სამუშაო ნაწილში არის ისეთი შეკითხვებიც, რომლებზეც მოსწავლემ პასუხი საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით უნდა გასცეს; არის აღწერითი ხასიათის შეკითხვებიც, ზოგი კი მოსწავლის ფანტაზიაზეა გათვლილი.

სამუშაო ნაწილი ხელს უწყობს უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროპორციის დაცვას. სახელმძღვანელოში არის პროპორცია: ა) ინფორმაციას, სავარჯიშოებსა და პრაქტიკულ დავალებებს შორის; ბ) ინფორმაციასა და უნარ-ჩვევებს შორის.

3. სასწავლო მასალის თემატური განაწილება, სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

სახელმძღვანელოს შინაარსი შემუშავდა სასწავლო პროგრამაზე დაყრდნობით და ახალი სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. თავების სათაურები პასუხობს პროგრამაში შესულ სასწავლო თემებს. საგნების ინტეგრირების მიზნით, სახელმძღვანელო შეიცავს განსხვავებული საგნების მაკავშირებელ თემებს.

სახელმძღვანელოს ყველა ძირითადი კონპონენტი ხელს უწყობს მასალის ათვისებას და საინტერესო, სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ჩატარებას. ამიტომ, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, მიაღწიოს მათ ინტეგრირებას სამუშაო პროცესში – გაკვეთილზე. სასურველია, მასწავლებელმა დაამუშაოს და გაკვეთილზე გამოიყენოს სახელმძღვანელოს ყველა კომპონენტი. ამაში პედაგოგს დაეხმარება მასწავლებლის წიგნი. სახელმძღვანელოს ყველა კონპონენტი ორიენტირებულია მოსწავლეზე და ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

მასწავლებლის წიგნის მიზანია:

1. დაეხმაროს მასწავლებელს თითოეული გაკვეთილის მომზადებასა და ჩატარებაში;
2. მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია;
3. ხელი შეუწყოს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას.

5. სასწავლო მასალის წარდგენის ფაზების ახსნა-განმარტება

როგორ უნდა მოემზადოს მასწავლებელი გაკვეთილისთვის?

ყოველი გაკვეთილისთვის მასწავლებელი გულდასმით უნდა მოემზადოს, კერძოდ:

- დაგეგმოს გაკვეთილი, შეადგინოს მისი სცენარი,
- განსაზღვროს, რა სასწავლო რესურსები დასჭირდება ამ გაკვეთილისთვის და
- დროში როგორ გაანაწილებს თითოეულ აქტივობას.

3. მეთოდური რეკომენდაციები

სწავლა/სწავლების ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება. შესაბამისად, სასურველია, რომ სწავლების მეთოდიკაც მოსწავლეზე ორიენტირებული, ანუ ინტერაქტიური იყოს. ინტერაქტიური მეთოდიკა ორიენტირებულია მოსწავლეზე, რომელიც სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურაა და აქტიურად მონაწილეობს ყველა სასწავლო მოქმედებაში – მოიპოვებს და იყენებს მისთვის ახალ ცოდნას.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სანიმუშო გაკვეთილები, ძირითადად, აქტიური და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით არის აგებული. ქვემოთ მასწავლებლებს ვთავაზობთ მეთოდების დეტალურ აღწერას, რათა უფრო ეფექტიანად შეძლონ მათი გამოყენება.

I. გონებრივი იერიში

„გონებრივი იერიში“ ერთ-ერთი ინტერაქტიური მეთოდია. მისი მიზანია პრობლემის გადაჭრა მთელი კლასის მონაწილეობით, იდეათა თავისუფალი გამოთქმის გზით. გონებრივი იერიში ხელს უწყობს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მოსწავლეები სწავლობენ სხვის მოსმენას. გონებრივი იერიში შეიძლება ჩატარდეს დამოუკიდებლად ან წარმოადგენდეს სხვა სავარჯიშოს ნაწილს. მასწავლებელი წინასწარ არჩევს პრობლემას და შეკითხვის სახით მკაფიოდ ჩამოაყალიბებს მას. ამის შემდეგ იწყება გონებრივი იერიშის პირველი ეტაპი, რომელსაც იდეათა გენერაციის (დაგროვების) ეტაპი ეწოდება. ამ დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:

1. მონაწილეთა მიერ მოსაზრებების გამოთქმის დროს დაუშვებელია მოსაზრებათა კრიტიკა, კამათი ან შეფასება;
2. მონაწილენი იდეებს გამოთქვამენ ნებაყოფლობით და არა – მასწავლებლის სურვილისამებრ;
3. თითო მოსწავლემ შეიძლება გამოთქვას ერთი ან რამდენიმე მოსაზრება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ორიგინალური, ასევე სხვისი იდეის გამეორება;
4. ყველა იდეა უნდა დაფიქსირდეს (დაიწეროს) დაფაზე (ყველაზე მიუღებელიც კი);
5. როდესაც იდეათა გამოთქმის სიხშირე დაიკლებს, მასწავლებელი კიდევ ერთხელ აძლევს მოსწავლეებს დაფიქრების საშუალებას;
6. დრო შეიძლება წინასწარ განისაზღვროს ან მასწავლებელმა შეწყვიტოს იდეათა გენერაციის პროცესი საჭიროებისამებრ.

მეორე ანუ იდეათა შეფასების ეტაპზე:

1. ხდება გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა;
2. თუ რამდენიმე მოსაზრება მსგავსია, ამ შემთხვევაში ხდება მათი განზოგადება-გაერთიანება;
3. მოსწავლეებს ვთხოვთ, განზოგადებული იდეებიდან ამოარჩიონ 2-3 იდეა, რომელიც მათი აზრით ყველაზე ღირებულია; დაალაგონ ისინი მნიშვნელობის მიხედვით (ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა იწერება პირველი და ა.შ.).
4. საბოლოოდ გამოიყოფა ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები, რომლებიც დასმული პრობლემების გადაწყვეტისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

გონებრივი იერიშის გამოყენება ხელს უწყობს არა მარტო შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, არამედ მოსწავლეს უყალიბებს განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლობას და პატივისცემას, უვითარებს თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.

II. საკლასო დისკუსია

დისკუსია საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც სტიმულს აძლევს მოსწავლეთა ინიციატივას, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას.

დისკუსიის დროს ხდება:

– მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა – ერთი და იმავე საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომების ძიება – სხვადასხვა თვალსაზრისების (ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი) თანაარსებობა – საერთო აზრის ან გადაწყვეტილების მისაღებად ჯგუფური შეთანხმების ძიება.

დისკუსიის მეთოდით სწავლება, ტრადიციული მეთოდით სწავლებისგან განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა, დავინახოთ, რომ ყოველი მტკიცება მრავალ სათუო მხარეს შეიცავს და დასკვნის გაკეთება უამრავი გზით არის შესაძლებელი.

იმისათვის, რომ კლასში ღია დისკუსია ჩატარდეს, საჭიროა კლასში ურთიერთპატივისცემისა და ნდობის გარემო იყოს შექმნილი. „უსაფრთხო“ გარემოს შექმნა კი მასწავლებლის მიერ წინასწარი სამუშაოს ჩატარებას გულისხმობს, რომლის მიზანია კლასში სადისკუსიო ქცევის წესებისა და ურთიერთობის ნორმების ჩამოყალიბება. განსაკუთრებით ეფექტურია იგი დაწყებით კლასებში, როდესაც ყალიბდება ქცევის სტანდარტები.

დისკუსიის წესების სწავლა და ამ მეთოდის ხშირი გამოყენება ხელს უწყობს არაერთი უნარჩვევის ჩამოყალიბებას, როგორიცაა:

– სხვისი აქტიური მოსმენა – საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტაცია– მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და სხვისი ნააზრევის შეფასება.

საბოლოოდ კი ყალიბდება სხვისი, თუნდაც, განსხვავებული აზრისადმი პატივისცემა და შემწყნარებლური დამოკიდებულება, რაც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქისთვის. იმისათვის, რომ დისკუსია ჩავატაროთ, საჭიროა:

– კითხვის დასმა, პრობლემის წარმოდგენა ან კონკრეტული შემთხვევის აღწერა – დისკუსიის წესების დაცვა – მოსწავლეთა წახალისება, მხარდაჭერა.

ჩვენი სახელმძღვანელოთი ჩატარებული თითქმის ყველა გაკვეთილი ითვალისწინებს საკლასო დისკუსიას.

„მრგვალი მაგიდა“ – მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4-5 კაცი) ახდენს აზრთა ურთიერთგაცვლას ერთმანეთთან და კლასთან.

„ფორუმი“ – მთელი კლასი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას თანაბარ საწყისებზე.

„დებატები“ – აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ ჯგუფიდან. კამათის დროს მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგრიგობით.

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეაჯერებს და მოსწავლეებთან ერთად გაიმეორებს მიღებულ დასკვნებს. საუკეთესო შემთხვევაში დასკვნები თავად მონაწილეებმა უნდა დააფიქსირონ.

საკლასო დისკუსია შეიძლება მოეწყოს მასწავლებელსა და კლასს ან თავად მოსწავლეთა ჯგუფებს შორის.

საკლასო დისკუსიის მოწყობა ემსახურება რამდენიმე მიზანს ერთდროულად:

- მოსწავლეთა გააქტიურებას
- მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას
- სასწავლო მასალის ათვისების ხელისშეწყობას
- მოსწავლეთა კომუნიკაციის უნარის განვითარებას.
- დისკუსია შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც განვლილ, ასევე, ახალ მასალას.
- სასურველია, თუ გამოვიყენებთ პრეზენტაციის შემდეგ, რომელიც შემოგვთავაზა მოსწავლემ ან მასწავლებელმა.
- დისკუსიის სწორად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია კლასში მერხების განლაგება. სასურველია მერხების წრიული ან ოთხკუთხა განლაგება.

დისკუსიის წარმართვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- დისკუსია ფოკუსირებული უნდა იყოს კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე – მასწავლებელმა ნათლად უნდა განმარტოს და ჩამოწეროს დაფაზე დისკუსიის მიზნები.
- უნდა შევიმუშაოთ დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, დროის განაწილება, რეგლამენტი).

- გზადაგზა უნდა მოვახდინოთ რეაგირება მოსწავლეთა გამონათქვამებსა და იდეებზე, ეს დაეხმარება ბავშვს საკუთარი ნათქვამის გააზრებასა და აღქმაში.
- წარმატებული დისკუსიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ერთმანეთის აზრს პატივს სცემდნენ.
- დისკუსიის ბოლოს აუცილებელია მოეწყოს ერთგვარი შეჯამება, გაანალიზება, საკითხების ჩამოთვლა, რომელიც დისკუსიის დროს წინ წამოიწია, პროცესის შეფასება, რა გაკეთდა და როგორ გაკეთდა. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რა არის შემდეგისთვის გამოსასწორებელი.

დისკუსია ხელს უწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლმის გადაწყვეტის უნარის განვითარებას. ავარჯიშებს მოსწავლეებს აზრების ზეპირად, მწყობრად გამოხატვასა და დასკვნების გამოტანაში, სადავო საკითხების გადაჭრასა და ალტერნატიული გადაწყვეტილებეების მოძებნაში. დისკუსიებში მოსწავლეებს მოეთხოვებათ არგუმენტირებული მსჯელობა, გადაწყვეტილებების მიღება, დისკუსიის წესების დაცვა. დისკუსიის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ჯგუფს განსახილველი საკითხის შესახებ ცოდნის გამომჟღავნებასა და პრობლემის გადაწყვეტისათვის ამ ცოდნის გამოყენებაში.დისკუსია პასუხების განუსაზღვრელ რაოდენობას წარმოშობს და არ მოითხოვს ერთადერთ დასკვნას. როდესაც დასმულ კითხვას მომდევნო შეკითხვა მოსდევს, როდესაც მოსწავლე გონებაში ატრიალებს მისთვის საინტერესო თემას და ცდილობს, პასუხები იპოვოს, ცნობისმოყვარეობა პოზიტიურ ინტელექტუალურ ძალად ყალიბდება. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა ის ხარვეზები, რომელიც ამ მეთოდის გამოყენებას ახლავს. კერძოდ, უჭირთ წესების დაცვა, გულმოდგინედ ყველა აზრის მოსმენა, რაც იწვევს ხმაურს და ყველა მოსწავლეს არ ეძლევა საშუალება აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.

III. სიუჟეტურ-როლებიანი თამაში

თამაში ადამიანის, და განსაკუთრებით, ბავშვის ქცევის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. თამაში სწავლების მიზნით – ესაა შესაძლო რეალობის ჯგუფური გამოკვლევის საშუალება და ამ გზით სოციალური გამოცდილების მიღება.

გერმანელი ფსიქოლოგი ბიულერი თვლიდა, რომ თამაში არის საქმიანობა, რომლის განხორციელებას საფუძვლად ფუნქციური სიამოვნების მიღება უდევს. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება განვმარტოთ, რომ თამაში – ესაა შესაძლო სინამდვილის ჯგუფური და დიალოგური გამოკვლევის მეთოდი. სათამაშო აქტივობას მართლაც სხვადასხვა სახის სიამოვნება უდევს საფუძვლად, კერძოდ:

1. პარტნიორებთან უშუალო კონტაქტის სიამოვნება;
2. სათამაშო სიტუაციების შედეგების სწრაფად გარკვევის სიამოვნება;
3. შეჯიბრისგან მიღებული სიამოვნება;
4. საკუთარი თავისა და შესაძლებლობების დემონსტრირებით მიღებული სიამოვნება;
5. როლში „შესვლის“ სიამოვნება და ა.შ.

სიუჟეტური თამაში – ეს არის გაკვეთილზე გათამაშებული მცირე დადგმა, სპექტაკლი, რომლის მიზანია ბავშვისთვის უცნობი და უჩვეულო მოვლენების გაცოცხლება, მათი გათამაშების გზით.

მასწავლებელი არჩევს გაკვეთილზე განსახილველ (შესასწავლ) თემას და ადგენს სიუჟეტს. შემდეგ ბავშვებთან ერთად ანაწილებს როლებს და მსჯელობს იმაზე, თუ როგორ განხორციელდეს საბავშვო წარმოდგენა. წარმოდგენის მსვლელობისას, მასწავლებელმა შეიძლება შეაჩეროს ბავშვები და დაუსვას მათ კითხვები (მაგალითად, წარმოდგენის გაუმჯობესების მიზნით). თამაშის დამთავრების შემდეგ ხდება მისი გარჩევა მთელი კლასის მიერ.

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ბავშვს, უკეთ გაიგოს მისთვის უცნობი მოვლენები, თამამად გამოხატოს თავისი გრძნობები და აზრები, იგრძნოს თავი ჯგუფის წევრად, ითანამშრომლოს სხვა ბავშვებთან (ანუ მიიღოს მონაწილეობა) და ა.შ. ამასთანავე, თამაშით მიიღწევა ბავშვის სოციალიზაცია (საზოგადოებაში არსებული სოციალური გამოცდილების ათვისება და მიღება).

1. სიმულაციისა და როლური თამაშების გამოყენება ახალისებს სასწავლო პროცესს და უფრო საინტერესოს ხდის მას მოსწავლისათვის.
2. სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციის შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია.

3. სიმულაცია არის მოდელი იმისა, რაც არსებობს ან შეიძლება, არსებობდეს. ერთი სიტყვით, სიმულაცია რეალობის გათამაშებაა.

4. სიმულაცია შეიძლება გათამაშდეს ადამიანის მონაწილეობით და კომპიუტერის მეშვეობით.

6. სიმულაციას ადამიანის მონაწილეობით როლური თამაში ეწოდება.

7. სასურველია, ეს სტრატეგია გამოვიყენოთ რთული თემის დამუშავებისას.

8. თამაშისაგან განსხვავებით, სიმულაციას არ სჭირდება გამარჯვებული.

9. როლური თამაში 3 ძირითადი ნაწილისგან შედგება: სიტუაცია, როლური თამაში, საკლასო დისკუსია.

როლური თამაშები ხელს უწყობს:

- საკითხის ღრმა წვდომას მის ემოციურ დონეზე გათავისებას (როლური თამაშით მოსწავლე ხდება სხვა ინდივიდი, უკეთესად წვდება იმ ადამიანის ხასაითსა და მოტივაციას, ვის როლსაც განასახიერებს)
- საკითხის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებასინფორმაციის შეფასებასა და ორგანიზებასსასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართვას და მოტივაციის ამაღლებასმოსწავლის კომუნიკაციის დონის ამაღლებასანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებასემპათიის (თანაგანცდის) განვითარებას.

10. სიმულაციის ორგანიზებისთვის საჭიროა, მასწავლებელმა:

- წაახალისოს მოსწავლეები იმპროვიზაციისთვისმოამზადებინოს მოსწავლეებს სცენარი ან მოქმედების რამე მარტივი მონახაზი გადაანაწილოს როლებიდადგმის არსი და მიზანი ჩამოაყალიბოს (სასურველია, წერილობით) შეძლებისდაგვარად, დაამზადებინოს მოსწავლეებს მარტივი დეკორაციები, თვითნაკეთი რესურსები, მარტივი კოსტიუმები.

11. გარდა დადებითი ეფექტებისა, გასათვალისწინებელია რამდენიმე სირთულე, რომელიც როლური თამაშების გამართვის შემთხვევაში წარმოიშობა:

- როლური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან კარგად განვითარებულ წარმოსახვის უნარს მოითხოვს!
- როლური თამაშების დროს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს ზედმეტად არაფორმალური დამოკიდებულება, რაც შემდგომში გაკვეთილის მართვის პროცესს ხელს შეუშლის.

12. როლური თამაშების დასრულების შემდეგ ეტაპზე, სასურველია, ჩატარებული სამუშაოს განხილვა და შეფასება. ამისთვის კი მიზანშეწონილია საკლასო დისკუსიის გამოყენება.

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავცელებული მეთოდია. საკლასო დისკუსიიის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში , ხელს უწყობს მათი სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას.

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდიდან გამოიყენება ე. წ. **ჯიგსოუს მეთოდი**. ეს მეთოდი ეფექტურია განსაკუთრებით დიდი მოცულობის თემების შესწავლის დროს. ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ეს მეთოდი წარმატებით მუშაობს. მოსწავლეებს შეუძლიათ ცალკეული თემების დამუშავება ძირითადი ჯგუფების შიგნით, ექსპერტთა ჯგუფებში ხდება თემის ნაწილების გაღრმავება, თემის ნაწილები ისევ გადაეცემა ძირითად ჯგუფებს და მოწმდება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნა. ამ მეთოდის გამოყენებით ცხადი ხდება, რომ მოსწავლეებს უვითარდებათ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური პასუხისმგებლობის გრძნობა, ასევე კომუნიკაციის უნარები. ამასთან დაკვირვების შედეგად იკვეთება, რომ შედარებით სუსტ მოსწავლეებს უჭირთ თემის ნაწილის დამოუკიდებლად დამუშავება და ეს გარკვეულწილად დამაბრკოლებელი გარემოება შეიძლება აღმოჩნდა მათთვის ინდივიდუალური მიღწევის შესაფასებლად და მეთოდის გამოყენებას სჭირდება დიდი დრო.

პრეზენტაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდა. საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსწავლეები კლასის წინაშე მუდმივად უნდა წარდგნენ მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი კვლევის შედეგებით, რაც არ ხდება მხოლოდ ერთი დისციპლინის ფარგლებში. პრეზენტაციის უნარის ქონა წინაპირობაა არა მხოლოდ სკოლაში მაღალი შეფასების მიღების, არამედ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისაც. ეს მეთოდი საინტერესო სახალისო და მოთხოვნადია განსაკუთრებით დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის, თუმცა იკვეთება, რომ

მოსწავლეებს უჭირთ არავერბალური კომუნიკაციის ელემენტების გათვალისწინება, დროის ლიმიტიის დაცვა, თემისათვის შესაბამისი საინტერესო მასალების გამოყენება.

მინი ლექციახშირად გამოყენებულ მეთოდია. ეს არის საშუალება, დროის მცირე მონაკვეთში მოსწავლეებს გადავცეთ საჭირო ინფორმაცია. მაგრამ ეს მეთოდი მოსწავლეებს უმეტესად ცოდნას ძენს (რაც აუცილებელია) და ნაკლებად იძლევა უნარების განვითარების საშუალებას. ამ დროს რთულია აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება და გართულებულია შეფასება ლექციის პროცესში.

ზემოთაღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს ზოგადი უნარების განვითარებას. კერძოდ: ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, შემოქმედებითი და კრეატიული აზროვნება, კომუნიკაცია, კვლევა, სწავლის უნარი, თანამშრომლობა. მაგრამ ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა სპეციფიკური უნარების განვითარებაც. რასაც ხელს უწყობს დისკუსია და დებატები.

დებატები არის ერთ-ერთი საუკეთესო აქტივობა, რომელსაც შეუძლია, გაახალისოს, უფრო შემოქმედებითი გახადოს სასწავლო პროცესი. ის ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პრეზენტაციის ძალზე მნიშვნელოვანი უნარების გაუმჯობესება-განვითარებას. კიდევ შეიძლება ჩამოვთვალოთ კოგნიტური და შემეცნებითი უნარები, რომლებსაც მოსწავლეები დებატების მეშვეობით განივითარებენ: აბსტრაქტული აზროვნება, მოქალაქეობის გრძნობა, ეტიკეტის გაცნობიერება და დაცვა, თვითორგანიზება, საკუთარი თავის რწმენა, საჯარო მეტყველების კულტურა, კვლევა, გუნდური მუშაობა. და ეს სრული ჩამონათვალი არ არის. ჩვენი თვალსაზრისით, დებატები ისტორიის მასწავლებელმა შეიძლება საკმაოდ ხშირად გამოიყენოს, რადგან ისტორიის გაკვეთილებისთვის მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად, დებატები ისტორიის გააზრების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. იგი ეხმარება ისტორიის მასწავლებელს საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში, ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას, უფრო საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. დებატები შეესაბამება ისტორიის სწავლების თანამედროვე მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია არა ფაქტებისა და თარიღების დამახსოვრებაზე, არამედ ისტორიული პროცესების გაანალიზებასა და შეფასებაზე, ისტორიული პირებისა და მოვლენების სხვადასხვა რაკურსით დანახვაზე.

დებატების გამართვის თავდაპირველ ეტაპზე სასურველია მათში მონაწილეობის უფლების სადავეები ხელში ჰქონდეთ ძირითადად აქტიურ მოსწავლეებს. ამიტომ გამოვიყენეთ „სამი ბარათის“ სტრატეგია. ამ სტრატეგიის მიხედვით, მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს დებატების დაწყებამდე აძლევს სამ ბარათს, რომლებზეც წერია სიტყვები „შეკითხვა ან კომენტარი“. თუ მოსწავლეს დისკუსიაში ჩართვის სურვილი ექნება, ასწევს ბარათს, ხოლო მას შემდეგ, რაც დასვამს კითხვას ან გააკეთებს კომენტარს, ბარათს გვერდზე გადადებს და ჩააბრუნებს. მას სამჯერ ექნება დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობა. ამრიგად, ეს სტრატეგია აიძულებს მოსწავლეს, კარგად დაფიქრდეს და მერე ჩაერთოს დისკუსიაში. ეს განსაკუთრებით ეხება აქტიურ მოსწავლეებს. ისინი ეცდებიან გაიაზრონ, ღირს ბარათის «დაკარგვა» იმ კომენტარად, რომლის გაკეთებასაც აპირებენ, თუ ის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული კომენტარისთვის შემოინახონ. სამივე ბარათის გამოყენების შემდეგ მოსწავლე ეთიშება დისკუსიას, სანამ ყველა მონაწილე არ გამოიყენებს თავის ბარათებს.

ჩვენს მიერ განხილული მეთოდები ერთმნიშვნელოვნად სასრგებლოა და ავითარებს, როგორც ზოგად, ისე სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს. მაგრამ დაკვირვების დროს აღმოჩნდა, რომ ზეპირ მეტყველებასთან დაკავშირებული ეს მეთოდები არ იძლევა საშუალებას ყველა მოსწავლე ერთნაირი აქტივობით იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში. შეიძლება, რომ ყველა მოსწავლემ ვერ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, ზოგმა თავი შეიკავა, ზოგს არ ეყო დრო ისე გამოეთქვა თავისი აზრი, როგორც სურდა. ამასთან ზეპირ მეტყველებასთან დაკავშირებული მეთოდების გამოყენება ვერ გახდება იმის საწინდარი, რომ ბოლომდე გაიაზრეს წაკითხული ტექსტი, სიღრმისეულად ჩასწვდნენ საკითხის არსს. სწორედ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების საშუალებას გვაძლევს წერითი დავალებები. წერითი დავალების დროს მოსწავლე ინდივიდუალურად, მშვიდ ვითარებაში მუშაობს. ცდილობს, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს და არგუმენტებით გაამყაროს თავისი მოსაზრება. ამ დროს მას არ უხდება თავისი აზრის მართებულობაში სხვების დარწმუნება, არც განსხვავებული მოსაზრებისთვის ანგარიშის გაწევა და კომპრომისი. სამაგიეროდ, მოსწავლეს ისტორიული კონტექსტის საფუძვლიანად გააზრება მოეთხოვება.

4. გაკვეთილის დაგეგმვა

როგორ დავგეგმოთ გაკვეთილი?

სანამ გაკვეთილის დაგეგმვაზე მუშაობას დაიწყებთ, მოძებნეთ სტანდარტში ის შედეგები და ინდიკატორები, რომელზეც მოცემული თემა, კონკრეტული გაკვეთილი გადის (იხ. მიზნების რუკა) და დაუსვით საკუთარ თავს ორი კითხვა:

1. როგორ მივაღწიო სასურველ შედეგს?

2. როგორ გავიგო, მიღწეულია თუ არა იგი?

გაკვეთილი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ სასწავლო მასალის ათვისება, ძირითადად, კლასში (სასწავლო პროცესში) მოხდეს, საშინაო დავალებები კი მოსწავლეებს მცირე რაოდენობით უნდა მიეცეს, რათა შეძლონ სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცება და გამეორება.

გაკვეთილის ჩასატარებლად ჩვენ გთავაზობთ, გამოიყენოთ გაკვეთილის სამფაზიან მოდელს.

როგორია გაკვეთილის ABC მოდელი?

იგი შედგება სამი ფაზისაგან (A, B C) და სახელწოდებაც სწორედ აქედან მომდინარეობს.

A ფაზაში ხდება მოსწავლეთა პროვოცირება და ინტერესის გაღვიძება შესასწავლი საკითხისადმი.

მოსწავლეები იხსენებენ იმას, რაც უკვე იციან (ან სმენიათ) ამ საკითხის შესახებ.

ამავე ფაზაში ხდება მოსწავლეთა მოტივაცია და მათი გააქტიურება. მოსწავლეთა გააქტიურება იმას ნიშნავს, რომ მათ თავად უნდა იაზროვნონ, ჩაერთონ დისკუსიაში, იმსჯელონ და დასვან კითხვები. კვლევა და შემეცნება იწყება იქ, სადაც შეკითხვები ჩნდება. ამიტომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის წახალისება.

ამ საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიგონ, რატომ უნდა შეისწავლონ ეს საკითხები და ჩამოუყალიბდეთ გარკვეული მოლოდინი საგაკვეთილო პროცესისადმი.

B ფაზა – ეს არის ცოდნის კონსტრუირების საფეხური. ამ საფეხურზე მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას და იდეებს. ეს შეიძლება განხორციელდეს ტექსტის წაკითხვის ან მოვლენებზე უშუალო დაკვირვებით, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ან მონაყოლის მოსმენით და სხვადასხვა აქტივობით. როგორც სიტყვა „კონსტრუირება“ გვეუბნება, ამ ფაზაზე უნდა მოხდეს მოსწავლის მიერ ახალი ცოდნის აღმოჩენა, მოპოვება, აგება და არა მზა ცოდნის მექანიკურად დამახსოვრება. ეს სწავლის ის ფაზაა, როდესაც მოსწავლე მაქსიმალურად აქტიური და დამოუკიდებელია. ამ დროს ხდება A ფაზაზე გაღვივებული ინტერესის შენარჩუნება და წამოჭრილ კითხვებზე პასუხების ძიება, ახალი ინფორმაციის გააზრება, კრიტიკული გაანალიზება და დასკვნების გამოტანა.

C ფაზა – გააზრებისა და ცოდნის გამთლიანების საფეხურია. სწორედ ამ ფაზაზე ხდება ახალი ცოდნის ძველთან დაკავშირება, სინთეზირება, ცოდნის გამთლიანება, ახალი ცნებების არსში წვდომა. ახალ ცოდნას რაღაც ახალი შემოაქვს ადამიანში. ეს სიახლე შეიძლება დაკავშირებული იყოს უნარჩვევების ან ინტელექტის განვითარებასთან, ღირებულებათა სისტემასთან, განწყობა-დამოკიდებულების ჩამოყალიბებასთან ან პრაქტიკულ საქმიანობასთან. ამგვარი შემეცნების შედეგად, მოსწავლე კარგად და დიდი ხნით იმახსოვრებს იმას, რაც არსებითია და შეუძლია მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება.

ამავე ფაზის ამოცანაა, მოსწავლეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ამის საფუძველზე ლექსიკის გამდიდრება, თვალსაწიერის გაფართოება და აზროვნების გაღრმავება (პიაჟეს მტკიცებით, ბავშვი აზროვნებას იწყებს მაშინ, როდესაც თანატოლებს შორის კამათში ერთვება).

გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მასწავლებელმა ABC მოდელის სამივე ფაზა კარგად უნდა გაიაზროს და დაგეგმოს.

ამაში მას დაეხმარება ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდებისა და გაკვეთილის სცენარების ნიმუშები.

მიზანი

გაკვეთილის დაგეგმვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მიზანი, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს შედეგს – ანუ, მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რას უნდა მიაღწიონ მისმა მოსწავლეებმა ამ გაკვეთილზე (გაკვეთილის კონკრეტული და პერსპექტიული მიზნები).

გაკვეთილის გეგმაში თვალნათლივ უნდა ჩანდეს:

- გაკვეთილის კონკრეტული მიზნები
- გაკვეთილის პერსპექტიული მიზნები
- რას ველით მოსწავლეებისგან? რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ ისინი ამ გაკვეთილზე?

ამოცანები

მიზნების მისაღწევად საჭიროა გარკვეული ამოცანების დასახვა. როგორიცაა:

1. გაკვეთილზე შესასრულებელი აქტივობების განსაზღვრა
2. სამუშაოს შესრულების ეტაპები
3. მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირების ფორმა
4. შეფასების კრიტერიუმები.

აუცილებელი პირობები და რესურსები

მიზნების მისაღწევად წინასწარ უნდა განისაზღვროს, არიან თუ არა მოსწავლეები მზად დაგეგმილი აქტივობების ჩასატარებლად. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გათვალოს, რა დრო და რესურსები სჭირდება მას გეგმის წარმატებით განხორციელებისთვის (სახელმძღვანელო, სხვადასხვა სამეცნიერო თუ შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურა, სამუშაო სქემები, თვალსაჩინოებები, სურათები, დიაგრამები, გრაფიკები, ილუსტრაციები, ბუკი, პროექტორი, კომპიუტერი, ინტერნეტ-რესურსი, სტიკერები (წებოვანი ფურცლები) სქემები, პოსტერები, პლაკატები, ლეპბუკები და სხვ.) ე.ი. უნდა განისაზღვროს:

- გაკვეთილისთვის საჭირო მასალა
- თეორიული და პრაქტიკული სამუშაოს განხორციელების ეტაპები.

გაკვეთილის აღწერა

მასწავლებელმა დაწვრილებით უნდა აღწეროს გაკვეთილის მსვლელობა, მისი ცალკეული ეტაპი, აქტივობები, რომელიც ამ გაკვეთილზე სრულდება (თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი გაკვეთილის მიზნების განხორციელებას და ძირითადად, რა არის მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გაკვეთილის მსვლელობისას).

გაკვეთილის მსვლელობა

გეგმის ეს ნაწილი გულისხმობს გაკვეთილის დეტალურ აღწერას:

სასურველია მასწავლებელმა ისე აღწეროს გაკვეთილის მსვლელობა, რომ კოლეგამ, თუ მას ამის სურვილი აქვს, შეძლოს შეთავაზებული საგაკვეთილო მოდელით სარგებლობა.

გეგმაში სასურველია 3 მნიშვნელოვანი ფაზის დაწვრილებითი აღწერა:

1. შესავალი – გამოწვევა ანუ პროვოცირების ეტაპი;
2. მთავარი აქტივობა – ძირითადი ნაწილი, რომელიც შინაარსის რეალიზებას, საკითხის არსში წვდომას ემსახურება;
3. დასკვნითი ნაწილი – გააზრების ეტაპი, რომლის დროსაც უნდა მოხდეს გაკვეთილის მსვლელობისას განხილული თემების ანალიზი და სინთეზი, შეჯერება და შეჯამება და მიღებული ცოდნის განმტკიცება.

სასურველია მასწავლებელმა წინასწარ დაგეგმოს, თუ რა დრო დასჭირდება გაკვეთილის თითოეულ ფაზას (გაკვეთილის დროში განაწილება).

განვიხილოთ თითოეული ეტაპი ცალ-ცალკე:

შესავალი

გაკვეთილის შესავალი ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაიწყოს წინა გაკვეთილზე განხილული თემის შეხსენებით (ფრონტალური კითხვებით). ამ ეტაპზე მოსწავლემ უნდა აღიდგინოს საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, განვლილი მასალა, რომელიც თავისთავად ხელს შეუწყობს მოსწავლის ახალი თემისთვის შემზადებას. მთავარია წინასწარ გქონდეთ განსაზღვრული:

- როგორ გააცნოთ მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნები და ამოცანები
- როგორ შეძლოთ მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაცია, მობილიზება და მოტივაცია
- როგორ დაუკავშიროთ გაკვეთილის მიზნები მოსწავლეთა ინტერესს.

ძირითადი ნაწილი (შინაარსის რეალიზება)

ამ ეტაპის ამოცანაა ერთის მხრივ „გამოწვევის" ეტაპზე გაღვივებული ინტერესისა და იმპულსების შენარჩუნება. მეორეს მხრივ – მოსწავლეთა აქტივობების ხელშეწყობა (დისკუსიაში მონაწილეობა, კრიტიკული ანალიზი, თვალსაზრისთა შეპირისპირება და შეჯერება, ალტერნატიული გზების ძიება). ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია:

- გაკვეთილის მთავარი თემის განსაზღვრა
- საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის საჭირო ხერხებისა და მეთოდების შერჩევა
- მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობიერება.

დასკვნითი ნაწილი (რეფლექსია, გააზრება)

- გაკვეთილის ამ ნაწილში შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე არსებითი მომენტი:
- გაკვეთილის ამ ეტაპზე ხდება მოსწავლეთა მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის გააზრება და დასაბუთებასაკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებათვალსაზრისისა თუ ინფორმაციის ინტერპრეტაცია (საკუთარი სიტყვებით გადმოცემა).

მოსწავლე ყველაზე უკეთ იმას იმახსოვრებს, რასაც მისთვის ნაცნობ კონტექსტში ითვისებს და საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს და ასაბუთებს. აღქმა მაშინ არის საფუძვლიანი, როდესაც ინფორ-მაცია კონტექსტუალურ სქემაში თავსდება.

ამ ფაზის მეორე ამოცანაა მოსწავლეთა შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა. რეფლექსიის დროს დისკუსიაში ჩაბმა არა მარტო დისკუსიის მონაწილეებს, არამედ პასიურ მსმენელებსაც აძლევს საშუალებას გაიგონ, იფიქრონ და ამის საფუძველზე ჩამოუყალიბდეთ, შეექმნათ საკუთარი აზრი და დამოკიდებულება განხილული საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, ეს არის ცვლილე-ბებისა და რე-კონცეპტუალიზაციის საფეხური სწავლის პროცესში. ამ სტადიაზე ხდება ახალ-ახალი 16

ინფორმაციის ინტეგრაციის მრავალგვარ საშუალებათა გაცნობა, ეს უკანასკნელი უფრო მოქნილ კონსტრუქციებს მიგვაახლოებს, რომლებიც მოსწავლეებმა მომავალში შესაძლოა უფრო პრაქტიკუ-ლად და მიზანმიმართულად გამოიყენონ.

გარდა ამისა, გაკვეთილის დასკვნით ანუ რეფლექსიის ეტაპზე უნდა განისაზღვროს:

1. შეჯამების რა ხერხს მიმართავთ გაკვეთილის ბოლოს.
2. როგორ განახორციელებთ უკუკავშირს მოსწავლეებთან.

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი დავალებას აძლევს მოსწავლეებს: შინ, კიდევ ერთხელ გაიხსენონ, რა გააკეთეს ამ გაკვეთილზე, ყურადღებით გაეცნონ (წაიკითხონ) სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი, წყარო) და შეასრულონ „საშინაო დავალება".

მეთოდური რეკომენდაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით

ცოდნის მიღებისას ბევრი ბავშვი სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს განიცდის, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზების მოძებნა.

ინკლუზიური განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას ნიშნავს. მისი მიზანია ამ ბავშვების განათლების ხელშეწყობა, მათი ინტეგრაცია, შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. სიტყვა „ინკლუზია“ ჩართვას ნიშნავს, ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა მიეცეს.

ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის და საგნის მასწავლებლის დაუღალავ შრომას იმისთვის, რომ გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში.

დიფერენციაციის თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს (კ. ტომლინსონი). ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგად სწავლისთვის. ამისთვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, განსხვავებულ დავალებებს და სხვაგვარ პრაქტიკას.

ამ თეორიის მიხედვით, სწავლებისას გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების შინაარსი, პროცესი, პროდუქტი სისტემატურად იცვლება გამომდინარე იქიდან, თუ რისთვის არიან მზად მოსწავლეები.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ახდენს შემდეგი კომპონენტების მოდიფიცირებას:

სასწავლო მასალების

სასწავლო რესურსების·სასწავლო გარემოს.

მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი:

1. სწავლის შესაძლებლობა

2. სწავლის მოტივაცია

3. სწავლის ეფექტიანობა.

ეს სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ: მოსწავლის მზადყოფნას, ინტერესს, სწავლას.

ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს „სტანდარტული“ მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება. სწორედ აქ გვეხმარება დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის არსებობას აღიარებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოსწავლეთა განსხვავების გამოყენება, სასწავლო მიზნით გათვლისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სწავლის მოდალობებია:

სმენითი

ვიზუალური

კინესთეტიკური.

ვიზუალურად შემსწავლელები

ვიზუალურად შემსწავლელები კლასის უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარმა მოსწავლეებმა უნდა „დაინახონ“ სასწავლი მასალა იმისათვის, რომ იგი გასაგები გახდეს. მნიშვნელოვანია, გვქონდეს ვიზუალური დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ინფორმაციის დანახვას.

რა არის განათლება?

სმენით შემსწავლელები

სმენით შემსწავლელები კლასის უმცირეს ჯგუფს წარმოადგენენ. შესაძლოა მულტიმედიის, დღევანდელი ტექნიკური საშუალებების ბრალია ის, რომ იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც სწავლა ჯდომისა და მოსმენის მეშვეობით ურჩევნიათ, ასე შემცირდა.

კინესთეტიკურად შემსწავლელები

სპრენჯერი ამბობს: „ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოძრაობას. აიღეთ ეს მოძრაობა და ხშირად გაიმეორეთ იგი. ბოლოს იგი მუდმივ მეხსიერებად იქცევა“. ამგვარ მოსწავლეებს მოძრაობა სჭირდებათ. მათ აგრეთვე სჭირდებათ სასწავლო მოდელები, რომლებსაც ისინი ხელში დაიჭერენ და შეეხებიან. ამგვარ მოსწავლეებს სჭირდებათ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და პრაქტიკული სწავლა იმისათვის, რომ სასწავლო მასალა მათთვის გასაგები იყოს. დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას, მასწავლებელი გეგმავს აქტივობებს სხვადასხვა მოდალობის მოსწავლეებისთვის, ქმნის ეფექტურ სასწავლო გარემოს, რითაც ეხმარება კლასში მყოფ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს, ისწავლონ. როდესაც მოსწავლეს სასწავლო მასალა მიეწოდება შესაბამის მოდალობაში, ხდება ინფორმაციის სწრაფად კოდირება და ის არ იკარგება.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში:

1. სასწავლო მასალა და აქტივობები ყველა მოდალობის მოსწავლეზეა გათვლილი; ამ ფორმატით სწავლების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად ახერხებს მასწავლებელი აქტივობების დონეზე დიფერენციაციის თეორიის რეალიზებას.
2. კლასში ჯგუფების ფორმირება ხდება სწავლის მოდალობის მიხედვით და თითოეული ჯგუფისთვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო. მეორე ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მთავარია, მოსწავლემ იმ მოდალობით ისწავლოს, რომელიც მისთვის დომინანტურია. ამ ფორმატით სწავლების ეფექტურობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:
    1. რამდენად სწორად მოახერხა მასწავლებელმა ჯგუფების დაკომპლექტება შესაბამისი მოდალობის მიხედვით;
    2. რამდენად სწორადაა ადაპტირებული სასწავლო აქტივობა კონკრეტული მოდალობის ფარგლებში.

პრაქტიკაში მეორე მოდალობა უფრო პოპულარულია, თუმცა განათლების სპეციალისტები მუდმივად აღნიშნავენ პირველი ფორმატის ეფექტურობას.

5. V-VI კლასების სტანდარტი

ა) VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **საზ.მეც.დაწყ.(II).1.:**

„საზ.მეც“ – მიუთითებს საზოგადოებრივ მეცნიერებებს;

„დაწყ“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(II)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V- VI კლასებს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

„ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	**1. მიმართულება: დრო, სივრცე და ცვალებადობა**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).1.	ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობასთან;
საზ.მეც.დაწყ.(II).2.	ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება;
საზ.მეც.დაწყ.(II).3.	საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა;
საზ.მეც.დაწყ.(II).4.	რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა;
საზ.მეც.დაწყ.(II).5.	საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა;
	2. მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).6.	ქვეყნის განვითარებისთვის ვაჭრობის, სხვა ტრადიციული და ამჟამინდელი პროფესიებისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება;
საზ.მეც.დაწყ.(II).7.	ინიციატივის გამოვლენა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა;
	3. მიმართულება: სოციალურ-კულტურული განვითარება მოქალაქეობა და უსაფრთხოება
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).8.	მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა.
საზ.მეც.დაწყ.(II).9.	საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების გააზრება ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში; საკუთარი ჩართულობით მათი გამოსწორების მექანიზმების გაცნობიერება;

„ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	**1. მიმართულება: დრო, სივრცე და ცვალებადობა**
საზ.მეც.დაწყ.(II).10.	გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას;
საზ.მეც.დაწყ.(II).11.	უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);
საზ.მეც.დაწყ.(II).12.	ღირებულებების – მაგ.: დემოკრატიის პრინციპების, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გარემოს დაცვის, შემწყნარებლობის – მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებისთვის;
საზ.მეც.დაწყ.(II).13.	საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
საზ.მეც.დაწყ.(II).14.	ბუნებრივი გარემოს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.
საზ.მეც.დაწყ.(II).15.	მის გარშემო წარმოდგენილი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების (მაგ.: სკოლა, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, კინო, კლუბი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, პოლიცია) ფუნქციების გაცნობიერება.

ბ) შინაარსი

სასწავლო პროცესი შემდეგი ცნებითი კატეგორიებისა და თემების დამუშავების საფუძველზე უნდა წარიმართოს:

ცნებები და ტერმინები

საგან „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი გულისხმობს ჩამოთვლილი ცნებების იმპლიციტურ და არა ექსპლიციტურ დამუშავებას:

1. პიროვნება, საზოგადოებრივი ჯგუფები;

2. დრო, უწყვეტობა და ცვლილება (ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია, კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა);

3. ხალხი, მდებარეობა, გარემო (გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა; საზღვარი; ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი მოვლენები და მათგან თავდაცვა, საგანგებო სიტუაციები, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე);

4. ეკონომიკა (პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები);

5. სახელმწიფო და მოქალაქე (საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქო უსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ძალადობა), არჩევნები, სიმბოლიკა).

6. კულტურული მრავალფეროვნება (ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნება, კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმი, ტრადიცია/ინოვაცია, ფოლკლორი, დამწერლობა, ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები).

თემა V-VI კლასებისთვის

საქართველოს მხარის მოცემული მატრიცა უნივერსალური ნიმუშია, რომლის მიხედვით უნდა აიგოს მასალა ყველა მხარის ირგვლივ, რა თქმა უნდა, მხარეთა სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

თემა	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**
საქა- რთვე- ლოს მხარე	რა ვიცით საქართველოსა და მისი მხარეების შესახებ (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 4) რა შეიძლება გავიგო საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით (რესურსი, ძეგლი, ბრძოლის ადგილი, ქალაქი, მდინარე, ტბა, მთა, ბარი)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 4) რას და როგორ მოგვითხრობს ისტორიის შესახებ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში შემორჩენილი ძეგლები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 4, 14) რომელი მნიშვნელოვანი პიროვნებები, მოვლენები, მითები და ლეგენდები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიას? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 12) ისტორიულად რომელი ცნობილი მოგზაურები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარეს? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 6) როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (მაგ.: ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიასა და ყოფაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 9, 12) როგორ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვადასხვა ნიშნით (მაგ.: ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები) ერთმანეთისგან და რამ განაპირობა ეს? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 13) რამ განაპირობა, რომ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობენ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 13) რატომ არის საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ესა თუ ის ტრადიციული საქმიანობა და მეურნეობის დარგი? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 6) რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპების თავისებურებებს საქართველოს ამა თუ იმ მხარეში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 5) როგორ იცავენ თავს საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის დამახასიათებელი სტიქიური მოვლენებისგან? რა განაპირობებს სტიქიური მოვლენების წარმოქმნას? (საზ.მეც.დაწყ.(II). 5, 11) როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური პრობლემების (მაგ.: გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ეკომიგრანტები, დევნილები, განათლების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის არცოდნა*) გადაჭრაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 12, 14) *ამ ჩამონათვალიდან უნდა გამოვყოთ და მიმოვიხილოთ კონკრეტული მხარისთვის დამახასიათებელი სოციალური პრობლემა. როგორ შემიძლია მშვიდობიანი გზით დავიცვა ჩემი და ჩემი თანატოლების უფლებები და რა საშუალებები შემიძლია გამოვიყენო საზოგადოებისთვის საზიანო ძალადობრივი ქცევის შესაჩერებლად? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 8, 9, 10, 12) რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს მხარეს ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებებმა და მოვალეობების იგნორირებამ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 9, 10, 14) რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გოგონებმაც და ბიჭებმაც დაიცვან ჯანსაღი ცხოვრების წესი და როგორ გვეხმარება საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ტრადიციული სპორტული სახეობები ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნებაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 10) რატომ იყო და არის საჭირო საქართველოს სხვადასხვა მხარეში სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების არსებობა (მაგ.: სკოლა, აკადემია, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი) წარსულსა და თანამედროვეობაში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 6, 15)

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:
თბილისი -საქარ-თველოს დედა-ქალაქი	როგორ დაარსდა თბილისი? როგორ იქცა იგი საქართველოს დედაქალაქად? როგორი იერსახე ჰქონდა მას ისტორიულ წარსულში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 13) როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (მაგ.: ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) თბილისის ისტორიასა და ყოფაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 12) რას და როგორ მოგვითხრობს შემორჩენილი ძეგლები თბილისის ისტორიაზე (მაგ.: ნარიყალა, მეტეხი?) (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 14) როგორ განსხვავდება ისტორიული და თანამედროვე თბილისი? როგორ მოგვითხრობს ნახატი ან ფოტო თბილისის ისტორიასა და განვითარებაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 3, 6, 14) რატომ აქვს თბილისის უბნებს სხვადასხვა იერსახე (არქიტექტურა, მოსახლეობის ყოფა)? (საზ. მეც.დაწყ.(II). 1, 3, 5, 15) რატომ წარმოადგენს რუსთაველის გამზირი და თავისუფლების მოედანი თბილისის ცენტრს (კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 15) რით არის განპირობებული სხვადასხვა საქმიანობისა და პროფესიის მრავალფეროვნება თბილისში? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 6, 13, 15) რატომ ცხოვრობენ თბილისში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 12, 13) როგორ აისახებოდა/აისახება თბილისი ხელოვნებასა და მწერლობაში? (მაგ. ფიროსმანი, გრიშაშვილი და სხვა) (საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 3) როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ქალაქის გეგმაზე ასახული პირობითი ნიშნები თბილისში ორიენტირებისთვის? (საზ.მეც.დაწყ.(II).4) რატომ დგას თბილისში მწვავედ გარემოს (ეკოლოგიის, ჰაერის დაბინძურების) დაცვის პრობლემები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 9, 14) როგორ გამოვიყენოთ ეფექტიანად ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის ტურისტული და დასასვენებელი (რეკრეაციული) ზონები? (საზ.მეც.დაწყ.(II). 10)
სახელ-მწიფო – ჩვენი საქარ-თველო	როდის და როგორ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ქართული დამწერლობა? (საზ.მეც.დაწყ. (II). 1, 2, 14) რა მნიშვნელობა აქვს და რატომ შეიძლება იცვლებოდეს სახელმწიფოს საზღვარი? (საზ.მეც.დაწყ. (II). 1, 2, 4) რა შეიძლება გავიგო საქართველოს შესახებ სხვადასხვა ტიპის რუკებისა და მათზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით? (საზ.მეც.დაწყ.(II).4, 5) რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს ქვეყანას ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებამ და მოვალეობების იგნორირებამ? (საზ.მეც.დაწყ.(II). 8, 12) როგორ შევიტანოთ წვლილი ჩემი ქვეყნის განვითარებაში არსებული გამოწვევების ფონზე (ეკოლოგიური პრობლემები, საგზაო უსაფრთხოება, ცხოვრების ჯანსაღი წესი, განათლების ხელმისაწვდომობა, ძალადობის პრობლემა, სახელმწიფო ენის არცოდნა, და სხვა)? (საზ.მეც. დაწყ.(II). 7, 9, 10, 12) რატომ არის ჩემი მოვალეობა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვა? (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 9, 14) რატომ არის საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება? (საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 13) რატომ ახასიათებს საქართველოს მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ტრადიციები? (საზ.მეც. დაწყ.(II).1, 3, 13) როგორ ზრუნავს სხვადასხვა ინსტიტუტები ჩვენი უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე (მაგ.: პარლამენტი, სასამართლო, სამინისტროები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, თეატრი, მუზეუმი)? (საზ.მეც.დაწყ.(II). 15) როგორ ზრუნავს სახელმწიფო ჩვენს სამოქალაქო უსაფრთხოებაზე? (საზ.მეც.დაწყ.(II). 11) როგორ მივაწვდინო ხმა ხელისუფლებას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით (საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 8, 9, 12)

6. შინაარსის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

გაკვეთილის სათაური	(II).1	(II).2	(II).3	(II).4	(II).5	(II).6	(II).7	(II).8	(II).9	(II).10	(II).11	(II).12.	(II).13	(II).14	(II).15
კარი 1. კახეთი															
1.1. კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები			*	*										*	
1.2.დასახლების ტიპები და საცხოვრებელი ნაგებობები კახეთში		*	*												*
1.3.მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები კახეთში			*			*	*								
1.4.ღვინის კულტურა კახეთში			*			*								*	
1.5. კულტურის ძეგლები კახეთში	*							*				*		*	*
1.6. მეურნეობის დარგები კახეთში			*		*		*						*		
1.7. კახეთის ბრძოლა გადარჩენისთვის	*	*						*	*						
1.8. კახეთის ბუნების ღირშესანიშნაობები			*									*	*	*	*
რა ვიცი და რა შემიძლია			*	*		*	*							*	
კარი 2. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი															
2.1 აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნება			*	*	*		*								
2.2. მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები		*	*	*			*								
2.3. რწმენა-წარმოდგენები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში		*	*										*		*
2.4. მთის მხარეების ადგილი საქართველოს სახელმწიფოში			*			*								*	
2.5 დასახლების ტიპები და ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მთაში			*		*	*									
2.6. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა და კულტურა	*		*		*	*									
რა ვიცი და რა შემიძლია	*	*	*			*								*	
კარი 3. სამცხე-ჯავახეთი															
3.1 სამცხე-ჯავახეთი – საქართველოს სამხრეთი კარიბჭე	*		*	*											

გაკვეთილის სათაური	(II).1	(II).2	(II).3	(II).4	(II).5	(II).6	(II).7	(II).8	(II).9	(II).10	(II).11	(II).12.	(II).13	(II).14	(II).15
3.2 სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრება	*	*										*	*	*	*
3.3.სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მრავალფეროვნება	*	*										*	*		
3.4. მეურნეობის დარგები სამცხე-ჯავახეთში			*			*	*							*	*
3.5. საცხოვრებელი სახლები სამცხე-ჯავახეთში			*											*	*
3.6. თავშესაფრები და ციხესიმაგრეები სამცხე-ჯავახეთში	*	*	*		*									*	
3.7.ვაჭრობა, ხელოსნობა და საქალაქო ცხოვრება სამცხე-ჯავახეთში			*			*	*		*						
რა ვიცი და რა შემიძლია	*	*	*		*	*						*			
კარი 4. გურია															
4.1.გურიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები			*	*										*	
4.2.გურიის მეურნეობის დარგები		*	*			*								*	
4.3. გურია – კურორტებით მდიდარი მხარე			*			*	*					*		*	
4.4. დასახლების ტიპები და სამშენებლო საქმე გურიაში			*		*							*		*	
4.5.გურული ფოლკლორი			*			*								*	
4.6.სპორტული თამაშები გურიაში			*							*				*	
რა ვიცი და რა შემიძლია			*					*				*			
კარი 5. რაჭა-ლეჩხუმი															
5.1 რაჭა-ლეჩხუმის წარსული და გეოგრაფიული გარემო		*	*	*											
5.2. მეურნეობა რაჭა-ლეჩხუმში			*	*			*								
5.3. ხელოსნობა რაჭა-ლეჩხუმში			*			*	*								
5.4. რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ცხოვრების სტილი			*	*		*									
5.5. რაჭველები – ქართველი მოვაჭრეები			*			*	*		*						
5.6. ებრაელები და სომხები რაჭა-ლეჩხუმში			*			*	*		*						
რა ვიცი და რა შემიძლია	*				*	*			*						

გაკვეთილის სათაური	(II).1	(II).2	(II).3	(II).4	(II).5	(II).6	(II).7	(II).8	(II).9	(II).10	(II).11	(II).12.	(II).13	(II).14	(II).15
კარი 6. აფხაზეთი															
6.1.აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები			*	*										*	
6.2. მეურნეობის დარგები აფხაზეთში			*			*									
6.3.დასახლების ტიპები და ყოველდღიური ცხოვრება აფხაზეთში			*			*								*	
6.4.აფხაზეთის მოსახლეობა	*		*									*	*	*	
6.5.კულტურის ძეგლები აფხაზეთში	*								*				*	*	
რა ვიცი და რა შემიძლია	*	*	*						*				*	*	
კარი 7. თბილისი															
7.1. საქართველოს დედაქალაქი – თბილისი		*		*										*	
7.2.თბილისის დაარსება	*	*													
7.3.თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა	*							*	*			*	*		
7.4.თბილისის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა	*											*	*		
7.5.თბილისელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა			*			*									
7.6.ვაჭრობა და სავაჭრო ადგილები თბილისში						*							*		
7.7. ტრანსპორტის საშუალებები თბილისში						*									
7.8. XIX საუკუნის ქალაქური ცხოვრება												*	*	*	
7.9. წყალი თბილისელთა ცხოვრებაში ძველად და დღეს			*		*	*			*	*				*	
7.10. დასვენება და გართობა თბილისში			*			*				*			*	*	*
რა ვიცი და რა შემიძლია	*	*	*							*		*	*	*	
კარი 8. სახელმწიფო – ჩვენი საქართველო															
8.1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა			*	*									*	*	
8.2. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები	*		*	*		*			*	*	*				
8.3. საქართველოს მეზობლები	*		*	*					*				*		
8.4. საქართველოს ბუნებრივი გარემო და ლანდშაფტი			*	*	*				*		*				

გაკვეთილის სათაური	(II).1	(II).2	(II).3	(II).4	(II).5	(II).6	(II).7	(II).8	(II).9	(II).10	(II).11	(II).12.	(II).13	(II).14	(II).15
8.5. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები	*							*	*			*		*	*
8.6. ქართული დამწერლობის წარმოშობა	*	*	*											*	
8.7. ქართლის სამეფოს შექმნა	*	*	*	*											
8.8. ფარნავაზის რეფორმები	*	*	*			*			*			*			
8.9. გზა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისკენ	*	*		*							*	*	*		*
8.10. დავით აღმაშენებელი	*	*	*	*					*						*
8.11. სახელმწიფო მმართველობა გაერთიანებულ საქართველოში	*	*						*	*			*	*		
რა ვიცი და რა შემიძლია	*	*	*		*		*	*	*	*		*			*

7. შეფასება

საგნის „ჩვენი საქართველო“ სწავლა-სწავლებისას გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მისი ამოცანები საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის ზოგად ნაწილშია ჩამოყალიბებული.

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში, მიმდინარე შეფასების კომპონენტში, მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შეიძლება შეფასდეს შემდეგი ტიპური აქტივობებით:

1. რუკაზე მუშაობა;

2. დიაგრამების, **სკალების** (დროის სკალა) შექმნა;

3. ინფორმაციის, ფოტომასალის **მოძიება და პრეზენტაციის** მომზადება, გამოფენის მოწყობა;

4. მოთხრობის, ანიმაციური/მხატვრული/დოკუმენტური ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის, ლიტერატურული ნაწარმოების, წყაროს **განხილვა.**

5. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (პლაკატის, ნახატის, კომიქსის, ფლაერის, ესეს, მოთხრობის, ბუკლეტის, კედლის გაზეთის, მაკეტის, ემბლემის, ვიდეორგოლის, ფოტოალბომის, ფოტოკოლაჟის (დროის სკალის გამოყენებით), სლოგანის, შექმნა);

6. კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება, ქცევის წესები („კონსტიტუცია“), დღის რეჟიმი, „მეგობრობის დღიური“, გამოფენა);

7. დოკუმენტების (საკლასო „კონსტიტუცია“, დღის რეჟიმი“ პეტიციის და სხვა) შექმნა;

8. კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);

9. საქველმოქმედო, საგანმანთლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული **პროექტების** დაგეგმვა და განხორციელება;

10. ექსკურსია;

11. დისკუსია;

12. როლური თამაში (საჯარო სტრუქტურის იმიტაცია, სიმულაციური სასამართლო და სხვა).

აღნიშნულ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა უნდა შეფასდეს შეფასების რუბრიკებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ამოწმებენ მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, მეორე მხრივ კი – სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის ხარისხს (ცოდნის სამ კატეგორიას – დეკლარატიულს, პროცედურულს, პირობისეულს).

შემაჯამებელი დავალება წარმოდგენილი უნდა იყოს კომპლექსური დავალების სახით. კომპლექსური დავალება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

1. საქართველოს ამა თუ იმ მხარის (მაგალითად, ქართლის) რომელიმე პუნქტში ექსკურსიის გზით **კვლევის ჩატარება** (ისტორიულ-გეოგრაფიულ-სოციალურ პრობლემებზე) და მისი შედეგების **პრეზენტაცია**;

2. საქართველოს ამა თუ იმ მხარის საპატივცემულოდ რაიმე **ღონისძიების გამართვა,** რომელშიც ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მონაცემები აისახება;

3. როლური თამაშით საქართველოს ამა თუ იმ მხარის რომელიმე ისტორიული მოვლენის ეპიზოდის წარმოდგენა;

4. მაკეტების შექმნა საქართველოს ორი მხარის მახასიათებლების ერთმანეთთან შედარების მიზნით;

5. ეთნოგრაფიულ **მუზეუმში სტუმრობა** მისი ღირსშესანიშნაობების შესასწავლად;

6. საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა;

7. სკაიპის, ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საქართველოში სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ თანატოლებთან დაკავშირება, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და თანატოლების პრობლემების ირგვლივ მოგროვილი ინფორმაციის განზოგადება;

8. საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური **მარტივი სამოქალაქო პროექტების** (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება.

8. საათობრივი განაწილება

გაკვეთილის სათაური	საათების განაწილება
კარი 1. კახეთი	
1.1. კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები	1
1.2. დასახლების ტიპები და საცხოვრებელი ნაგებობები კახეთში	1
1.3. მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები კახეთში	1
1.4. ღვინის კულტურა კახეთში	1
1.5. კულტურის ძეგლები კახეთში	1
1.6. მეურნეობის დარგები კახეთში	2
1.7. კახეთის ბრძოლა გადარჩენისთვის	1
1.8. კახეთის ბუნების ღირშესანიშნაობები	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 2. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი	
2.1. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი	1
2.2. მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები	1
2.3. რწმენა-წარმოდგენები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში	1
2.4. მთის მხარეების ადგილი საქართველოს სახელმწიფოში	1
2.5. დასახლების ტიპები და ძირითადი სამეურნეო საქმიანობა	1
2.6. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა და კულტურა	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 3. სამცხე-ჯავახეთი	
3.1. სამცხე-ჯავახეთი – საქართველოს სამხრეთი კარიბჭე	1
3.2. სამცხე-ჯავახეთისკულტურული მემკვიდრება	1
3.3. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მრავალფეროვნება	1
3.4. მეურნეობის დარგები სამცხე-ჯავახეთში	2
3.5. საცხოვრებელი სახლები სამცხე-ჯავახეთში	1
3.6. თავშესაფრები და ციხესიმაგრეები სამცხე-ჯავახეთში	1
3.7. ვაჭრობა, ხელოსნობა და საქალაქო ცხოვრება სამცხე-ჯავახეთში	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 4. გურია	
4.1. გურიის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები	1
4.2. გურიის მეურნეობის დარგები	1
4.3. გურია – კურორტებით მდიდარი მხარე	1
4.4. დასახლების ტიპები და სამშენებლო საქმე გურიაში	1
4.5. გურული ფოლკლორი	1
4.6. სპორტული თამაშები გურიაში	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 5. რაჭა-ლეჩხუმი	
5.1. რაჭა-ლეჩხუმის წარსული და გეოგრაფიული გარემო	1

გაკვეთილის სათაური	**საათების განაწილება**
5.2. მეურნეობა რაჭა-ლეჩხუმში	1
5.3. ხელოსნობა რაჭა-ლეჩხუმში	1
5.4. რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ცხოვრების სტილი	1
5.5. რაჭველები – ქართველი მოვაჭრეები	1
5.6. ებრაელები და სომხები რაჭა-ლეჩხუმში	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 6. აფხაზეთი	
6.1. აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები	1
6.2. მეურნეობის დარგები აფხაზეთში	2
6.3. დასახლების ტიპები და ყოველდღიური ცხოვრება აფხაზეთში	1
6.4. აფხაზეთის მოსახლეობა	2
6.5. კულტურის ძეგლები აფხაზეთში	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 7. თბილისი	
7.1. საქართველოს დედაქალაქი – თბილისი	1
7.2. თბილისის დაარსება	1
7.3. თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა	2
7.4. თბილისის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა	1
7.5. თბილისელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა	1
7.6. ვაჭრობა და სავაჭრო ადგილები თბილისში	1
7.7. ტრანსპორტის საშუალებები თბილისში	1
7.8. XIX საუკუნის ქალაქური ცხოვრება	2
7.9. წყალი თბილისელთა ცხოვრებაში ძველად და დღეს	1
7.10. დასვენება და გართობა თბილისში	1
რა ვიცი და რა შემიძლია	
კარი 8. სახელმწიფო ჩვენი-საქართველო	
8.1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა	1
8.2. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები	1
8.3. საქართველოს მეზობლები	1
8.4. საქართველოს ბუნებრივი გარემო და ლანდშაფტი	1
8.5. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები	1
8.6. ქართული დამწერლობის წარმოშობა	1
8.7. ქართლის სამეფოს შექმნა	1
8.8. ფარნავაზის რეფორმები	1
8.9. გზა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისკენ	2
8.10. დავით აღმაშენებელი	1
8.11. სახელმწიფო მმართველობა გაერთიანებულ საქართველოში	1
რა ვიცი და რა შემიძლია	

9. შეფასების რუბრიკები

მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა

მაღალი	საშუალოზე მაღალი	საშუალო	დაბალი
მოსწავლე ავსებს დიაგრამას, ცხრილებს და გამოაქვს დასკვნები	მოსწავლე ცდილობს შეავსოს დიაგრამა, ცხრილები და გამოიტანოს დასკვნები	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას შეავსოს დიაგრამა, ცხრილები და გამოიტანოს დასკვნები	მოსწავლეს არ შეუძლია შეავსოს დიაგრამა, ცხრილები და გამოიტანოს დასკვნები
მოსწავლე აფასებს მოვლენებს, გაიაზრებს წარსულის რეალობას და აკავშირებს დღევანდელობასთან	მოსწავლე ცდილობს შეაფასოს მოვლენები, გაიაზროს წარსულის რეალობა და დააკავშიროს დღევანდელობასთან	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას შეაფასოს მოვლენები, გაიაზროს წარსულის რეალობა და დააკავშიროს დღევანდელობასთან	მოსწავლეს არ შეუძლია შეაფასოს მოვლენები, გაიაზროს წარსულის რეალობა და დააკავშიროს დღევანდელობასთან
მოსწავლე აანალიზებს ამა თუ იმ მოვლენების გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს	მოსწავლე ცდილობს გააანალიზოს ამა თუ იმ მოვლენების გამომწვევი მიზეზები და შედეგები	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას გააანალიზოს ამა თუ იმ მოვლენების გამომწვევი მიზეზები და შედეგები	მოსწავლეს არ შეუძლია გააანალიზოს ამა თუ იმ მოვლენების გამომწვევი მიზეზები და შედეგები
მოსწავლე ავლებს პარალელებს	მოსწავლე ცდილობს გაავლოს პარალელები	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას გაავლოს პარალელები	მოსწავლეს არ შეუძლია გაავლოს პარალელები
მოსწავლე გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას და გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზას.	მოსწავლე ცდილობს გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება და გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზას.	მოსწავლე საჭიროებს დახმარებას გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება და გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზას.	მოსწავლეა არ შეუძლია გამოთქვას საკუთარი დამოკიდებულება და შემოგვთავაზოს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზას.

შეფასების 10 ბალიანი სისტემა

ქულები	მახასიათებლები
1	არ შეუძლია წაკითხულის შინაარსის გადმოცემა. ვერ ახერხებს რუკაზე მუშაობას. არ შეუძლია ცხრილებსა და სხვა საშუალებებზე მუშაობა. ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან ისტორიულ დროის და გეოგრაფიულ სივრცით ერთეულებს. უჭირს ისტორიულ პირებზე მსჯელობა არ შეუძლია სხვასთან თანამშრომლობა.
2	ვერ ახერხებს შინაარსის გადმოცემას. უჭირს რუკებსა და სხვა ვიზუალურ საშუალებებზე (სქემა, ცხრილი და ა.შ.) მუშაობა. უჭირს გეოგრაფიული და ისტორიული პერიოდების გამიჯვნა. უჭირს ისტორიული გმირების დახასიათება და მათზე მსჯელობა. უჭირს თანამშ-რომლობა.
3	ცდილობს გადმოსცეს წაკითხულის შინაარსი. სხვების დახმარების გარეშე ვერ ახერხებს რუკებზე მუშაობას. უჭირს ცხრილებსა და სქემებზე მუშაობა. უჭირს მსჯელობა და აზრის ჩამოყალიბება. უჭირს წყვილსა და ჯგუფებში მუშაობა– ვერ შეაქვს საკუთარი წვლილი.
4	შეუძლია გადმოსცეს წაკითხულის შინაარსი, მაგრამ სჭირდება დახმარება აზრის გამარ-თულად ჩამოყალიბებაში. შეუძლია აჩვენოს ობიექტები რუკაზე, მაგრამ ხარვეზებით. უჭირს მსჯელობა და ვინმეს ან რაიმეს დახასიათება. წყვილსა და ჯგუფებში მუშაობისას შეუძლია გაიზიაროს სხვისი დახმარება.
5	ხშირად აქვს სურვილი იმუშაოს დამოუკიდებლად. შეუძლია გაიგოს წაკითხულის შინაარ-სი. ახერხებს ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა სიტუაციაში. ხარვეზებით, მაგრამ შეუძლია ვიზუალურ საშუალებებზე – რუკები, ილუსტრაციები, დიაგრამები და სხვ. მუშაობა. შეუძ-ლია თანამშრომლობა, თუმცა ზოგჯერ ზედმეტად აქტიური და თავდაჯერებულია.
6	შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა სხვადასხვა საშუალებებსა და წყაროებზე. შეუძლია მსჯელობა, ანალიზი, ასევე ჯგუფური მუშაობა. აქვს ხარვეზები ლექსიკურ მარაგსა და ლოგიკურ მსჯელობაში.
7	თითქმის ყოველთვის ფლობს მასალას. დამოუკიდებლად შეუძლია კითხვის, წერის და სხვა აქტივობებზე მუშაობა. შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებზე მუშაობა (რუკა, წყარო, სქემა, ცხრილი, ილუსტრაცია). გაკვეთილზე აქტიურია და თითქმის ყო-ველთვის ჩართულია პროცესში. შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა. ჯგუფური მუშაობის დროს არ აცდის სხვას მუშაობას.
8	აქვს კარგი მეტყველება. შეუძლია გამართულად ჩამოაყალიბოს აზრი. შუუძლია ფაქტებსა და მოვლენებზე მსჯელობა. დამოუკიდებლად შეუძლია მუშაობა. აქტიურია საშინაო და საკლასო დავალებების შესრულებაში.თავისუფლად შეუძლია რუკებზე მუშაობა. შეუძლია თანამშრომლობა, მაგრამ ზოგჯერ უჭირს სხვისი აზრის მიღება.
9	აზროვნებს კარგად. აქვს შემოქმედებითი მუშაობის უნარი. ყოველთვის მზად არის დამო-უკიდებლად ჩაერთოს ნებისმიერი სამუშაოს შესრულებაში. შეუძლია თანამშრომლობა, მაგრამ არ აქვს ლიდერის თვისებები.
10	აზროვნებს კარგად. აქვს შემოქმედებითი მუშაობის უნარი. ყოველთვის მზად არის მუშაობისათვის. აქვს ლიდერობის გამორჩეული თვისებები. შეუძლია დაეხმაროს სხვას.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭებათ ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყენებლად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამია ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი									
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)										
კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი										
შემოქმედებითი უნარი										
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება										
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)										
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)										
თვალსაჩინოებების გამოყენება										
აუდიტორიასთან კონტაქტი										
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)										
დროის ლიმიტის დაცვა										
ჯამი										

პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება მოგროვებული ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა

	ელემენტარული 1 ქულა	**მისაღები 2 ქულა**	**ოსტატური 3 ქულა**
1. მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები,მარტივად აღსაქმელი
2. ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს/ მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3. შინაარსის კორექტულობა	ხშირად გვხვდება შეუსაბამობა, მცდარი ინფორმაცია	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო

	ელემენტარული 1 ქულა	მისაღები 2 ქულა	ოსტატური 3 ქულა
4. ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გამართული, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
5. კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყაროები არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია	კვლევა არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო და ანალიზი სიღრმისეულია
6. თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან ნათელია, მაგრამ ერთფეროვანია	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული
7. შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერგიის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები, რაც ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის
8. კავშირები საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება	მოსაზრებები დაკავშირებულია ერთი ან ორი საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს ჯგუფის მრავალი მიმართულებით კომპეტენტურობაზე
9. დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი იგრძნობა კვლევასთან, ისინი მკაფიოდაა, ჩამოყალიბებულია
10. პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	ბუნდოვნად აყალიბებს პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეებია გაშლილი, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

დებატების შეფასების რუბრიკა

1-3	4-5	6-7	8-10
მოსწავლეს უძნელდება აზრის გამოხატვა, არადამაჯერებლად მსჯელობს. დაბნეულია და საუბრობს არაორგანიზებულად. განკუთვნილ დროზე ადრე ასრულებს	არგუმენტაცია არადა-მაკმაყოფილებელია. უპირისპირდება მოწინააღმდეგის პოზიციას, მაგრამ ზედაპირულად და აკეთებს არაორგანიზებულ ანალიზს. არგუმენტავცია არ არის დამაჯერებელი	კარგი გამოსვლა. არგუმენტაცია დამაკმაყოფილებელი. მომხსენებელი სრულად იყენებს დროს, თუმცა აკლია დამაჯერებლობა	ძალიან კარგი გამოსვლა. დამაჯერებელი არგუმენტაცია. ანალიზი, პრეზენტაცია, არგუმენტაცია დამარწმუნებელია

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	მაღალი-4	საშუალო-3	საშუალოზე დაბალი-2	დაბალი-1
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა
სამუშაოს ორგანიზება	სამუშაოდ კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა	სამუშაო ორგანიზებულია, თუმცა ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაოდ არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა
ურთიერთქმედე-ბისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ საუკეთესო ურთიერთქმედე-ბისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ კარგი ურთიერთქმედ-ე-ბისა და აზრთა გაზიარების უნარი	ნაწილობრივ აქვთ ურთიერთქმე-დებისა და აზრთა გაზიარების უნარი	არ აქვთ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი
თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფში უმეტესობა არ იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად ნაკლებად იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფში უმეტესობა არ იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის არ იყო საქმიანი ურთიერთობები
დროის ლიმიტი	საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს	ძირითადად იცავენ დროის ლიმიტს	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა	ვერ იცავენ დროის ლიმიტს

10. გაკვეთილის სცენარები

მოცემული გაკვეთილის სცენარები მასწავლებელს შეუძლია მოარგოს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს გაკვეთილის გეგმის მოდიფიცირება.

კარი 1. კახეთი

გაკვეთილის თემა	**1.1. კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა კახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს. რუკის დახმარებით განსაზღვრავს კახეთის ადგილმდებარეობას.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 3 (II) 4
აქტივობები და მეთოდები	**აქტივობა 1.** გაკვეთილი იწყება შეკითხვით, რა იციან კახეთის შესახებ (გონებრივი იერიში). მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეთა პასუხებს. (5 წთ) **აქტივობა 2.** მასწავლებელი სთხოვს, კახეთის რუკის (გვ.10-11) დახმარებით, ამოწერონ კახეთის მოსაზღვრე მხარეები და ქვეყნები. (5 წთ) **აქტივობა 3.** მასწავლებელი მოსწავლეებს თხოვს გაეცნონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს (წყარო 1,2,3.) და გამოთქვან საკუთარი ვარაუდები კახეთის ბუნებრივ- გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 4.** ჯგუფებში ეცნობიან გაკვეთილის ტექსტს და ავსებენ ცხრილს. (10 წთ) **აქტივობა 5.** მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს გამოთქვან მოსაზრება, თუ რას შეიძლება გამოეწვია საზღვრის ხშირი ცვლილება კახეთში. (10 წთ) **აქტივობა 6.** შეფასება (განმავითრებელი) **აქტივობა 7.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია კახეთში არსებული სასარგებლო წიაღისეულის შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალური, ჯგუფები
რესურსები	სახელმძღვანელო, რუკა, დაფა, ცარცი
შეფასება	განმავითრებელი, განმსაზღვრელი (მიმდინარე დავალების შფასების რუბრიკა)
წინარე ცოდნა	ჰორიზონტის მხარეები, რუკის წაკითხვა ლეგენდის საშუალებით

დაგეგმილი აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს გაეცნონ კახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს; დაასახელონ კახეთის მოსაზღვრე საქართველოს მხარეები და ქვეყნები. ტექსტის ანალიზის საფუძველზე, შეავსებენ ცხრილს, რომლითაც მიიღებენ ინფორმაციას კახეთის ბუნებრივი რესურსების შესახებ.

ბუნებრივი რესურსი	რისთვის შეიძლება მისი გამოყენება
თიხა	
მარმარილო	
სამკურნალო ტალახი	
გაჯი	
თერმული წყლები	

მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ხშირად იცვლებოდა კახეთის საზღვარი და მოსწავლეებს სთხოვს დაასახელონ ამ ცვლილებების შესაძლო მიზეზები (ქვეყნის სიძლიერე ან პირიქით მტრის შემოსევები და ქვეყნის სისუსტე).

გაკვეთილის თემა	**1.2. დასახლების ტიპები და საცხოვრებელი ნაგებობები კახეთში**
გაკვეთილის მიზანი	ბუნებრივი პირობებისა და რესურსების გავლენა საცხოვრისის ტიპებზე
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 2 (II) 3 (II) 15
აქტივობები და მეთოდები	**აქტივობა 1.** მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ განვლილი მასალიდან, რა ფაქტორები ახდენდა გავლენას დასახლების ტიპებსა და საცხოვრებელ ნაგებობებზე. მოსწავლეთა პასუხებს წერს დაფაზე (5 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეები წყვილებში ევნობიან ინფორმაციას დასახლების ტიპების შესახებ და ავსებენ ვენის დიაგრამას – ძველი და ახალი სოფელი. (10 წთ) **აქტივობა 3.** იყოფიან ჯგუფებად და მუშაობენ ინფორმაციაზე საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ; ავსებენ ცხრილს: საცხოვრებლის ტიპი, სამშენებლო მასალა, სამეურნეო სათავსოები, მეურნეობის დარგები. თითოეული ჯგუფი პრეზენტაციის სახით წარუდგენს კლასს საკუთარ ნამუშევარს. (15წთ) **აქტივობა 4.** ინდივიდუალურად გაეცნონ ისტორიულ გადმოცემას ერეკლე მეფესა და ხელმომჭირნე გლეხზე და გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. (5 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება (5 წთ) **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – დაწერონ ესე: ჩემი თვალით დანახული სოფელი.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფებში, ინდივიდუალურად
შეფასება	ჯგუფებში მუშაობის შეფასების კრიტერიუმები
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი,
წინარე ცოდნა	გარემო პირობების გავლენა დასახლების ტიპებზე

პირველი აქტივობით მოსწავლეები გაიხსენებენ ბუნებრივი პირობების, კლიმატის ან გეოგრაფიული მახასიათებლების გავლენას დასახლების ტიპებსა და საცხოვრებელ სახლებზე.

ვენის დიაგრამის შევსება ახალი და ძველი სახლების შესახებ საშუალებას მისცემს მოსწავლეებს თვალნათლივ დაინახონ განსხვავებები.

ჯგუფური მუშაობა საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მიიღონ ინფორმაცია საცხოვრებლის ტიპებზე, სამშენებლო მასალაზე, სამეურნეო სათავსოებზე, მეურნეობის დარგებზე და ავსებენ ცხრილს.

საცხოვრებლის ტიპი	სამშენებლო მასალა	სამეურნეო სათავსო	მეურნეობის დარგები

გაკვეთილის თემა	**1.3. მევენახეობა- მეღვინეობის ტრადიციები კახეთში**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა მეურნეობის დარგებს, რომლებიც მევენახეობასთან არის დაკავშირებული. მოსწავლე აანალიზებს ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს გავლენას მეურნეობის განვითარებაზე. მოსწავლე ეცნობა მევენახეობა- მეღვინეობის განვითარების ტრადიციებს და მსჯელობს მისი განვითარების პერსპექტივებზე.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 3 (II) 6 (II) 7
აქტივობები და მეთოდები	**აქტივობა 1.** მინი ლექცია მევენახეობის ტრადიციებზე კახეთში. (5წთ) **აქტივობა 2.** გონებრივი იერიში რას ამზადებენ ყურძნისაგან. პასუხები იწერება დაფაზე. (5წთ) **აქტივობა 3.** ტექსტის ანალიზი. მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას ყურძნის პროდუქტებისა და ყურძნის შენახვის წესის შესახებ და ავსებენ ცხრილს: ვიცოდი, გავიგე, მინდა ვიცოდე. (15წთ) **აქტივობა 4.** პრეზენტაცია (10წთ) **აქტივობა 5.** შეფასება (5წთ) **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია კახეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშების შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალურად
რესურსები	სახელმძღვანლო, დაფა, ცარცი
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების კრიტერიუმები

მინი ლექცია მევენახეობის ტრადიციებზე კახეთში. უძველესი ქართველური ტომები მევენახეობა-მეღვინეობის პიონერები იყვნენ. ქვევრი ღვინის ჭურჭლად პირველად ქართველებმა გამოიყენეს. კახეთი ქართული ღვინის მხარეა, უძველესი კერაა მევენახეობის, რომლის ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე იღებს სათავეს. ამ მხარეში 80-მდე ჯიშია გაშენებული. უმაღლესი ხარისხისაა როგორც კახური ტრადიციული წესით დამზადებული ოჯახის ღვინო, ასევე ევროპული წესით დაყენებული ღვინოები.

აქტივობა: „იცოდი, გავიგე, მინდა ვიცოდე“ დაეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის ორგანიზებაში.

კახეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშების შესახებ ინფორმაცია მოიძიეთ საიტზე wineandwine.ge

გაკვეთილის თემა	**1.4. ღვინის კულტურა კახეთში**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა მეღვინეობის განვითარების ტრადიციებს. მოსწავლე აანალიზებს მეღვინეობის განვითარების პერსპექტივებს.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 3 (II) 6 (II) 14
აქტივობები და მეთოდები	**აქტივობა 1.** ტექსტის ანალიზი. მოსწავლეები ჯიგსოუს მეთოდით ამუშავებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას და პრეზენტაციის სახით წარმოადგენენ კლასის წინაშე თემას: ღვინის დამზადებისა და შენახვის კულტურა კახეთში. (25 წთ) **აქტივობა 2.** მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს გამოთქვან საკუთარი ვარაუდები, რას დაწერდნენ დღეს ევროპელები ღვინოსა და ღვინის კულტურაზე და რა როლი შეიძლება შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკაში მეღვინეობის განვითარებამ. (10 წთ) **აქტივობა 3.** შეფასება **აქტივობა 4.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია ღვინის ექსპორტის შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფებში
შეფასება	ჯგუფური მუშაობის შფასების კრიტერიუმი
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი
წინარე ცოდნა	მეურნეობის დარგები და მათი განვითარების ხელშემწყობი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო

გაკვეთილი მოცულობით არის ვრცელი, ამიტომ სასურველი იქნებოდა ჯიგსოუს მეთოდით ინფორმაციის დამუშავება (10 წთ) და შემდეგ პრეზენტაცია. (15 წთ) მეორე აქტივობა დაგეხმარებათ მოსწავლეებს განუვითრდეს კრიტიკული აზროივნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

გაკვეთილის თემა	1.5. კულტურის ძეგლები კახეთში
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა კახეთში არსებულ კულტურის ძეგლებს. მოსწავლე მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე ქვეყნის კულტურის განვითარებაში. მოსწავლეს უვითრდება კულტურული მემკვიდრეობის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 2 (II) 12 (II) 14 (II) 15
აქტივობები და მეთოდები	**აქტივობა 1.** მასწავლებელი სვამს კითხვას: რა ინფორმაცია შეიძლება მოგვაწოდოს ქვეყნის ისტორიის შესახებ კულტურულმა ძეგლებმა. (5 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტში არსებული ინფორმაციას და ავსებენ აზრობრივ რუკას- კახეთის კულტურის ძეგლები . თვალსაჩინოდ დაინახავაენ მის მრავალფეროვნებას და მიიღებენ ინფორმაციას ამ ძეგლებთან დაკავშირებულ ისტორიული პირების შესახებ. (20 წთ) **აქტივობა 3.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები თუ რატომ არის აუცილებელი კულტურული ძეგლების გაფრთხილება. (5 წთ) **აქტივობა 4.** აირჩიონ კახეთში მდებარე რომელიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომლის ნახვაც სურთ და დაასაბუთონ თავისი არჩევანი (5 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – შეადგინონ ქცევის წესები, რომლებიც უნდა დაიცვან კულტურული ძეგლების მონახულების დროს (გაიხსენონ IV კლასის სახელმძღვანელოში „მე და საზოგადოება“ ნასწავლი წესები).
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფური მუშაობა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ილუსტრაციები
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	წინა წელს შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მათი მნიშვნელობის გააზრება ქვეყნის განვითარებაში

გაკვეთილი იწყება კულტურული ძეგლების მნიშვნელობის ანალიზით. სავარაუდო პასუხებად შეიძლება დაასახელონ: როგორი იყო ქვეყნის განვითარების დონე, როგორი არქიტექტურული სტილი იყო განვითარებული, რა სამშენებლო მასალას იყენებდნენ და ა.შ.

მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტს და ამის შემდეგ ავსებენ აზრობრივ რუკას: კახეთის კულტურის ძეგლები, რითაც თვალსაჩინოდ დაინახავენ მრავალფეროვნებას. ასევე მიიღებენ ინფორმაციას ამ ძეგლებთან დაკავშირებული ისტორიული პირების შესახებ.

გაკვეთილის თემა	1.6. მეურნეობის დარგები კახეთში
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა კახეთში განვირებულ მეურნეობის დარგებს. არკვევს მათი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს. აანალიზებს მათ მნიშვნელობას ქვეყნისათვის
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 3 (II) 5 (II) 11 (II) 13
აქტივობები და მეთოდები	**აქტივობა 1.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ განვლილი მასალიდან, მეურნეობის რომელი დარგებია განვითარებული კახეთში და გამოთქვან ვარაუდები ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები კიდევ რომელი დარგების განვითარებას უწყობს ხელს. (5 წთ) **აქტივობა 2.** მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი ამუშავებს შემდეგ თემებს: პირველი ჯგუფი – მემინდვრეობა კახეთში, მეორე ჯგუფი – მეცხოველეობა, მესამე ჯგუფი – პანკისელი ქისტები, მეოთხე ჯგუფი – ხელოსნობა, მეხუთე ჯგუფი – ტრანსპორტის საშუალებები. ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ჯგუფის წევრები პრეზენტაციის სახით წარუდგენენ კლასს მიღებულ ინფორმაციას (10 წთ) **აქტივობა 3.** პრეზენტაცია. (15 წთ) **აქტივობა 4.** მინი ლექცია სტიქიური მოვლენების შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 5.** მოსწავლეები წყვილებში ამუშავებენ ინფორმაციას სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლის ძველი და ახალი მეთოდების შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 6.** მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას სტიქიური მოვლენების თავიდან ასაცილებელი გზების შესახებ. **აქტივობა 7.** შეფასება. (2 წთ) **აქტივობა 8.** საშინაო დავალება – ჯგუფებში მოამზადონ პლაკატი გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფები, წყვილები
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, თაბახის ფურცლები
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების კრიტერიუმები
წინარე ცოდნა	საქართველოს სხვა მხარეებში განვითარებული მეურნეობის დარგები, სტიქიური მოვლენები და მათთან ბრძოლის საშუალებები, ურთიერთდახმარების ტრადიციები.

კახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გახსენებით, ჩამოთვლიან მეურნეობის დარგებს, რომელიც შესაძლოა განვითარებულიყო კახეთში. მაგალითად, მიწათმოქმედება, მემინდვრეობა, მეცხვარეობა და ა. შ. გაკვეთილში მოცემულია მრავალფეროვანი ინფორმაცია და ასეთ შემთხვევაში უმჯობესია გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობის მეთოდი.

მინი ლექციის სახით, მოსწავლეებს გააცანით ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენების გარდა (წვიმა, თოვლი, ზომიერი ქარი), რომლებიც ადამიანს ხელს არ უშლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, არსებობს ე.წ. სტიქიური ბუნებრივი მოვლენები. ისინი მოულოდნელად ატყდება თავს სოფლებს, ქალაქებს, საავტომობილო გზებსა და სარკინიგზო მაგისტრალებს; სხვადასხვაგვარ ზიანს აყენებს მოსახლეობას; ანგრევს სახლებს; ანადგურებს ნათესებსა და მოსავალს; აფერხებს გზებზე გადაადგილებას, ზოგჯერ კი, ადამიანთა მსხვერპლსაც იწვევს.

მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას სტიქიური მოვლენების თავიდან ასაცილებელი გზების შესახებ. ამით გაიაზრებენ საკუთარ პასუხისმგებლობასაც.

გაკვეთილის თემა	1.7. კახეთის ბრძოლა გადარჩენისთვის
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებს. მოსწავლე აანალიზებს საშინაო და საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის განვითარებაზე.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 1 (II) 2 (II) 8 (II) 9
აქტივობები და მეთოდები	**აქტივობა 1.** გონებრივი იერიშის საშუალებით, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობისგან დაცლა. სავარაუდო მიზეზები იწერება დაფაზე. (5 წთ) **აქტივობა 2.** მინი ლექცია შაჰ-აბასის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. (2 წთ) **აქტივობა 3.** ტექსტზე მუშაობა – წყაროებიდან 5-6 ამოწერონ წინადადებები, რომლებიც მიუთითებს ირანელთა შემოსევის შემდეგ კახეთის მდგომარეობაზე; გაეცნონ ინფორმაციას ბახტრიონის აჯანყების შესახებ და გამოთქვან ვარაუდი, თუ რა მოხდებოდა, რომ არ მომხდარიყო ბახტრიონის აჯანყება; გაეცნონ ინფორმაციას ფერეიდნელ ქართველებზე და წერილობით უპასუხონ კითხვას: როგორ შეძლეს ფერეიდნელმა ქართველებმა ეროვნების შენარჩუნება. (20 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება. (5 წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია საქართველოში დევნილთა დღევანდელი მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ და მოძიებული მასალა წარუდგინონ კლასს.
საკლასო მენეჯმენტი	ინდივიდუალურად, მთელი კლასი
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, თაბახის ფურცლები
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	ინფორმაცია მოსახლეობის მიგრაციის შესაძლო მიზეზების შესახებ

გაკვეთილი იწყება გონებრივი იერიშით – რამ შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობისაგან დაცლა. სავარაუდო პასუხები: მტრის შემოსევა, იძულებითი გადასახლება, სტიქიური მოვლენები, ბუნებრივი კატასტროფები

მინი ლექცია შაჰ-აბასის საქართველოში ლაშქრობების შესახებ. მოსწავლეებს მოუთხრეთ იმის შესახებ, რომ 1614-1617 წლებში აბას პირველმა ოთხჯერ მოაწყო ლაშქრობა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. მხოლოდ ერთი ლაშქრობის დროს კახეთიდან 200 000 კაცი გადაასახლეს ირანის ხრიოკ რეგიონში – ფერეიდანში. შემოსევების შედეგად, მოსახლეობისაგან დაცარიელებულ ივრისა და ალაზნის ნაყოფიერ ველებზე თურქმანების ჩამოსახლება დაიწყო. ამ ლაშქრობების მიუხედავად, შაჰ- აბასმა ვერ მოახერხა აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება. ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. 1625 წელს, გიორგი სააკაძის ანტიირანული აჯანყების შედეგად მოხერხდა ქართლ-კახეთის გათავისუფლება და გაერთიანება თეიმურაზ პირველის მეფობით.

ბახტრიონის აჯანყებაზე მსჯელობა განუვითარებთ დამოუკიდებელ მსჯელობას და პრობლემის გააზრების, კრიტიკული ანალიზის უნარს. საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ ფერეიდნელი ქართველების შესახებ. გაიაზრებენ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ენის შენარჩუნებას გადასახლებულ ქართველებს შორის.

დევნილთა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ გამოიყენონ სხვადასხვა წყარო: ინტერნეტ რესურსები, ზეპირი ისტორიები, სოციალური ქსელი.

გაკვეთილის თემა	1.8. კახეთის ბუნების ღირსშესანიშნაობები
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა კახეთის ღირსშესანიშნაობებს. მოსწავლე მსჯელობს ბუნების დაცვის აუცილებლობაზე. მოსწავლე აანალიზებს ბუნების დაცვით პრობლემებს.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 3 (II) 11 (II) 12 (II) 13 (II) 14
აქტივობები და მეთოდები	**აქტივობა 1.** მინი ლექცია კახეთის ბუნების ღირსშესანიშნაობებზე, მათ შორის, დაცულ ტერიტორიებზე. (5 წთ) **აქტივობა 2.** ტექსტის ანალიზი. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და წერენ მოკლე თხზულებას „რატომ უნდა დავიცვათ ბუნება“. (15 წთ) **აქტივობა 3.** შესრულებულ დავალებას წარუდგენენ კლასს. (15 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება (2 წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოიფიქრონ სლოგანი ბუნებისდაცვით პრობლემებზე.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალური
რესურსი	სახელმძღვანელო, ცარცი, დაფა
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების კრიტერიუმები
წინარე ცოდნა	კახეთის ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლები

მინი ლექციის საშუალებით, მასწავლებელი მიაწვდის ინფორმაციას რეკრეაციული რესურსების შესახებ. ყოფს მოსწავლეებს ორ ჯგუფად: ბუნებრივ-რეკრეაციული და კულტურულ-ისტორიულ რესურსებად. კახეთი მდიდარია ორივე ტიპის რესურსებით. კულტურულ-ისტორიული რესურსების შესახებ, მოსწავლეებს უკვე აქვთ ინფორმაცია წინა თავებიდან. რაც შეეხება ბუნებრივ-რეკრეაციულ რესურსს, მათ რიგს მიეკუთვნება ზღვების, ტბების, მდინარეების სანაპიროები, ტყეები, მთები, ერივნული პარკები, ნაკრძალები. ამ მხრივ გამოირჩევა ლაგოდეხისა და ვაშლოვანის ნაკრძალები. ტურისტებს ყოველთვის იზიდავს ისეთი ქვეყნები, სადაც ერთმანეთთან არის შერწყმული დასვენებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობები.

დამატებითი ინფორმაცია

რუბრიკა ეს საინტერესოა

ვაშლოვანის ნაკრძალის სახელი აქ გავრცელებულ საკმლის ხეს უკავშირდება. საკმლის ხეები შორიდან ვაშლის ხეებს ჰგავს და ამიტომაც დაერქვა ამ ადგილს „ვაშლოვანი“ .

ვაშლოვანს ზოგჯერ ქართულ სავანას უწოდებენ. ნაკრძალის მცენარეულობა იერით სავანის მცენარეულობას მოგვაგონებს, თუმცა მასთან საერთო არაფერი აქვს მცენარეთა შემადგენლობით.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ეკუთვნის ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი,

ეს ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც ხარობს ველური კაკლები. ამიტომ უწოდებენ კაკლის ყურესაც.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედის არწივის ხეობა. ეს არის კირქვულ კლდეებში გაჭრილი კანიონი. აქ იზრდება ენდემური და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი მცენარეები, როგორიცაა, მაგალითად , კახეთის მაჩიტა.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ლაგოდეხის ნაკრძალსა და აღკვეთილს მოიცავს. ნაკრძალი შეიქმნა 1912 წელს და პირველი დაცული ტერიტორიაა საქართველოში. აქ ბევრი

ენდემური მცენარეა გავრცელებული. ცხოველებიდან კი ბინადრობენ საქართველოში უკვე მკვეთრად შემცირებული სახეობები: ჯიხვი, ირემი, არჩვი, შველი, დათვი, ფოცხვერი, როჭო, რომელიც პირველად აქ აღწერეს.

კახეთში, ახმეტის რაიონში მდებარეობს ბაწაწა- ბაბანეურის დაცული ტერიტორიები.ის გადაშენების პირას მყოფი მცენარის- უთხოვარის და ძელქვის დაცვის მიზნით შეიქმნა.

ლეგენდის მიხედვით, უთხოვარის სახელი თამარ მეფესთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, ეს ხე იმდენად ძვირფას მცენარედ ითვლებოდა, რომ მისი მოჭრა-არმოჭრის საკითხს თვით მეფე წყვეტდა და რამდენადაც შეუვალი იყო ამ შემთხვევაში მეფის ნება, მას „უთხოვარი“ შეარქვეს. პეტერბურგში, ერმიტაჟის სურათების გალერეის ზოგ დარბაზში, იატაკი სწორედ ქართული უთხოვარითაა გალამაზებული.

ძველ დროში უთხოვარისაგან ამზადებდნენ კიდობანს, რაშიც პატარძალს მზითვს უწყობდნენ.

რთველი და რიტუალები

იმერეთში ყურძნის კრეფის შემდეგ ვენახში მამალს დაკლავდნენ. ჯანიან ბავშვს გააგორებდნენ- სამომავლოდ ასე მძიმე მტევნები მოისხასო.

ქართლში რთვლის წინ სალოცავში შესწირავდნენ თხას, ცხვარს ან მამალს. სუფრას ვენახში გაშლიდნენ, ხოლო პირველად აჭრილ აკიდოს ღვთაებას უძღვნიდნენ.

რაჭაში ყურძნის კრეფას მანამ არ დაიწყებდნენ, ვიდრე ცვარი არ შეშრებოდა, რადგან ცვრიან ყურძენს წყალი გაჰყვება და ღვინო რბილი გამოვაო.

სამეგრელოში ყურძენს რომ მოკრეფდნენ, ნამდვილი დღესასწაული იმართებოდა. ოჯახის უფროსი ზურგზე ბავშვს მოიკიდებდა და მაღლარ ვაზთან მივიდოდა და დაილოცებოდა- შენც ასე მოიხარე ყურძნის მტევნებისგან, როგორც მე ვარ მოხრილი ტვირთისგანო.

კახეთში რთველის შემდეგ ყველაზე მსუქან, მძიმეწონიან ქალს გააგორებდნენ ხოლმე ვენახში, რომ გაისადაც ბარაქიანი მოსავალი მოეწიათ.

იუნესკომ ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

დავით გარეჯის მონასტერი VI საუკუნეში ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის დაარსებული სამონასტრო კომპლექსია. აქ არსებული მკაცრი ბუნებრივი პირობები შესაფერისი იყო ბერების ასკეტური ცხოვრებისთვის.წყალსაც კი საშინლად მწარე გემო ჰქონდა. გადმოცემის თანახმად, მამა დავითის ლოცვით წყალი გამტკნარდა და სასმელად ვარგისი გახდა. ამ წყაროს„ დავითის ცრემლები“ უწოდეს.მრავალგზის დარბევის მიუხედავად, სამონასტრო ცხოვრება დავით გარეჯში XIX საუკუნის დასასრულამდე არ შეწყვეტილა. ცნობილია, რომ შაჰ- აბასმა XVII საუკუნეში აქ მცხოვრები ყველა ბერი ამოწყვიტა.

კახეთის მკვიდრი იყო არაერთი ცნობილი მამულიშვილი. ყვარელი – ილია ჭავჭავაძის მშობლიური მხარეა. ქიზიყში, სოფელ მირზაანში დაიბადა მხატვარი ნიკო ფიროსმანი. თელავიდან ეზიარა დიდ ხელოვნებას ცნობილი მხატვარი ელენე ახვლედიანი. კახეთიდან იყვნენ ქართული თეატრის ცნობილი რეჟისორები კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი. საგარეჯოს სოფელ პატარძეულიდან იყო პოეტი გიორგი ლეონიძე, კარდენახიდან – იოსებ ნონეშვილი, ხაშმიდან- რეზო ინანიშვილი.სიღნაღში დაიბადა ცნობილი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი ,ვის სახელაც დღეს ატარებს თბილისის კონსერვატორია.

ქალაქი ყვარელი მდინარეების ბურსასა და დურუჯის ნაპირებზეა გაშენებული. ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ძველი სატახტო ქალაქი გრემი, ნეკრესის მონასტერი და ორი ულამაზესი ტბა- ილიას და ყვარლის ტბა. ყვარლის სიახლოვეს მდებარეობს ლოპოტის ტბაც. სამივე მათგანი მნიშვნელოვანი ტურისტული კომპლექსია.

ქართული ფოლკლორის მარგალიტებია კახური ხალხური სიმღერები: „მრავალჟამიერი“. „დაიგვიანეს“, „ბერიკაცი ვარ“, „ურმული“, „ ოროველა“. სიმღერა „ჩაკრულო“ კი 1977 წელს, ნასამ კოსმოსში გაუშვა.

კარი 2. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი

გაკვეთილის თემა	**2.4. მთის მხარეების ადგილი საქართველოს სახელმწიფოში**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე გაანალიზებს მთის – როგორც ბუნებრივი რეგიონის მნიშვნელობას საქართველოსთვის.
შესაბამისობა ესგ	(II) 3 (II) 6 (II) 14
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** ტექსტზე მუშაობა.- მოსწავლეები ჯგუფებში ამუშავებენ სახელმძღვანელოს ტექსტს (10 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეები შეადგენენ მსხვილ და წვრილ კითხვებს ტექსტიდან. (10 წთ) **აქტივობა 3.** პასუხები კითხვებზე. (10 წთ) **აქტივობა 4.** დისკუსია – მთას უფრო მეტად ჭირდება ბარი თუ ბარს მთა. (5 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება. **აქტივობა 6.** საშინაო დავალება
შეფასება	დისკუსიის შეფასების რუბრიკა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, თაბახის ფირცლები
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, წყვილები
წინარე ცოდნა	აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები

რეკომენდაცია

რთული და მარტივი კითხვების დასმის სტრატეგია გულისხმობს ცხრილის შევსებას შემდეგი წესით:

რთული კითხვები	მარტივი კითხვები
ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ იმ ტიპის ღია კითხვები, რომლებიც მოითხოვს ღრმა და გაშლილ პასუხს.	ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ იმ ტიპის კითხვები, რომლებიც ერთმნიშვნელოვან პასუხს მოითხოვს.

გაკვეთილის თემა	2.5. დასახლების ტიპები და ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მთაში
გაკვეთილის მიზანი	გაეცნოს მთაში განვითარებულ მეურნეობის დარგებს. იმსჯელოს მთის სოფლის თავისებურებებზე და ახსნას ამის მიზეზი.
შესაბამისობა ესგ	(II) 3 (II) 5 (II) 6
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** აზრობრივი რუკა: რა თავისებურებებით შეიძლება გამოირჩეოდეს მთის სოფელი და დაასახელეთ შესაძლო მიზეზები. (5წთ) **აქტივობა 2.** წყაროზე მუშაობა- აღწერონ რა არის გამოსახული წყარო 2-ზე და უპასუხონ დავალების კითხვებს. (10 წთ) **აქტივობა 3.** ტექსტზე მუშაობა – გაეცნონ ტექსტს მეურნეობის დარგების განვითარების შესახებ და შეავსონ ცხრილი – ერთ სვეტში საქართველოს მთის მხარეები მეორე სვეტში მეურნეობის დარგები. (10 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება (5 წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – დაწერონ ესე თემაზე: უნდა შენარჩუნდეს თუ არა სოფლად ტრადიციული მეურნეობის დარგები.
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების კრიტერიუმები
რესურსები	სახელმძღვანელი, დაფა, ცარცი
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფები
წინარე ცოდნა	მთის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

დამატებითი ინფორმაცია
(აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი)

ძმადნაფიცობის წესი საქართველოში ფშავ- ხევსურეთიდან გავრცელებულა. ძმად გაფიცვის ორი წესი ყოფილა. თურმე ძმადგასაფიცნი, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს დანით გაიჭრიდნენ, ერთმანეთს მიადებდნენ, სისხლს სისხლში ურევდნენ და ძმებად ითვლებოდნენ. მეორე წესის თანახმად, ყანწს არყით გაავსებდნენ, შიგ ვერცხლის რაიმე სამკაულს ჩაათლიდნენ, სათითაოდ დაილოცებოდნენ და ერთმანეთს ძმობას შეჰფიცებდნენ. სხვანაირად ძმადნაფიცებს ფიცვერცხლნაჭამებს უწოდებდნენ.

გადმოცემა გუდამაყარზე. ქორწილში სტუმრად მიმავალი მაყრიონიდან, ერთ-ერთი უცხენოდ დარჩენილა. დანარჩენები კი იყვნენ ცხენებით, მაგრამ ხურჯინი არავის ჰქონია.მასპინძელს მაყრიონისათვის ძღვენი გაუმზადებია და იმ ქვეითისათვის აუკიდებია. სტუმარი გზად მეტად დაღლილა, ხის ძირში მიწოლია და დაუძინია.მაყრიონს საჭმელ- სასმელი მოუკითხავს და გუდიანი მაყრის ძებნა დაუწყია. მიაგნეს თუ არა არავინ იცის. ეს სახელი კი შემორჩა ამ მხარეს- გუდამაყარი.

მყინვარწვერის მასივზე მდებარეობს ბეთლემის გამოქვაბული. იგი 1948 წელს იქნა გამოკვლეული ქართველი მთასვლელი ქალის, ალექსანდრა ჯაფარიძის მიერ.

სამასი არაგველი – 1795 წლის 11 სექტემბერს კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ მებრძოლთა რაზმი, რომელიც შედგებოდა სამასი ფშავ-ხევსურის და არაგვისპირელი გლეხისაგან. გადმოცემით, მათ ბრძოლის წინ შეჰფიცეს ერთმანეთს რომ ან გაიმარჯვებდნენ ან ბრძოლის ველზე დაეცემოდნენ, რაც შეასრულეს კიდეც. .

ბრძოლიდან 100 წელი იყო გასული, რომ წმინდანად შერაცხულმა კათოლიკოს–პატრიარქმა კირიონმა აღნიშნა გმირულად დაღუპული 300 არაგველის ხსოვნა და იქ მდებარე წმიდა ნიკოლოზის ტაძარში საგანგებო წირვა აღავლინა, ხოლო შემდეგ თბილისის სამღვდელოებამ ფართო საზოგადოებასთან ერთად კრწანისის ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა სულის საოხად დიდი პანაშვიდი გადაიხადა. ქართველმა მამულიშვილებმა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ეს დღე უდიდეს ეროვნულ დღესასწაულად გადააქციეს. „ამ წმინდა ადგილზე ჩვენ უნდა დავდგათ მუდმივად ანთებული კანდელები, რათა ყოველმა გამვლელმა გაიხსენოს 300 არაგველი და ის გმირები, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისთვის დაიღუპნენ", – ეს სიტყვები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წარმოთქვა უკვე 2008 წელს, როცა 300 არაგველი საქართველოს ეკლესიამ წმინდანთა დასში შერაცხა, როცა ჩვენი მხედრული, საგმირო ისტორიის დღესასწაული დაწესდა და ტრადიციად დამკვიდრდა.

ლაშქრობის წესები

1) კარგად უნდა გვესმოდეს ის სირთულეები რაც დახვდება გზაში (აღმართებში სიარული, ეკლიან ბუჩქებში გავლა, მთებზე და კლდეებზე ძრომიალი პატარა მდინარეებზე გადასვლა და ა.შ)
2) შესაბამისი ტანსაცმლით წამოსვლა. (ბოტასები ან კეტები, ზამთარში „ბატინკები", შარვალი და ზედა რომელიც არ დაგვენანება რომ დაიხეს)
3) ზურგჩანთის წამოღება
4) სასურველია დათქმულ დროს არ დაიგვიანოთ.
5) ლაშქრობაში, ჯგუფში უნდა სუფევდეს, პატივისცემა და ურთერთმხარდაჭერა.
6) ჯგუფის წევრები ვალდებული არიან დაემორჩილონ ჯგუფის ხელმძღვანელს და ასევე უფრო გამოცდილ ხალხს!
7) დაუშვებელია თვითნებურად მარშუტიდან გადასვლა (თუ რაიმე საგანგებო სიტუაცია არ შეიქმნა), თუმცა მცირე კორექტივების შეტანა შესაძლებელია.
8) ყურადღებით მოვეკიდოთ ისეთ ნივთებს რომელიც შეიძლება მალე აალდეს ან გამოიწვიოს აალება.
9) არ დატოვოთ ნაგავი იქ,სადაც იქნებით .გახსოვდეთ იმ ადგილას სხვაც უნდა ავიდეს რეკომენდაცია: მოსწავლეებს გააცანით ლაშქრობის წესები და დაასრულონ ან შეცვალონ ლაშქრობის წესები.

ათი მცნება

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.
2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა, არა თაყუანის-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.
3. არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა.
4. მოიხსენე დღე იგი შაბათთაჲ და წმიდა-ყავ იგი: ექუს დღე იქმოდე და ჰქმენ ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმრთისა შენისა.
5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა.
6. არა კაც-კლა.
7. არა იმრუშო.
8. არა იპარო.
9. არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითა.
10. არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუსისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისა მოყუსისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოველი, რაჲ იყოს მოყუსისა შენისა.

კარი 3. სამცხე-ჯავახეთი

გაკვეთილის თემა	3.2. სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობა
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა სამცხე-ჯავახეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. მოსწავლე განსაზღვრავს სამცხე-ჯავახეთის ადგილს საქართველოს კულტურისა და ისტორიის განვითარებაში.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 1 (II) 3 (II) 4
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი აჩვენებს ვარძიის და რაბათის ილუსტრაციებს და სთხოვს მოსწავლეებს გამოიცნონ, რომელი ძეგლებზეა საუბარი. (2 წთ) **აქტივობა 2.** მინი ლექცია სამცხე- ჯავახეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე. (5 წთ) **აქტივობა 3.** ტექსტის ანალიზი . მოსწავლეების ეცნობიან სახელნძღვანელოს ტექსტს და ავსებენ ცხრილს ვიცოდი, გავიგე,მინდა ვიცოდე. (15 წთ) **აქტივობა 4.** შესრულებული დავალების პრეზენტაცია. (10 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება. (5 წთ) **აქტივობა 6.** მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც აღმოჩნდა მათ გრაფაში მინდა ვიცოდე.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალურად
რესურსი	სახელმძღვანელო, ფოტო- ილუსტრაციები
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	სამცხე- ჯავახეთის გეოგრაფიული მდებარეობა

მინი ლექცია სამცხე-ჯავახეთის კულტურულ- მემკვიდრეობაზე.

როდესაც სამცხე-ჯავახეთზე ვსაუბრობთ, პირველად ალბათ კლდეში ნაკვეთი ქალაქი – ვარძია გვახსენდება. ვარძიის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. დასახლება თამარის ზეობის ხანაში აკურთხეს. არაერთი ლეგენდა უკავშირდება ვარძიას. თურმე მეფე გიორგი დიდებულებთან ერთად სანადიროდ ამ ადგილებს სწვევია და მისივე ასული, თამარიც წაუყვანია. ნადირობით გართულ მეფეს და მის მხლებლებს თამარისთვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ და თამაშით გატაცებული ბავშვი რომელიღაც გამოქვაბულში გაუჩინარებულა. ნადირობა შეწყვეტილა. შეშინებული მონადირეები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და თამარს უხმობდნენ. ერთ-ერთი მონადირის ხმა მომავალ მეფეს გაუგია და უყვირია: აქა ვარ ძია. ამის შემდეგ დაურქმევიათ ვარძია. მდინარე მტკვრის ხეობის ერთ მაღალ კლდესთან ქალაქის გამოკვეთა დაუწყიათ. იმასაც ამბობენ, მეფის ბრძანებით, დღეში ერთი ოთახი იკვეთებოდაო. მშენებლებს 365 ოთახი გამოუკვეთავთ და მშენებლობა ერთ წელიწადში დასრულებულა.

ადიგენის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ზარზმის მონასტერი. სულ პირველ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია. ახლანდელი ტაძარი და სამრეკლო მე-14 საუკუნეშია აგებული სამცხის მთავრის, ბექა მანდატურთუხუცესის მიერ.

ახალციხის რაიონში, სოფელ ღრელის შორიახლოს მდებარეობს საფარას მონასტერი. კომპლექსის ყველაზე ძველი შენობა ღვთისმშობლის მიძინების ერთნავიანი ეკლესიაა.

ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერაა აწყურის ციხე. ძველ წყაროებში მოიხსენიება როგორც აწყვერი. საქართველოსაკენ სამხრეთიდან მოახლოებულ მტერს აწყურის ციხე ერთგულ

დარაჯად ედგა. ჯავახეთში მდებარეობს ხერთვისის ციხე. იგი ანტიკური ხანის არის და მას საქართველოს ერთ-ერთ პირველ ქალაქად მოიხსენიებენ.

რაბათის ციხე ახალციხეში, მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ციხის ისტორია მე-9 საუკუნიდან იღებს სათავეს. მე-16 საუკუნეში ახალციხის მიდამოები ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო და მასობრივი ისლამიზაცია დაიწყო. კომპლექსში შემავალი მეჩეთიც და მედრესეც ოსმალთა ბატონობის დროინდელია. 1828- 1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ახალციხე რუსებმა დაისაკუთრეს.

გაკვეთილის თემა	**3.3. სამცხე- ჯავახეთის მოსახლეობის მრავალფეროვნება**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა სამცხე- ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნულ და რელიგიურ შემადგენლობას, მსჯელობს კულტურულ- რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 1 (II) 2 (II) 12 (II) 13
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მინი ლექცია სამცხის მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 2.** გაეცნონ სახელმძღვანელოს ტექსტს და გაანალიზონ რელიგიური და ეთნიკური ცვლილებების შედეგები. (10 წთ) **აქტივობა 3.** მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს შემდეგი სახის დავალებას: წარმოიდგინეთ, რომ ამზადებთ ნარკვევს სამცხე-ჯავახეთის შესახებ, რომელ ფაქტს და მოვლენას გამოიყენებდით? (5 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება. (5წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოამზადონ ჩანახატი: სამცხის მაცხოვრებლის ერთი დღე.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალურად
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, თაბახის ფურცლები
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	ეთნიკურად მრავალეროვანი მხარე – ქართლი

მინი ლექცია

სამცხის სახელწოდება სამხრეთ ქართული ტომის, მესხების სახელიდან (მესხი სამესხე-სამცხე) მომდინარეობს. ჯავახეთი პირველად ურარტუს მეფის, არგიშთი I-ის წარწერაში (ძვ. წ. 785 წ.) მოიხსენიება. ძვ. წ. IV საუკუნიდან სამცხე-ჯავახეთი ახლად შექმნილი აღმოსავლური ქართული სახელმწიფოს – იბერიის (ქართლის) სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ მხარეს ასევე „ზემო ქართლი“ ეწოდებოდა, ვინაიდან რეგიონი ქართლის მთავარი მდინარის, მტკვრის ზემო აუზს მოიცავდა. ახ. წ. VIII–X საუკუნეებში სამცხე-ჯავახეთი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღმოცენებულ ტაო-კლარჯეთის (იმავე „ქართველთა სამეფოს“) ჩრდილოეთ პროვინციას წარმოადგენს. ერთიანი ძლიერი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის ხანაში (XI–XIII სს.) სამცხე-ჯავახეთში ქართული კულტურის მძლავრი კერა ჩამოყალიბდა. შემდგომ ხანაში სამცხე-ჯავახეთი სხვადასხვა დამპყრობელის შემოსევის ობიექტად იქცა. ეს მხარე დიდად დაზარალდა ჯერ მონღოლების, შემდეგ ირანელთა და ოსმალთა თავდასხმების შედეგად.

XV-XVI საუკუნეებში, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, სამცხე-ჯავახეთი დამოუკიდებელი ქართული სამთავროს, სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაშია. XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა დაიპყრო, რის შემდეგაც სამცხე-ჯავახეთი აქ შექმნილ „გურჯისტანის ვილაიეთში" („საქართველოს რეგიონი") გააერთიანეს და მას ოდნავ მოგვიანებით ახალციხის საფაშო ეწოდა. ამ დროიდან, ოსმალეთის იმპერიის სოციალურ- ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, იწყება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 44 იძულებითი გამაჰმადიანება. ქართველთა დიდი ნაწილი ნელ-ნელა გამაჰმადიანდა, ნაწილმა მეზობელ ქართლისა და იმერეთის სამეფოებს შეაფარა თავი, მცირე ნაწილი კი ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით მართლმადიდებლობიდან კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადავიდა. 1828-1829 წლების და შემდგომი პერიოდის რუსეთ-ოსმალეთის ომების (1853-56, 1877-78) შედეგად, სამცხე-ჯავახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ამ ომებში, კერძოდ ამიერკავკასიის ფრონტებზე, მიღწეული რუსეთის სამხედრო ძალების წარმატებებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ე. წ. „ქართულმა მილიციამ" (სახალხო ლაშქარმა); ხოლო ოსმალეთისათვის ძველი საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების ჩამორთმევის სამართლებრივ საფუძველს შუა საუკუნეების საქართველოს სამეფოს საზღვრებისა და მისი მკვიდრი მოსახლეობის გავრცელების ისტორიული წანამძღვრები წარმოადგენდა.

რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად გამაჰმადიანებული მოსახლეობის ერთი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. მათ ადგილას რუსულმა ხელისუფლებამ თურქეთიდან სომხური მოსახლეობა ჩამოასახლა, ხოლო რუსეთიდან – შედარებით მცირე რაოდენობით ერთ-ერთი რუსული ქრისტიანული სექტის მიმდევრები, ე.წ. დუხობორები (ამ უკანასკნელთა ძირითადმა ნაწილმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქაურობა მიატოვა). საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხანაში (1918–1921 წწ.) სამცხე-ჯავახეთში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია დამყარდა. 1922 წლიდან სამცხე-ჯავახეთი საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკის ერთ-ერთი მხარეა. მეორე მსოფლიო ომის დროს 1944 წელს საბჭოთა რეჟიმის მიერ აქ დარჩენილი მაჰმადიანი მოსახლეობა, რომლის უმეტეს ნაწილს ეთნიკური ქართველები – მესხები შეადგენდნენ, იძულებით შუა აზიაში გადაასახლეს. მათ ადგილას ორგანიზებულად ჩამოასახლეს ზემო იმერეთისა და რაჭის მთიანი სოფლების მცხოვრებნი. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან აქ გაჩნდა ზემო აჭარიდან გადმოსულ ეკომიგრანტთა დასახლებებიც.

სამცხე-ჯავახეთში მრავლადაა როგორც წინაქრისტიანული, ასევე ქრისტიანული ხანის ძეგლები, ეკლესიები და ციხესიმაგრეები. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ძვ. წ. II ათასწლეულის მეგალითური ნაგებობები და მენჰირები საროში, აბულში, შაორში, ჭიქიანში და სხვ. ასევე განსაკუთრებით მრავალფეროვანია ქრისტიანული ხანის ძეგლები. ესენია სამონასტრო კომპლექსები – საფარა, აგარა, ფოკა, ცალკე მდგარი 45 ეკლესია: ზარზმა, გავეთი, კუმურდო და სხვ.; ციხესიმაგრეები – აწყურის ციხე, ოქროსციხე, თმოგვის ციხე-ქალაქი, ხერთვისის ციხე; კლდეში ნაკვეთი კომპლექსები – ვარძია, ვანის ქვაბები (სამცხე-ჯავახეთი გზამკვლევი, 2012: 18).

ჯავახეთი, მესხეთთან ერთად, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა, რომლის ისტორია ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილისათვის ნაკლებადაა ცნობილი, ხოლო არაქართველი მოსახლეობისათვის დამახინჯებული სახითაა მიწოდებული. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა გარკვეული ჯავახეთის ისტორიის საკითხები. საქართველოს დღევანდელი რეგიონალური დაყოფის მიხედვით ჯავახეთი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შედის და მოიცავს: ახალქალაქის, ნინოწმინდის, ნაწილობრივ ასპინძის და ბორჯომის რაიონების ტერიტორიებს. ისტორიულად ჯავახეთი სამხრეთ საქართველოს გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის სამხრეთის კარიბჭეს წარმოადგენდა. ჯავახეთის ტერიტორია უხსოვარი დროიდან იყო დასახლებული. ამას ადასტურებს იქ აღმოჩენილი პალეოლითის, მეზოლითისა და ნეოლითის ძეგლები. ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულია ქართული პროვინციების სახელები: „ქათარზა" ანუ კლარჯეთი, „ოძრხე" (ქალაქი, დღევანდელი დაბა აბასთუმანის ტერიტორიაზე). „ოძრხე" სამცხის, ანუ მესხეთის, უძველესი სახელია, „ზაბახა" კი ჯავახეთის უძველესი სახელია. ესე იგი, ჯავახები უძველესი ქართული ტომის „ზაბახები"-

ის შთამომავლები არიან, თუმცა, პავლე ინგოროყვას მოსაზრებით, ჯავახი უძველეს ქართულ სატომო სახელწოდებას – ტაოხს უკავშირდება. ტაოხები დიაოხის (ტაოს) ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ და დღევანდელი თურქეთის ჩრდილო აღმოსავლეთის, სამხრეთი საქართველოს, მათ შორის, ჯავახეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მისივე აზრით, ტაოხ-ს და ჯავახ-ს შორის შუალედური ფორმა უნდა ყოფილიყო ჭაოხი, ჯავახი (ბერძენიშვილი, 1975). ურარტუს მეფე არგიშტი I-ის წარწერაში, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის 785 წელს განეკუთვნება, დაპყრობილ ქვეყნებად მოხსენიებული კლარჯეთი, სამცხე და ზაბახა, ანუ ჯავახეთი, დიაოხის (ტაო) ქვეყანას ესაზღვრებოდა და სამხრეთით მტკვრის სათავემდე ვრცელდებოდა. ლეონტი მროველის მიხედვით, ჯავახეთი ლეგენდარულ მამამთავარს, მცხეთოსის ძე ჯავახოსს ეკუთვნოდა „ქვეყანა ფარავნის ტბიდან მტკვრის სათავემდე". მასვე აუშენებია ორი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი არტანისა, იგივე ქაჯთა ქალაქი. იმავე ქვეყანას ფარნავაზის მეფობის დროს (ძვ.წ.აღ. IV-III სს) მეფის მიერ დანიშნული ერისთავი განაგებდა, რომელიც წუნდაში იჯდა. ისტორიულად ჯავახეთი ზემო და ქვემო ნაწილებად იყოფოდა. ქვემო ჯავახეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს განსაზღვრავდა მტკვრის შენაკადი მდინარეები და ხევები, ნიალისა და ბუზმარეთის მთიანი პლატოები. თითოეულ მათგანს თავისი რელიგიური და ადმინისტრაციული ცენტრები ჰქონდა, მაგრამ ყველა მაინც ემორჩილებოდა წუნდის, შემდგომში კი თმოგვის გამგებელს. ზემო ჯავახეთში კი, სადაც გეოგრაფიულად პატარ-პატარა მდინარეების შემკრებ ფუნქციას დიდი და პატარა მთებით შემოსაზღვრული ტბები ასრულებს, ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების განმსაზღვრელად ამ ტბათა (საღამოს, ხანჩალის, კარწახის, ფარავნის, ტაბაწყურის და სხვ.) ქვაბულებში განლაგებული სოფლებით შექმნილი პატარა „ქვეყნები" გვევლინებოდა. ქართლის სამეფოში (ძვ. წ. აღ. III საუკუნე, ახ. წ. აღ. VI საუკუნის 30-იანი წლები) ჯავახეთი, კოლა და არტაანი წუნდის საერისთავოს სახით შედიოდა. წუნდის, ოძრხეს და კლარჯეთის საერისთავო ერთობლიობაში შეადგენდა ისტორიულ ზემო ქართლს. „...ზემო ქართლი, ანუ მესხეთი, სამცხე- ჯავახეთითგან მოყოლებული ტაო ისპირამდე ერთ საგამგეო ერთეულს, საერისთავთ- ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა..." (ჯავახიშვილი..., 1989: 45). ამ პერიოდში ქართლის მეფეებს სამი რეზიდენცია ჰქონდათ: მცხეთა (საგაზაფხულო და საშემოდგომო), გაჩიანი (საზამთრო) და წუნდა (საზაფხულო). ჯავახეთი – ესაა წმინდა კუთხე საქართველოსი, საიდანაც შემოვიდა წმინდა ნინო, ფეხით გაიარა გზა ფარავნიდან მცხეთამდე, იქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება და სწორედ მისი მოღვაწეობის შედეგად მირიან მეფემ 327 წელს, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

ჯავახეთისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 737 წელს, არაბების შემოსევა მურვან ყრუს მეთაურობით. ამ დროს გაწყდა ადგილობრივი ჯავახი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. IX საუკუნეში გუარამ მამფალმა, რომელიც მტკვრის ხეობაში შემოვიდა, დაიპყრო ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, არტაანი და შექმნა ჯავახეთად წოდებული მსხვილი ფეოდალური სამთავრო (ჯავახიშვილი, 1948: 115, 342-350, 578). 47 ჯავახეთი სამეფო ქვეყნად გადაიქცა და შემდგომ საუკუნეებშიც მას მეფის მიერ დანიშნული ერისთავები განაგებდნენ (კეკელიძე, 1951: 84). შემდგომ პერიოდშიც ჯავახეთი სამცხესთან ერთად საქართველოს არა მარტო კულტურული ცენტრი, არამედ პოლიტიკური ძლიერების დასაყრდენიც იყო. ეს ვითარება გაგრძელდა მე-16 საუკუნის ბოლო წლებამდე. XVI საუკუნის ბოლოს მთელი სამცხე-საათაბაგო, ჯავახეთის ჩათვლით, ოსმალებმა დაიპყრეს. ოსმალებმა დაპყრობილ საქართველოს ნაწილს „გურჯისტანის ვილაიეთი" უწოდეს, სადაც ჯავახეთის საფაშოც შედიოდა. სამცხის მფლობელნი ოსმალეთმა „ახალციხის ფაშებად" გამოაცხადა და ეს უმშვენიერესი მხარე დედა-სამშობლოს ჩამოაცილა. ახალციხის საფაშო 24 თემად ანუ სანჯაყად დაყო და თითოეულ მათგანს სათავეში მემკვიდრეობით სანჯაყბეგები ჩაუყენა.

ქვეყნის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ექსპანსიის მიზნით დაიწყო მოსახლეობის გამაჰმადიანება, ჯერ ზედა ფენაში, ხოლო შემდეგ, ხანგრძლივი ბრძოლით, ქვედა ფენაშიც. XVII საუკუნის დასაწყისიდან დაწყებული გამაჰმადიანების ეს ინტენსიური პროცესი XVIII საუკუნეშიც გაგრძელდა და XIX საუკუნის დამდეგს დასრულდა. დამპყრობლების მოძალებამ, ცხადია, ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია გამოიწვია საქართველოს სხვადასხვა მხარეში. XVI საუკუნეში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით (ჯიქია, 1941: 12-24), ჯავახეთის

შემადგენლობაში შედიოდა ცხრა რაიონი: ხერთვისის, ტყიანი ჯავახეთის, ბუზმარეთის, აკშეჰირის, თმოგვის, ნიალის ყურის, ჯანბაზის, ქანარბელისა და მგლის ციხის, სადაც სულ, დაახლოებით, 450 სოფელი ყოფილა და ყველა მათგანში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ცხადია, საქართველოსთვის ასეთი მნიშვნელოვანი კუთხის ჩამოშორებას და ამდენი თანამოძმის სამშობლოსაგან მოწყვეტას ქართველები ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ. საქართველოს მაშინდელი მეფეები, თეიმურაზ II და მეფე ერეკლე, აგრეთვე, იმერეთის მეფე სოლომონ I, ერთის მხრივ, ცდილობდნენ კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ ახალციხის ფაშებთან, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული თავიანთი ქართული წარმომავლობა და, მეორე მხრივ, ხელსაყრელ მომენტს ეძებდენენ, რათა საქართველოს ამ ისტორიულ მხარეზე კვლავ აღედგინათ ზეგავლენა. მიუხედავად ამისა, მათ არ ჰქონდათ საქართველოს ამ ძირძველი მიწაწყლის მიმართ თანმიმდევრული პოლიტიკა, რითაც კარგად სარგებლობდნენ ადგილობრივი თუ გარეშე მტრები – ძარცავდნენ და აჩანაგებდნენ აქაურობას. მოსახლეობა გარბოდა ან ენით აუწერელი გაჭირვება-დამცირების და გმირობის ფასად ინარჩუნებდა მშობლიურ მიწა-წყალს. პროფესორ შოთა ლომსაძის აზრით, სომეხ მელიქთა და მდიდარ ვაჭართა ლოლიავს ერეკლემ ქვემო ქართლი კინაღამ გადააყოლა (ლომსაძე, 1975: 344). ერეკლეს მიერ ნაბოძები პრივილიგიების ხარჯზე ბოლნის-დმანისში ჩასახლებული 700 ყარაბაღელი სომხისგან, მელიქაბოვი აგროვებდა რაზმებს, თავს ესხმოდა ჯავახეთს, ძარცავდა, მოჰქონდა ნადავლი და მოჰყავდა ხალხი, რომელთაც მერე ძალით ასომხებდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად, სამცხე-ჯავახეთი გათავისუფლდა თურქეთის ბატონობისგან, მაგრამ ამან ოდნავი სარგებელიც კი ვერ მოუტანა ადგილობრივ, დაბეჩავებულ ქართველ მოსახლეობას. პირიქით, მეფის რუსეთის ვერაგული გეგმის შესაბამისად, ეს მხარე მაქსიმალურად გაიწმინდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობისაგან და მათ ადგილზე მოხდა სომხების, ბერძნების, ქურთების, თარაქამების, რუსი სექტანტების – დუხობორების ჩასახლება. იგეგმებოდა, აგრეთვე, კაზაკებისა და გერმანელი კოლონისტების ჩასახლებაც. ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის პირველი ომის (1806-1812) დროს რუსი მთავარსარდლის, ტორმასოვის უშუალო ბრძანებით, 1810 წელს ახალციხის საფაშოდან გასახლებულ იქნა 1506 ქართული ოჯახი. მხოლოდ სოფელ კოთელიიდან მაშინ 112 კომლი გაასახლეს ლორეში, რომელთა უმრავლესობა ძალდატანებით გაასომხეს. 1828 წლის ადრიანოპოლისის ზავით რუსეთმა შემოიერთა ახალციხის საფაშოში შემავალი 24 სანჯაყიდან მხოლოდ ათი: ქობლიანის, ოძრხის (აბასთუმნის), ახალციხის, აწყვერის, ასპინძის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჯარაქის, ფოცხოვის და პალაკაციოსი (ჩილდირის). შემდგომ ამ მხარეს რუსეთმა ახალციხის და ახალქალაქის მაზრები და ფოცხოვის უბანი უწოდა. რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ მესხეთის დანარჩენი ნაწილიც იქნა შემოერთებული, სახელდობრ, აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი – ოლთისი. აქედან პირველ სამს ბათუმის ოლქი ეწოდა, ხოლო ერუშეთი, არტაანი და ოლთისი ყარსის ოლქში გაერთიანდა.

აქტივობა 2-ის სავარაუდო პასუხები: რელიგიური ცვლილების შედეგი – გავრცელდა კათოლიკობა, ისლამი; ეთნიკური ცვლილების შედეგი – გაიზარდა სომხური მოსახლეობის რაოდენობა.

დამატებითი ინფორმაცია

შალვა და ივანე „ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი“, იყვნენ თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის დროინდელი საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო დიდმოხელენი, წინამბრძოლი ლაშქრის სარდლები, ჯავახეთისა და კარის მხარისმენაპირენი, უფლისწულთა მეურვენი, ანუ ათაბაგები, თორელთა საგვარეულოს ახალი განშტოების – ახალციხელთა გვარის დამდებნი. ძმები, როგორც ჩანს, მათი თანაბარი ძალისა და მნიშვნელობის გამო ქართულ ნარატიულ და ეპიგრაფიკულ ძეგლებში (და არა მარტო ქართულ) თითქმის ყოველთვის ერთად იხსენიებიან. თორელთა ძირითადი შტოს პირველობა ძმების ხელში XII საუკუნის ბოლოს გადავიდა. გამრეკელ თორელის შემდეგ შალვა და ივანე გახდნენ ჯავახეთის მონაპირენი. შამქორთან ბრძოლაში ქართველებმა მრავალი ტყვე და დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელთ. შალვა ახალციხელმა ხალიფას დროშაც მოინადავლა. დროშა თამარ მეფემ გელათში დასვენებულ ხახულის ღვთისმშობლის ხატსშესწირა. ამ ომის მსვლელობას ეხება განძანის წარწერა, რომელშიც შალვა ახალციხელის შესახებ ვკითხულობთ: „ძლიერი დაუძლეველი ყოველთა მტერთაგან... რომელმან ძალითა ლომითისაითა და მკლავითა თვისითა შეაძრწუნა ყოველი სოფელისპარსეთისაი“. როცა კარი მიითვალა მეფემ, მის მცველად დანიშნა ივანე ახალციხელი, „აჩინა მონაპირედ“, უბოძა ათაბაგობა დაამირსპასალარობა. მასვე უბოძა კარული და მისი ქვეყანა. შალვა და ივანე დანიშნა მეფე თამარმა ამ მხარის მენაპირეებად.

ბასიანში დაბანაკებულ სელჩუკთა უზარმაზარ ჯარს ქართველთა ლაშქარი მოულოდნელად დაესხა თავს. ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა შალვა და ივანე ახალციხელები დააყენა ცენტრში წინამებრძოლებად. მათთან ერთადიყვნენ „სხვა თორელნი“. ბასიანის სახელოვანი ომის შემდეგ შალვა ახალციხელი მანდატურთუხუცესი გახდა და ეს თანამდებობა მას 1225 წლამდე ეპყრა. სომხითში სოფელ გარნისთან დაუპირისპირდნენ ქართველები ჯალალედინის ურიცხვ ჯარს. მესხების ლაშქარს წინაბრძოლად ედგნენ შალვა და ივანე „სახელოვანნი იგი მბრძოლნი ვითარ წესად არს სახლსა მათისა“.

ივანე მხარგრძელს „შური შეუძნდა“ ძმების მიმართ, თუ ხანდაზმულობის გამო, სწრაფი და სწორი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, დამხმარე ძალა არ მიაშველა ახალციხელებს. უთანასწორო ბრძოლა ქართველების მარცხით დასრულდა. გარნისის კლდეებში თავშეფარებულ ივანეს მაღალი კლდიდან მოწყვეტილი ქვა დაეცა და იქვე გაათავა. შალვა კი ტყვედ ჩაიგდეს ხვარაზმელებმა. ჯალალედინმა ტყვისათვის შეუსაბამო პატივი მიაგო მას, განზრახული ჰქონდა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი გამოყენება „ახოვნებასა“ და „წყობათა შინა სიქველის გამო“, მაგრამ ერთი წლის შემდეგ „ქრისტეს ჯურის არ დატევების გამო“ სიკვდილით დასაჯა. ჯუვეინის ცნობით კი, ჯალალედინმა შეიტყო თუ არა, რომ დატყვევებული შალვა ახალციხელი თავისიანებს წერილებს წერდა და თბილისზე თავდასხმის მზადების ამბავს ატყობინებდა, მაშინვე მოაკვლევინა. ასე შეეწირნენ ძმები სამშობლოს დაცვის საქმეს. არც მათ შთამომავლებს დაუკლიათ ქვეყნისათვის თავის დადება და მეფე მთავრების ერთგულება, მაგრამ მაინც შალვა და ივანე ახალციხელების სიქველე და „ბრძოლობა“ საარაკო მაგალითად რჩება საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. გადმოცემის თანახმად, სწორედ შალვა ახალციხელს ეძღვნება სიმღერა „შავლეგო“.

კარი 4. გურია

გაკვეთილის თემა	**4.1. გურიის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა გურიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს. მოსწავლე რუკის საშუალებით შეძლებს მასზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვას.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 3 (II) 4
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** რუკის (გვ.8-9) საშუალებით, განსაზღვრონ გურიის გეოგრაფიული მდებარეობა და ჩამოთვალონ მისი მოსაზღვრე მხარეები ჰორიზონტის მიმართულებების მიხედვით. (5წთ) **აქტივობა 2.** გაეცნონ წყვილებში სახელმძღვანელოს ტექსტს და შეავსონ ცხრილი (იხ. ცხრილი). (15 წთ) **აქტივობა 3.** შესრულებული დავალების პრეზენტაცია. (10 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება. **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია გურიის კურორტებზე.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, წყვილები
რესურსები	სახელმძღვანელო, რუკა დაფა ცარცი
შეფასება	მიმდინარე დავალების შფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	გურიის მოსაზღვრე მხარეების ბუნებრივი პირობები და გეოგრაფიული გარემო.

ცხრილი

რელიეფი	ადმინისტრაციული დაყოფა	ჰავა	სასარგებლო წიაღისეული	ჰიდროგრაფიული ერთეულები	კურორტების ტიპები

გაკვეთილის თემა	4.3. გურიია – კურორტებით მდიდარი მხარე
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე გაეცნოს გურიაში არსებულ კურორტებს, იმსჯელოს მათი განვითარების პერსპექტივებზე.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 3 (II) 6 (II) 7 (II) 12
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ, რომელი კურორტები მდებარეობს გურიაში და შეავსონ ცხრილი (იხ. ცხრილი) მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ უკვე ინფორმაცია ამ კურორტების შესახებ, რადგან საშინაო დავალებად ჰქონდათ მიცემული დამატებითი ინფორმაციის მოძიება. (5 წთ) **აქტივობა 2.** ჯგუფური მუშაობა კლასი იყოფა ჯგუფებად . თითო ჯგუფს ჰქვია რომელიმე კურორტის სახელი. ისინი ამზადებენ საინფორმაციო ბუკლეტს და ასაბუთებენ საკუთარ უპირატესობას. ერთი ჯგუფი წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელმა ჯგუფმა შეძლო უკეთ წარმოეჩინა საკუთარი კურორტის უპირატესობა. (15 წთ) **აქტივობა 3.** შესრულებული დავალების პრეზენტაცია. (15 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება და თვითშფასება. (5 წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – დაწერეთ ესე თემაზე: მე რომ გურიის გუბერნატორი ვიყო.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფები
რესურსები	თაბახის ფურცლები, მარკერები, სახელმძღვანელო
შეფასება	ჯგუფური მუშობის, თვითშეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	ინფორმაცია გურიის კურორტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების შესახებ

ცხრილი

მთის კურორტი	ზღვის კურორტი	სამთო-სათხილამურო

დამატებითი ინფორმაცია

რუბრიკა ეს საინტერესოა

სამი მშვენიერი ლეგენდა მოგვითხრობს გურიაში მდებარე ეკლესიების შესახებ. პირველი მათგანის თანახმად, სოფელ აჭში მოსახლეობა დევს შეუწუხებია. ხალხს შემწეობისათვის წმინდა გიორგისთვის მიუმართავს. წმინდანს დევი მოუკლავს და გაუქვავებია. მადლიერების ნიშნად ამ ადგილას ტაძარი აუგიათ. მდინარე აჭისწყლის პირას, ახლაც არის დიდი ლოდი, რომელსაც გურულები „დევის ქვას“ უწოდებენ.

მეორე ლეგენდა ჯიხეთის მონასტერს ეხება.თურმე იქ მოღვაწე წმინდა დედებს ისე აწუხებდათ უწყლობა, რომ ახალი მონასტრის ასაგებად სხვა ადგილის შერჩევა გადაუწყვეტიათ. არჩევანი სამი მტრედისთვის მიუნდიათ. მტრედებს მშვენიერი ადგილი შეურჩევიათ და მართლაც აუშენებიათ ახალი მონასტერი, სადაც არა მხოლოდ ლოცულობდნენ, არამედ წერს-კითხვასა და საოჯახო საქმეებსაც ასწავლიდნენ.

მესამე ლეგენდის თანახმად, თვით თამარ მეფეს ჩამოუყვანია ბერძენი ოსტატები და ორი ეკლესიის აგება უბრძანებია. ერთი სოფელ აცანაში უნდა აეგოთ, მეორე კი აკეთში. აცანის მონასტერი თავად ოსტატს აუგია, აკეთში კი მის შეგირდს. თამარ მეფეს შეგირდის აშენებული უფრო მოსწონებია, რის გამოც განრისხებულ ოსტატს თავისივე შეგირდი დაუსჯია.

გურულებს დღესასწაულებზე ოდითგანვე სხვადასხვა რიტუალი ჰქონიათ. მათი ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. საშობაო ღვეზელი გურულია და შობის წინა ღამეს მას დღესაც ამზადებენ ყველა გურულ ოჯახში. გურიაში ძველით ახალ წელს, იგივე კალანდას, რთავენ ჩიჩილაკს, ხის თეფშებზე აწყობენ ხაჭაპურს, ღორის თავს, ტკბილეულს და ღვინით სადღეგრძელოებს მიირთმევენ.

XIX საუკუნის ბოლოს, გურული მხედრების ჯგუფი საზღვარგარეთ გაემგზავრა. ისინი ინგლისში შეუერთდნენ ცნობილი ამერიკელი შოუმენის, ბაფალო ბილ ქოუდის „Wild West show“ – ველური დასავლეთის შოუს, ხოლო 1893 წელს კი გურულები აშშ-ში ჩავიდნენ. გურულები „რუსი კაზაკების“ სახელით 30 წელზე მეტ ხანს გამოდიოდნენ ბაფალო ბილისა და სხვა ცირკებისა და შოუების არენებზე, მათ საყოველთაო აღიარება მოიპოვეს. დასავლეთის განთქმული მკვლევარი და ისტორიკოსი დი ბრაუნი წერდა: „ცხენზე ჯირითი როდეოში შემოიტანეს თავზეხელაღებულმა კაზაკებმა. კაზაკების თავბრუდამხვევი ტრიუკებით დაინტერესებულმა ქაუბოებმა ეს გაითავისეს და შემდგომ თავისებური ვარიანტი წარმოადგინეს ამერიკულ როდეოში“. ამერიკული გაზეთები წერდნენ ქართველების განუმეორებელ ჯირითზე: „ისინი უნაგირზე ხელებზე და ფეხებზე დამდგარი აჭენებდნენ ცხენებს“. „კაზაკი“ ცხენოსნების შესახებ ინფორმაციამ მალე სამეფო ოჯახის ყურამდეც მიაღწია. 1892 წლის 25 ივნისს, ქართველები ივანე მახარაძის თაოსნობით, წარდგნენ დედოფლის, სამეფო ოჯახისა და სხვა არისტოკრატების წინაშე. წარმოდგენით აღფრთოვანებულმა დედოფალმა ვიქტორიამ მოოქროვილი ალბომი გადასცა მათ, სადაც მათი წარმოდგენის ამსახველი ფოტოები იყო მოთავსებული.

კარი 5. რაჭა-ლეჩხუმი

გაკვეთილის თემა	**5.4. რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ცხოვრების სტილი**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე გაეცნობა რაჭიდან მოსახლეობის მიგრაციის მიზეზებს. მოსწავლე აანალიზებს მიგრაციის პროცესის შესაძლო შედეგებს.
ესგ მისაღწევი შედეგები	(II) 3 (II) 4 (II) 6
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს კითხვით: რა მიზეზებმა შეიძლება განაპირობოს მოსახლეობის მიგრაცია . სავარაუდო პასუხები იწერება დაფაზე. (5 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეები ეცნობიან ხალხურ ლექსს და ამოწერენ იმ წინადადებებს, საიდანაც ჩანს თუ რა მიზეზების გამო ტოვებდნენ რაჭველები საკუთარ მიწა- წყალს.შეადარონ დაემთხვა თუ არა მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. (5 წთ) **აქტივობა 3.** ტექსტზე მუშაობა. ამოწერონ ყველა ის საქმიანობა, რომელსაც რაჭველები გარე სამუშაოებზე მისდევდნენ და შეავსონ აზრობრივი რუკა. (5წთ) **აქტივობა 4.** გაეცნონ ილია ჭავჭავაძის მოსაზრებას რაჭის შესახებ და გაანალიზონ, რა პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას ილია. (10 წთ) **აქტივობა 5.** დისკუსია- რა დადებითი და უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს გარე სამუშაოებზე მოსახლეობის გასვლას. (10 წთ) **აქტივობა 6.** შეფასება. აქტივობა 7. საშინაო დავალება – მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოდან მიგრაციული პროცესების შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალურად
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი
შეფასება	დისკუსიის შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	რაჭა-ლეჩხუმის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, რაჭა-ლეჩხუმის მეურნეობა

პირველი აქტივობის სავარაუდო პასუხები: ომიანობა, მძიმე პირობები, შიმშილი, სტიქიური მოვლენები. აქვე დაუზუსტეთ ტერმინის – მიგრაცია მნიშვნელობა.

ლექსში დასახელებული მიზეზები: არა გვაქვს ბარად სახნავი, არცა სათიბი მთაშია.

საქმიანობა, რომელსაც მისდევდნენ რაჭველები გარე სამუშაოებზე: მეპურე, მხერხავი, მეზვრე, ვაჭარი, მენახშირე, დურგალი.

ილიას აზრით, რაჭისთვის მთავარი პრობლემა მოსახლეობის გადინებაა.

სავარაუდო არგუმენტები დისკუსიის დროს: დადებითი შედეგი – დასაქმდებიან და გაუჩნდებათ შემოსავალი, უარყოფითი – მხარე მოსახლეობისგან დაიცლება.

გაკვეთილის თემა	**5.5. რაჭველები – ქართველი მოვაჭრეები**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე ეცნობა სავაჭრო ურთიერთობებს რაჭველებსა და ოსებს შორის. მოსწავლე აანალიზებს სავაჭრო ურთიერთობის დადებით გავლენას კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე.
ესგ მისაღწევი შედეგი	(II) 3 (II) 6 (II) 7 (II) 9
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ სად მიდიოდნენ რაჭველები საქართველოს ფარგლებს გარეთ გარე სამუშაოებზე(პასუხი ჩრდილოეთ კავკასია). (2 წთ) **აქტივობა 2.** მონახონ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რუკაზე (ნაწილი პირველი, გვ.86-87) უღელტეხილი, რომლითაც რაჭველები ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდნენ. (5 წთ) **აქტივობა 3.** მინი ლექცია რაჭველების და ოსების ურთიერთობების შესახებ. (8 წთ) **აქტივობა 4.** შეავსონ T დიაგრამა რაჭველებსა და ოსებს შორის ურთიერთობების შესახებ – სავაჭრო და კერძმოკეთეობითი. აღწერონ, რას გულისხმობდა კერძმოკეთეობა. (10 წთ) **აქტივობა 5.** არგუმენტირებული მსჯელობა- არსებობს მოსაზრება, რომ ერებს შორის კეთილმეზობლური და მშვიდობიანი გარემოს შექმნა მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობაა. დაეთანხმეთ ან უარყავით ეს წინადადება. მოსწავლეები ზეპირად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. (15 წთ) **აქტივობა 6.** შეფასება (5 წთ) აქტივობა 7. საშინაო დავალება – მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოში ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, რუკა
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკები
წინარე ცოდნა	რაჭის გეოფრაფიული მდებარეობა, მეურნეობის დარგები, გარე სამუშაოებზე წასვლის მიზეზები

მინი ლექციის დროს გამოიყენეთ პარაგრაფში არსებული ინფორმაცია რაჭველებისა და ოსების ურთიერთობების შესახებ.

T დიაგრამის ერთ სვეტში ჩაიწერება სავაჭრო ურთიერთობების გამომხატველი ფრაზები: ვაჭრობდნენ შინაურ პირუტყვით ან ცვლიდნენ მატყლზე, ნაბადზე. მეორე სვეტში კი კერძომოკეთეობითი, მაგალითად, შვილებს აღსაზრდელად უტოვებდნენ.

არგუმენტირებული მსჯელობის დროს ჩაითვლება ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც ფაქტობრივ შეცდომას არ შეიცავს.

დამატებითი ინფორმაცია
(რაჭა-ლეჩხუმი)

რუბრიკა – ეს საინტერესოა

ნიკორწმინდის ტაძარი ამავე დასახელების სოფელში, ამბროლაურის რაიონში მდებარეობს. როგორც ტაძრის წარწერა გვამცნობს, ის აგებულია XI საუკუნეში.

სოფელ თლუღში, ზღვის დონიდან 1100 მეტრის სიმაღლეზე, მდებარეობს ტეხისას წმინდა გიორგის მონასტერი. ლეგენდის თანახმად, ერთი გლეხისათვის ურემი მოუპარავთ. ქურდი თურმე ჯერ უარობდა, სალოცავთან კი შეშინებია და გამოტეხილა. ამიტომ უწოდებიათ ტაძრისთვის ტეხისა.

ხვანჭკარა მსოფლიო ბრენდის ღვინოა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სოფელ ხვანჭკარაში მოწეული ალექსანდროულის ჯიშის ყურძნისაგან მზადდება და მართლაც უნიკალურია.

ლეჩხუმი ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების სიმრავლით. ამ მხარის სავიზიტო ბარათია ხვამლის მთა, რომელიც ძველი ისტორიული განძთსაცავი იყო. აქ ნახავთ გვესოს ციხის ნანგრევებს, მერის ციხეს, ულამაზეს სოფელ ლაილაშს.

მთის ბალნეო-კლიმატური კურორტი **უწერა** ზემო რაჭაში, ონიდან 15 კმ-ში მდებარეობს. სოფლის სახელის წარმოშობა დიდ ქართველ მეფეს, თამარს უკავშირდება: თურმე თამარი თავისი ამალით სამეფოში მოგზაურობდა. რაჭაში ასულს უწერაში შეუვლია და მისი სილამაზით მოხიბლულს უთქვამს: რა აღუწერელი სილამაზეაო. როგორც ამბობენ, „აღუწერელმა“ დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადა და „უწერა“ შემორჩა. სოფელს თავს დაჰყურებს ბროლის მთა, სადაც კრისტალური მთის ბროლის ნატეხები მოიპოვება. უწერაში მიწის ზედაპირზე 28 სახის ბუნებრივი მინერალური წყალი ამოდის. მათ შესახებ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა თავის ნაშრომში. ერთ-ერთი, გვერითის სახელით ცნობილი წყარო, XIX ს-ის მიწურულს ძმებმა გამყრელიძეებმა აღმოაჩინეს. წყალმა, რომელიც მათ მამულში ამოდიოდა, ერთ-ერთი ძმა კუჭის მწვავე ტკივილებისგან განკურნა. გამყრელიძეებმა თბილისიდან სამედიცინო კომისია მიიწვიეს. აღმოჩნდა, რომ გვერითის წყაროს უნიკალური სამკურნალო თვისებები ჰქონდა. 1913-1914 წლებში საფრანგეთის ერთ-ერთი კომერციული საზოგადოება უწერის წყლის ევროპაში ექსპორტით დაინტერესდა და გამყრელიძეებს 45-წლიანი იჯარა შესთავაზა. ძმებმა თანხმობა განაცხადეს იმ პირობით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა წყლით უსასყიდლოდ ისარგებლებდა, რაც ფრანგებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და შეთანხმება ჩაიშალა. დღეს უწერის მინერალური წყლები გამოიყენება როგორც სასმელად, ისე აბაზანებისთვის. სამკურნალო ეფექტი აქვს კურორტის ულამაზეს წიწვოვან ნაძვნარსა და შერეულ (ნაძვი, სოჭი, მუხა, წიფელი, რცხილა, წაბლი და სხვ.) ტყეებს.

ბუნების სილამაზითა და მინერალური წყაროების სიუხვით განთქმულ **შოვს** სამკურნალოდ ძველ დროშივე სტუმრობდნენ ახლომდებარე სოფლების მცხოვრებნი და მგზავრები, რომლებიც რაჭიდან შოვის და მამისონის უღელტეხილის გავლით სამაჩაბლოში გადადიოდნენ. შოვის წყლების მეცნიერული შესწავლა და კურორტის მშენებლობა 1923 წლიდან იწყება. საბჭოთა პერიოდში აქ ულამაზესი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები აშენდა, მათ შორის იყო ქართული ორნამენტებით შემკული ცნობილი კურზალის შენობა. შოვი საინტერესო ადგილია ალპინიზმის, სათხილამურო სპორტის, რაფტინგის მოყვარულებისთვის. ცნობილია, რომ კავკასიონის ამ ნაწილში 4000 მეტრზე მეტი სიმაღლის რამდენიმე ისეთი მწვერვალია, რომლებზეც ფეხი ჯერ არავის დაუდგამს.

რაჭის მშვენებაა ულამაზესი გამოქვაბულები, მღვიმეები, ტბები. ყველაზე დიდი ტბა შაორის წყალსაცავია, რომელიც XX საუკუნის შუა წლებში ხელოვნურადაა დაგუბებული.

კარი 6. აფხაზეთი

გაკვეთილის თემა	**6.4.. აფხაზეთის მოსახლეობა**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე: გაეცნოს აფხაზეთის მოსახლეობის ცვლილებების მიზეზებს გაიგოს, რა განსხვავებაა ძველ და ახალ აფხაზებს შორის იმსჯელოს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე.
ესგ მისაღწევი შედეგი	(II) 1 (II) 3 (II) 12 (II) 13 (II) 14
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან ტექსტს აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ. (10 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამუშავებენ თემას- ქართულ- აფხაზური ურთიერთობები. (15 წთ) **აქტივობა 3.** შესრულებული დავალების პრეზენტაცია. (12 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება. **აქტივობა 5.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია დღეს არსებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფები
რესურსი	სახელმძღვანელო თაბახის ფურცლები
შეფასება	ჯგუფური მუშაობის და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	აფხაზეთის ბუნებრივი პირობები და ყოველდღიური ცხოვრება

ტექსტზე მუშაობის დროს შეგიძლიათ მოსწავლეებს ურჩიოთ გამოიყენონ შეჯამებისა და ჩანაწერების მეთოდი: ინფორმაციის ნაწილი წაშალონ, ნაწილის პერიფრაზირება მოახდინონ და ნაწილი დატოვონ. ყურადღება გაამახვილონ აფხაზეთის ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე, ქართული ენისა და კულტურის გავლენაზე.

გაკვეთილის თემა	6.5. კულტურის ძეგლები აფხაზეთში
გაკვეთილის მიზანი	გაეცნოს აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. იმსჯელოს მათი დაცვის აუცილებლობაზე. განიხილოს ძეგლი როგორც ისტორიული წყარო.
ესგ შესაბამისობა	(II) 1 (II) 9 (II) 13 (II) 14
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მინი ლექცია აფხაზეთში არსებული კულტურული ძეგლების შესახებ. (5 წთ) **აქტივობა 2.** ტექსტზე მუშაობა ჯგუფებში . მოსწავლეების ეცნობიან სახელმძღვანელოს ტექსტს და ავსებენ ცხრილს: ვიცოდი, გავიგე, მინდა ვიცოდე. (10 წთ) **აქტივობა 3.** მოსწავლეები წერენ ესეს თემაზე: რაზე მეტყველებენ ძეგლები (15 წთ) **აქტივობა 4.** წერილობითი დავალების პრეზენტაცია. (10 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება. **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია აფახაზეთის კულტურის ძეგლების დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ.
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ჯგუფური მუშაობა
რესურსები	სახელმძღვანელო, თაბახის ფურცლები
შეფასება	ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	აფხაზეთის ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია

აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებულია ქართული კულტურისა და ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: თამარის ხიდი, ბაგრატის ციხე, ბზიფისა და გაგრის ციხეები. ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამის დროსაა აგებული ბედიის მონასტერი. სოხუმთან ახლოს, ივერიის მთაზე მდებარეობს სვიმონ კანანელის სახელობის ტაძარი, სოფელ დრანდაშია აგებული ცნობილი დრანდის ეკლესია. ათონის მთაზე მოღვაწე ბერების მიერაა დაარსებული ახალი ათონის მონასტერი. სოფელ ილორში მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის ილორის ტაძარი. სოფელ ლიხნში მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. დროსა და ომებს გაუძლო და დღემდე მოატანა მოქვის, მიუსერის და ლაშქენდარის ტაძრებმა.

წერითი დავალების შესრულების დროს, მოსწავლეებმა სასურველია ყურადღება გაამახვილონ იმ ფაქტზე, რომ ძეგლები არის კულტურული მემკვიდრეობის უტყუარი ფაქტი და ხშირად იმაზე მეტად ინფორმაციას იძლევა წარსულის შესახებ, ვიდრე წერილობითი ან სხვა ტიპის წყაროები.

დამატებითი ინფორმაცია

რუბრიკა – ეს საინტერესოა

ლეგენდა მდინარე მჭიშთაზე

მთის მოუსვენარი მდინარე ლაშიფსე გამუდმებით ეხეთქებოდა და აშფოთებდა პიტალო კლდეებს. კლდეებმა ვერ აიტანეს მდინარის თავხედობა და გადაწყვიტეს მისი დასჯა. შეტორტმანდნენ მთები, ზვავად ჩამოწვნენ კლდეები ხეობაში. დაგუბდა ლაშიფსე. მალე აქ წარმოიშვა მშვენიერი ტბა რიწა.

რიწამ, ლაშიფსეს პირმშომ, გადაწყვიტა დახმარებოდა დაგუბებულ მდინარეს და გაეთავისუფლებინა ის. რიწა დაელოდა გაზაფხულს და როცა ტბა პირამდე აივსო, მიაწვა ხერგილს, მიაწვა, მაგრამ ვერ დაძლია. ამაოდ ებრძოდნენ ერთმანეთს ტბა და ნაზვავი. ვერ შეეგუა რიწა ლაშიფსეს ტყვეობას, მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და საკუთარი მკერდი გაიპო. წარმოქმნილ ნაპრალში ჩაინთქა ტბის წყალი. დიდხანს ეძებდა მჭიშთა გზას სინათლისაკენ. ბოლოს იპოვა გამოსასვლელი და მცხუნვარე ნისლის ქვეშ მსუბუქი ნისლით შეიმოსა. ასე გაჩნდა მდინარე მჭიშთა.

რამდენიმე წლის წინ, დაიწყო ბედიის ტაძრის „სარესტავრაციო სამუშაოები“, რომელიც შესაძლოა ძეგლისათვის სავალალო აღმოჩნდეს. მონასტერში გადაღებული ვიდეო კადრებიდან ჩანდა, რომ გადაღებილი იყო ტაძრის კედლები და ბაგრატ III-ის ფრესკა.

ბიჭვინთა უძველესი დროიდან ქრისტიანობის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო. მის ცენტრში დგას X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – **ბიჭვინთის საეპისკოპოსოს საკათედრო ტაძარი**. იგი ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობაა. ნაშენებია ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით. გუმბათი ემყარება საკურთხევლის კედლების შვერილებსა და ორ ბოძს. ბოლო დროს ინტენსიური სარესტავრაციო სამუშაოები შესრულდა, რის გამოც ძველი მოხატულობა განადგურდა. ეს ტაძარი ისევე, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ძეგლები, ორგანულადაა ჩართული ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე მდებარეობს **ანაკოფიის წმიდა სვიმონ კანანელის ეკლესია**, რომელიც ციხის ტერიტორიაზეა აგებული, ბოლოს 1991 წელს შეკეთდა, მაგრამ არ შეკეთებულა გუმბათი, რის გამოც შენობას აწვიმს და ზიანდება ფრესკების შემორჩენილი ფრაგმენტები. ქართული წყაროების თანახმად, აქ განისვენებს საქართველოში ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი გამავრცელებელი სვიმონ კანანელი. აქვე მდებარეობს ახალი ათონის წმიდა პანტელეიმონის მონასტერი.

წმიდა იოანე ოქროპირის მონასტერი მდებარეობს სოხუმის ჩრდილოეთით, სოფელ კომანში, წმიდა წყლების მიდამოებში. თარიღდება X-XI საუკუნეებით. ეს ტაძარი დაურბევიათ და აქ არსებული წმიდა სალოცავები გაუნადგურებიათ. მონასტერი აღუდგენიათ აფხაზეთის ომის წინა წლებში. აქ განთავსებულია წმიდა იოანე ოქროპირის სარკოფაგი, წმიდა ვასილისკოს საფლავი. ეს არის საერთო ქრისტიანული ეკლესიის წმიდათა წმიდა ადგილი

აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროსთან ბერძნებმა ანტიკურ ხანაში ბევრი ქალაქი დააარსეს. ყველაზე ცნობილია დიოსკურია(ახლანდელი სოხუმი), რომლის ნაწილი დროთა განმავლობაში წყალმა დაფარა.

XX საუკუნის 50-იან წლებში არქეოლოგებმა აფხაზეთის სანაპიროსთან შავი ზღვის ფსკერის შესწავლა დაიწყეს და მრავალი საინტერესო ნივთი აღმოაჩინეს, მათ შორის თიხის ჭურჭელი, დიოსკურიული მონეტები და ძვ. წ. V საუკუნის დროინდელი მარმარილოს საფლავის სტელა ქალებისა და ბავშვის გამოსახულებით.

აფხაზეთის ტერიტორიაზე 6 ნაკრძალია, სადაც 2000-ზე მეტი სახეობის მცენარე ხარობს. მათგან ბევრია ისეთი, რომელიც ადრე ფართოდ იყო გავრცელებული და დღეს აქა- იქ გვხვდება. უპირველესად, აღსანიშნავია ბიჭვინთის ფიჭვი.სწორედ ამ ფიჭვის ლათინური სახელწოდებიდან წარმოდგება ბიჭვინთის ანტიკური სახელი პიტიუნტი.

კარი 7. თბილისი

გაკვეთილის თემა	7.3. თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე: ეცნობა თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას. აანალიზებს მიგრაციული პროცესების გავლენას საქალაქო ცხოვრებაზე. მსჯელობს მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ქალაქის თავისებურებებზე.
შესაბამისობა ესგ	(II) 1 (II) 8 (II) 9 (II) 12 (II) 13
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** გაკვეთილი იწყება უორდროპის სიტყვებით თბილისის შესახებ. კითხვა: რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ სიტყვებიდან და რამდენად შეესაბამება სინამდვილეს. (5 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეები ეცნობიან გერმანელების გადმოსახლების ისტორიას და მსჯელობენ იმაზე, თუ რა სიახლეები შეიტანეს გერმანელებმა თბილისის ყოველდღიურ ცხოვრებაში. (10 წთ) **აქტივობა 3.** მოაწყონ დისკუსია – გამართლებულია თუ არა სხვადასხვა ეროვნების ხალხის თავმოყრა ერთ ქალაქში და ხომ არ უქმნის საფრთხეს ადგილობრივ ტრადიციებსა და კულტურას. (15 წთ) **აქტივობა 4.** შეფასება. (5 წთ) **აქტივობა 5.** საშინაო დავალება. მოიძიონ ინფორმაცია თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებზე და შედეგები კლასის წინაშე წარადგინონ.
შეფასება	დისკუსიის შეფასების რუბრიკა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა ცარცი, თაბახის ფურცლები
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი,
წინარე ცოდნა	ინფორმაცია სხვა მხარეების ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.

აქტივობა 2 სავარაუდო პასუხები: შემოიტანეს ტექნოლოგიური სიახლეები, კარტოფილი შემოიტანეს, სახელოსნოები დააარსეს.

საშინაო დავალების შესრულების დროს ურჩიეთ ინტერნეტ რესურსების ან დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით მოიძიონ ინფორმაცია თბილისში მცხოვრები ბერძნების, აზერბაიჯანელების, ებრაელების, ქურთების, სომხების შესახებ და მოაწყონ პრეზენტაციები თემაზე: თბილისური ეზო.

გაკვეთილის თემა	**7.4. თბილისის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე: აანალიზებს რელიგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობას. აცნობიერებს მრავალრელიგიურ საზოგადოებაში შემწყნარებლობის, ტოლერანტობის მნიშვნელობას. ეცნობა თბილისის მოსახლეობის რელიგიურ შემადგენლობას.
შესაბამისობა ესგ	(II) 1 (II) 12 (II) 13
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** წინა დავალების პრეზენტაცია (იხ. გაკვეთილი – თბილისის ეთნიკური შემადგენლობა). მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ ეთნიკურ მრავალფეროვნებას მოჰყვება რელიგიური მრავალფეროვნებაც. (10 წთ) **აქტივობა 2.** მოსწავლეები ასახელებენ რელიგიებს რომელთა მიმდევრებიც ცხოვრობენ თბილისში. (2წთ) **აქტივობა 3.** ტექსტზე მუშაობა- გაეცნონ სახელმძღვანელოს ტექსტს და ამოწერონ საკულტო ნაგებობები(5წთ) **აქტივობა 4.** შეადარონ ერთმანეთს ბერძნული, კათოლიკური, ქართული და ლუთერანული ეკლესიები ერთმანეთს. იმსჯელონ თბილისის მეჩეთის თავისებურებაზე.(15წთ) **აქტივობა 5.** შეფასება **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – მოიძიონ ინფორმაცია რელიგიური უმცირესობების შესახებ და იმსჯელონ მათ რელიგიურ თავისუფლებაზე.
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
რესურსები	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, ინდივიდუალური
წინარე ცოდნა	თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.

დამატებითი მასალა მასწავლებისათვის

საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიმართვა

საქართველოს ძლიერებასა და ერის ერთობას დღესაც საფუძვლად სულიერება და ზნეობრიობა უნდა დაედოს. ამასთან, აუცილებელია თვითმყოფადი ცხოვრებისა და კულტურის შენარჩუნება. ამით დედა ეკელსია არ ქადაგებს კარჩაკეტილობას და ოდნავადაც არ აკნინებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების მნიშვნელობას: პირიქით, ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია როგორც აღმოსავლეთმა, ისე დასავლეთმა. ჩვენი ტრადიციისათვის ასევე მიუღებელია შეუწყნარებლობა და აგრესია. უცხო ერების და აღმსარებლობის წარმომადგენლებისადმი ისტორიულად საქართველოში არასდროს ყოფილა დევნა და შევიწროება, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით. ესაა მიზეზი იმისა, რომ აქ მცხოვრები სხვა ერებისა და სარწმუნოების წარმომადგენლები სიყვარულით არიან განმსჭვალულნი ჩვენი მიწა- წყლისა და ხალხისადმი.

საპატრიარქოს უწყებანი № 35

დამატებითი ინფორმაცია

რუბრიკა ეს საინტერესოა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

1847 წელს მთავარმართებელმა მიხეილ ვორონცოვმა თხოვნით მიმართა ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ვახტანგ ორბელიანს, თავისი სახსრებით აეგო საჯარო ბიბლიოთეკისათვის შენობა, რასაც ვახტანგ ორბელიანი დაეთანხმა და 1851 წელს შენობა საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა. 1850 წელს მიხაილ ვორონცოვმა ბიბლიოთეკარად მოიწვია მოსკოვში არსებული რუმიანცევის მუზეუმის წამყვანი თანამშრომელი ლუდვიგ დე სან-ტომა, რომელმაც რამდენიმე თვე იმუშავა. შემდეგ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მან სამუშაო ადგილი თავის შვილს გადაულოცა, რომელიც 1857 წლამდე ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკას. 1852 წლის ივნისიდან მიხაილ ვორონცოვის განკარგულებით საცენზურო კომიტეტს დაევალა კავკასიის ფარგლებში დაბეჭდილი ყველა გამოცემის ორი ეგზემპლარი, როგორც სავალდებულო ცალი, გადასცემოდა საჯარო ბიბლიოთეკას.

ვორონცოვის განკარგულებით 1852 წლამდე წიგნით სარგებლობისათვის ბიბლიოთეკა ღია იყო დილის 10 საათიდან 4 საათამდე, 1852 წლიდან კი დღის პირველი საათიდან დაბინდებამდე. 1868 წელს კავკასიის მეფისნაცვლის გამგებლობაში არსებული დაწესებულებების რეორგანიზაციის შედეგად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი მმართველობის ერთ სისტემაში გაერთიანდა და ეწოდა „კავკასიის მუზეუმი და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“.

1869 წელს დაიწყო ბიბლიოთეკის ახალი შენობის მშენებლობა კავკასიის მუზეუმიდან 60-იოდე მეტრის დაშორებით. 1871 წელს ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავიდა. კავკასიის მუზეუმის და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ლეგენდარული დირექტორის, გუსტავ რადეს გარდაცვალების შემდეგ ბიბლიოთეკის დაკომპლექტების და, საერთოდ, ფუნქციონირების საქმე აირია. 1913 წლის 3 დეკემბერს ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა კავკასიის მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკად გარდაიქმნა და მთლიანად შეერწყა კავკასიის მუზეუმს. 1914 წელს კავკასიის მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობის გამო ბიბლიოთეკა დაიხურა, ფონდები კი ყუთებში ჩაალაგეს და 10 წელი სარდაფებში ინახებოდა.

1923 წლის 30 მაისს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და 1918 წელს დაარსებული პარლამენტის ბიბლიოთეკის ბაზაზე.

დღეისათვის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიმოქმედებს ელექტრონული დარბაზი,გამომცემლობების კუთხე უახლესი წიგნებით, საპრეზენტაციო და კინო-კუთხე, ასევე ქართველოლოგიის ელექ-ტრონული დარბაზი და განახლებული საბავშვო ოთახი.

2014 წელს, ახალი დარბაზების რიცხვს მიემატა: საბავშვო ოთახი, ემგრაციის დარბაზი, ეროვნული ციფრული ფოტომატიანე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დარბაზი, ამავე წელს ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა შენობა ქუთაისში, სადაც ეროვნული დეპოზიტარიუმის და უცხოელ სტიპენდიანტთა საცხოვრებლის შექმნა გადაწყდა.

2015 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში კიდევ რამდენიმე ახალი კომპლექსი შეიქმნა: დედაენის დარბაზი, ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკა, აფხაზური ბიბლიოთეკა, კარცერ-ლუქსი, ქართული ემიგრაციის დარბაზი-სამკითხველო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამკითხველო დარბაზი, რეპრესირებული წიგნის მუზეუმი, ვახტანგ მეექვსის სახელობის თანამშრომელთა სამუშაო ლაბორატორია, ჭაბუა ამირეჯიბის სახელობის კაბინეტი-ექსპოზიცია, ელექტრონულ ბიბლიოთეკა „ივერიელის“ სამუშაო ლაბორატორია, ეროვნული ბიბლიოთეკისა და „ჯეოსელის“ ერთობლივ პროექტ „ციფრულ ფოტომატიანეს“ ლაბორატორია, რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორია, ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემა SIERRA-ს კაბინეტი.

სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი – საქართველოს მუზეუმებს შორის უძველესია. იგი დაფუძნდა 1852 წელს, კავკასიის მუზეუმის ბაზაზე. მუზეუმის ფონდებში დღეისათვის

დაცულია 1 200 000 ექსპონატი (ძირითადად არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, ქართული ოქრომჭედლობის, ხატწერის ნიმუშები და სხვა). სტაციონარულ ექსპოზიციებს შორის გამოირჩევა დმანისში აღმოჩენილი ადამიანის წინაპრების (ჰომინიდების) ნაშთების გამოფენა, რომელიც 1,8 მილიონი წლით თარიღდება და წარმოადგენს აფრიკის კონტინენტის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ ადამიანის წინაპრის უძველეს ნიმუშს. ამ აღმოჩენამ რადიკალურად შეცვალა მანამდე აღიარებული ადამიანის ევოლუციის თეორია. მუზეუმში ექსპონირებულია აგრეთვე: ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენების მრავალრიცხოვანი მასალა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია ოქროს ფონდი, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ძვირფასი ლითონისა და ქვების უნიკალური ნაკეთობები. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქრისტიანობამდელი პერიოდის ოქრომჭედლობის ნატიფ ნიმუშებს, რომლებიც თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის ჩათვლით. მუზეუმში დაცული ექსპონატები აღმოჩენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: ანანურში, წნორში, მარტყოფში, თრიალეთის ყორღანებში, ვანში, ახალგორში, მცხეთაში, ჟინვალსა და ა.შ.

თბილისის ერთ-ერთი უძველესი პარკი „მუშტაიდის პარკი“ XIX საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა. მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან, მიწის 5 ჰექტარ ფართობზე ბაღი, 1828 წელს, ირანიდან ჩამოსულ მირ ფეთეხ-აღა სეიდ თავრიზის გაუკეთებია.როგორც ისტორიული წყაროებიდან ვგებულობთ, ის ირანის აზერბაიჯანში შიიტების რელიგიური ლიდერი-მუჯთაჰიდი ყოფილა. სწორედ მისი სასულიერო წოდებისგან წარმოსდგა ბაღის სახელიც – მუშტაიდი. ამავე ბაღშია დაკრძალული მისი ქართველი მეუღლე. 1845 წელს მირ ფეთეხ-აღა თავრიზისგან ბაღი მდიდარ მემამულეს შეუსყიდია, თავად ფეთეხ-აღას კი თბილისი დაუტოვებია. სააბრეშუმო სადგური დაარსდა. სადგურის კომპლექსი, რომელმაც ჩვენამდე დანგრეული სახით მოაღწია, 1892 წელს აიგო. შემორჩენილია კომპლექსის მთავარი ნაგებობა, რომელშიც „აბრეშუმის სახლის“ მეაბრეშუმეობის მუზეუმი, ბიბლიოთეკა და მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრია განთავსებული. 1853 წლიდან ბაღი სახაზინო კუთვნილება გახდა. აქ ყოველდღიურად იმართებოდა სახალხო სეირნობები, გამოფენები თუ სპექტაკლები. მუშტაიდის ბაღი თავშეყრის, გართობისა და დასვენების ცენტრად იქცა. 1887 წელს ბაღის ტერიტორიაზე ნიკოლოზ შავროვის ხელმძღვანელობით კავკასიის სააბრეშუმო სადგური დაარსდა. სადგურის კომპლექსი, რომელმაც ჩვენამდე დანგრეული სახით მოაღწია, 1892 წელს აიგო. შემორჩენილია კომპლექსის მთავარი ნაგებობა, რომელშიც „აბრეშუმის სახლის“ მეაბრეშუმეობის მუზეუმი, ბიბლიოთეკა და მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრია განთავსებული მუშტაიდის ბაღში 1935 წელს გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა. ბაღში მოქმედებდა თეატრი, ღია ესტრადა, კაფე-რესტორანი, ბავშვებისთვის რკინიგზის გარდა, სხვადასხვა ატრაქციონი ფუნქციონირებდა. ბაღში დასვენება და გართობა დღეს, ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია.

ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, 1966 წელს დაარსდა კავკასიაში პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელსაც ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი ეწოდა.

ეთნოგრაფიული მუზეუმი წარმოადგენს საქართველოს მინიატურულ მოდელს და ასახავს მის მრავალფეროვან ეთნოკულტურას. მუზეუმის ტერიტორია მოიცავს 52 ჰექტარს და დაყოფილია 11 ზონად. მუზეუმის გენერალურ გეგმის ავტორია ლონგინოზ სუმბაძე. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები გამოფენილია 10 ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონაში. მუზეუმში წარმოდგენილია 70-მდე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა საქართველოს რეგიონებიდან: ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. ერთი-ერთი ზონა ეთმობაისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელთა შორისაა V-VI საუკუნის სიონის ბაზილიკა, ძვ.წ. II ათასწლეულის აკლდამა (დოლმენი) აფხაზეთიდან და საფლავის ქვების მდიდარი კოლექცია.

1920 წელს დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით თბილისში **ეროვნული გალერეა** დაფუძნდა. ამ ფაქტს აღფრთოვანებით შეხვდა იმდროინდელი საზოგადოება, რამაც განსაზღვრა კიდეც გალერეის შემდგომი ბედი. საზოგადოების მხრიდან გამოვლენილი ინტერესის, მხარდაჭერისა და გალერეის მესვეურთა ძალისხმევის შედეგად ეროვნული გალერეა ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა, სადაც ქართული კულტურის ძეგლთა თავმოყრა დაიწყო.

1932 წელს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, ეროვნული გალერეის რეორგანიზება მოხდა და მის ბაზაზე სახვითი ხელოვნების მუზეუმი დაფუძნდა, სადაც თავი მოიყარა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების, აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების კოლექციებმა.

1933 წელს მუზეუმისათვის მეტეხის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიყო შენობა, რის გამოც მომდევნო წლებში მას ხელოვნების მუზეუმ „მეტეხად“ მოიხსენიებდნენ. მუზეუმის პირველი დირექტორი გახლდათ დიმიტრი შევარდნაძე.

1945 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლით 1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილი ეროვნული საგანძური საქართველოს დაუბრუნდა, რომლის დიდი ნაწილიც ხელოვნების მუზეუმს გადაეცა.

1950 წლიდან მუზეუმი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმად იწოდებოდა. ამავე წელს მას გადასცეს შენობა, რომელშიც დღემდეა განთავსებული. ეს გახლავთ რუსული ამპირის სტილის ნაგებობა, რომელიც 1838 წელს აშენდა და მასში ხანგრძლივი დროის განმავლობაში სასულიერო სემინარია იყო განთავსებული.

მუზეუმის საგანძურში გამოფენილია ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, ტიხრული მინანქარი, საიუველირო ნაკეთობები, მხატვრული ქსოვილებისა და ნაქარგობის უნიკალური ნიმუშები. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ძველი ქართული კედლის მხატვრობა, ქართველ მხატვართა შედევრები, რუსული, ევროპული და აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების ძეგლები.

თავისუფლების მოედანმა თავისი არსებობის მანძილზე არაერთი სახელი გამოიცვალა. თავდაპირველად მოედანს შტაბის მოედანს უწოდებდნენ. 1825 წლიდან ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, ხოლო 1827 წლიდან კავკასიის მეფისნაცვალი იყო გენერალი პასკევიჩი. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში პასკევიჩმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის მრავალრიცხოვანი არმია და გაათავისუფლა მისგან მიტაცებული ქართული ტერიტორიები – ახალციხე და ახლქალაქი, აგრეთვე, თურქები გარეკა სომხეთის დედაქალაქ ერევნიდან.

1828 წელს რუს გენერალ პასკევიჩს ერევნის ციხესიმაგრის აღების გამო ერევნის გრაფის – პასკევიჩ-ერევანსკის წოდება მიანიჭეს. 1851 წელს მოედანზედასრულდა თეატრისა და ქარვასლის შენობა, ამიტომ მოედანს ერთხანს თეატრალურს უწოდებდნენ. როცა 1856 წელს პასკევიჩი გარდაიცვალა, მისპატივსაცემად ცენტრალურ მოედანს თბილისში ყოფილი მეფისნაცვალის – გრაფპასკევიჩ-ერევანსკის სახელი უწოდეს. ამის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ამ მოედანს თბილისში შემოკლებით ერევანსკის მოედანს უწოდებდნენ. ხოლო უფროგვიან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, დაუმკვიდრდა სახელი ერევნის მოედანი. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად მოედანს სახელი შეეცვალა და თავისუფლების მოედანი ეწოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მას ჯერ ზაკფედერაციის მოედანი (ამიერკავკასიის მოედანი) ერქვა (ამიერკავკასიის სფსრ-ის შექმნის გამო), შემდეგ კი – ლენინის მოედანი. ძალიან მოკლე დროით მოედანმა იარსება ბერიას მოედნის სახელით (1953 წლამდე). 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინიციატივით მოედანს დაუბრუნდა ძველი სახელი – თავისუფლების მოედანი.

თბილისის მთავარ მოედანს დაახლოებით ორი საუკუნის ისტორია აქვს. მოედანი არცთუ შორეულ წარსულში ქალაქის გალავნის გარეთ მოქცეულ უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა, მეფეთა ბაღებით გარშემორტყმული და ლეღვის ხეებითა და შირაზის ვარდებით დამშვენებული.

გალავნის კედელი დაახლოებით დღევანდელი მოედნის აღმოსავლეთ მხარის განაშენიანების ხაზს გასდევდა (ოდნავ სიღრმეში) და პუშკინის ქუჩის მოშენების სწვრივად ეშვებოდა. იქ კი, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის მოედანს, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე კოჯრის კარი იყო. აქედან ორი გზა იწყებოდა. ერთი ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (ამჟამინდელ რუსთაველის გამზირის ხაზზე), მეორე კი კოჯრისკენ მიდიოდა დღევანდელი ლეონიძის ქუჩის გაყოლებით.

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის – პლატონ იოსელიანის ცნობით, დღევანდელი მოედნის ჩრდილოეთ მხარეზე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ხელოვნების მუზეუმია, XVII საუკუნის მიწურულს მეფის ქარვასლა მდგარა. იგი საკმაოდ დიდი ყოფილა და ოთხმოცამდე სადგომს მოიცავდა. მისივე ცნობით, ქარვასლა თურქებს დაუნგრევიათ 1724 წლის შემოსევისას. ვახუშტის და XVIII საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე მოედნის ტერიტორია სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ბაღებითაა გარშემორტყმული. ვახუშტის მიხედვით, აქ იყო მეფის, დედოფლისა და მამასახლისის ბაღები, ხოლო პიშჩევიჩის 1785 წლის გეგმაზე, მეფისა და დედოფლის ბაღების გარდა, გიორგი ბატონიშვილის ბაღიც არის აღნიშნული. ვახუშტი ბატონიშვილს ამ ადგილებში ერთადერთი შენობა აქვს ნაჩვენები, რომელსაც იგი ბეჟანის ქარვასლას უწოდებს. იგი დაახლოებით იქ იდგა, სადაც ქალაქის თვითმართველობის შენობა.

ვრცელ მინდორს სოლოლაკის ხევი (გვიანდელი ავანაანთ ხევი) კვეთდა. ხევს სოლოლაკის ქედის ფერდობიდან წამოსული ნიაღვარი ჩაუყვებოდა მტკვრისკენ. ძალიან ღრმა და განიერი ხევი იყო.

ერევანსკის მოედანზე ხევის არსებობის ხანაში მოედანი პრაკტიკულად ორად იყო გაყოფილი. უფრო სწორად კი მოედანი რეალურად 1824–1825 წლებში აგებული "საქალაქო სახლის" (მოგვიანებით "კავკასიის კორპუსის შტაბი") წინ ჩამოყალიბდა (დღევანდელი პუშკინის სკვერის ტერიტორიაზე). იგი სამი მხრიდან მოშენებული იყო, ხოლო სამხრეთიდან ხევი საზღვრავდა, რომელიც მოგიანებით თეატრის შენობამ ამოავსო. შედეგად თეატრსა და საქალაქო პოლიციის შენობას შორის გაჩნდა ახალი მოედანი, რომელსაც უწოდებდნენ სწორედ "თეატრალურს". უკვე 1934 წელს, როდესაც დამწვარი თეატრის შენობა აიღეს, მოედანი გაერთიანდა და შეიქმნა ის ურბანული სივრცე, რომელსაც დღეს უკვე თავისუფლების მოედანი ჰქვია.

1847-1851 წლებში გადაიხურა სოლოლაკის ხევის ერთი ნაწილი (ლეონიძის ქუჩა და მოედანი). ეს გამოწვეული იყო ამავე წლებში მოედანზე თეატრისა და ქარვასლის მონუმენტური შენობის აგებით (იტალიური კლასიციზმი; არქ. ჯოვანი სკუდიერი). ერევანსკის მოედნის ქვეშ გაიყვანეს ვეებერთელა ხვრელი წყლის გასასვლელად. ერთ-ერთი თანამედროვის მოგონებით, ერთხელ ურემი ჩავარდნილა ცხენით და მუხრან ბატონის ბორანთან ამოუყვია თავი.

1850 წლის გაზეთ "კავკაზსში" ვკითხულობთ: "26 ივლისს, ნაშუადღევის 5 სთ-ზე თბილიში მოვიდა კოკისპირული წვიმა, წყალმა სოლოლაკში მოიტაცა ძროხა, გაატარა ერევნის მოედნის ქვეშ გაყვანილ ვეებერთელა ხვრელში და ჩაიტანა მუხრანის ხევთან". ეს ხევი იწყებოდა სოლოლაკის ყელიდან (ამაღლების ეკლესიის ტერფი, ამჟამად დავითაშვილის ქუჩა), კვეთდა გუდოვიჩის (ჭონქაძის), რტიშჩევის (ჯაფარიძის), პასკევიჩის (მახარაძის), სერგიევის (მაჩაბლის) დაუსახლებელ ქუჩებს, გზას იკაფავდა ერევნის მოედნისკენ და ჩადიოდა მტკვარში მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდის ქვეშ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ერევანსკის მოედნის შუაგულში გასაყიდი შეშის ურმების გასაჩერებელი იყო, კვირაობით კი დიდი და აურზაურიანი ბაზრობა იმართებოდა. რა არ იყიდებოდა აქ: მწვანილი და ფართალი, ავეჯი და ოთხფეხი საქონელი, ქათიბი და მუნდირი, შეშა და თივა, ყარამანიანის პორტრეტები და ბუკინისტური წიგნებიც.

პუშკინის ქუჩაზე ძველად ჩაიხანები და მიკიტნის დუქნები მეფობდა, სადაც ყომარი და სხვა აზარტული თამაშები იყო გავრცელებული. ქუჩებში საზანდარი თავისუფლად მღეროდა ქალაქურ მუსტაზადებს.

როცა ვორონცოვის ბრძანებით 1847 წელს თამამშევმა მოედანზე თეატრი და ქარვასლა ააგო, ბაზარი ცოტა ქვევით დასწიეს, სწორედ იქ, სადაც ახლა პუშკინის სკვერია. ბაზრის ხალხის მოსაზიდად და გასართობად ბალაგანები იყო გამართული. აქ იაფფასიანი ცირკის არტისტები ოინბაზობდნენ

(პ. უმიკაშვილი, ივერია, 1899 წ.). ერთ მხარეს ჯამბაზი გადიოდა თოკზე, მეორე მხარეს ცნობილი აბელა იდგა ოჩოფეხებზე და ხალხს აცინებდა. ამ უბანს ჩოჩქოლი და ღრიანცელი არ აკლდა. დღე ბაზრობა იყო, საღამოთი – ცირკი. პოლიცია, რომელიც ჯარში ნამყოფი ინვალიდებისგან შედგებოდა, ყურსაც არ იბერტყავდა ქალაქში წესრიგის დასაცავად. ერევნის მოედანი სრულიად მოუვლელი და უყურადღებოდ იყო მიგდებული. უჩვეულო ბაზარს ზედ ერთვოდა ჭუჭყი, ტალახი. ქვაფენილები ცოტა მოგვიანებით გაჩნდა. ნამტვრევი წვეტიანი ქვები ისე უშნოდ იყო მიყრილ-მოყრილი, რომ ადამიანს უჭირდა მასზე სიარული.

ერევნის მოედნის ეს ბაზარი 1885 წლამდე ბოგინობდა. 1885 წლის 23 ივნისიდან ბაზარი ვერაზე გადაიტანეს. მოვაჭრეებს ყაზახები ძალისძალათ ერეკებოდნენ. ურმები, პოვოსკები გარეკეს ვერაზე, კვერცხის, ქათმისა და მაწვნის გამყიდველებიც მიაყოლეს. „სოლოლაკში მცხოვრებს ერთი ქილა მაწონი რომ უნდოდეს, ვერაზე უნდა წავიდეს“, – წერდა თანამედროვე.

ბაზრის ადგილზე ბაღი გაშენდა, რომელსაც ხალხი ახალ ბაღს უწოდებდა. 1892 წლის 25 მაისს ერევანსკის მოედნის ახალ ბაღში ქართული საზოგადოების შეწირულობის ხარჯზე დაიდგა პუშკინის ბრინჯაოს ბიუსტი (მოქანდაკე რ. ხუდოროვიჩი), რის შემდეგაც მას პუშკინის სკვერი დაერქვა. ბაღის ხშირი სტუმრები იყვნენ სემინარიის მოწაფეები, რომლებიც თავისუფალ დროს საუბრობდნენ პოეზიაზე, პოლიტიკაზე.

მოედნის ინტენსიური განაშენიანება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო. მოედნის დღევანდელი მოშენება, ერთი-ორი ნაგებობის გარდა, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა და სტილისტურად საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნის.

1824-1825 წლებში აიგო საქალაქო სახლი (შემდგომ კავკასიის კორპუსის შტაბი). 1825 წელს იაკობ ზუბალაშვილის მიერ ვინმე თურქესტანიშვილისგან გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზე აშენდა სასტუმრო „პალასი“. 1838 წელს შენობა საეკლესიო უწყებამ შეიძინა სასულიერო სემინარიის განსათავსებლად.

1830-იან წლებში მოედნის სამხრეთ მხარეზე, იქ, სადაც ადრე ბეჟანის ქარვასლა იდგა, ააგეს ქალაქის პოლიციის განყოფილების შენობა (ყოფილი მერია), პოლიცმეისტერის კანცელარიით.

1851 წელს ერევანსკის მოედანზე, ქალაქის პოლიციის წინ გაკეთდა შადრევანი. წყალი გამოყვანილი იყო სოლოლაკის წყაროებიდან. 1878-1879 წლებში პოლიციის შენობა საფუძვლიანად გადაკეთდა და გადმოვიდა საქალაქო სახლი. 1921 წლიდან შენობაში განთავსდა სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – თბილისის მერია.

თეატრი-ქარვასლის შენობის წინ, შესასვლელთან რკინის ლომები დადგეს (ახლა ამ ლომების ნახვა შეგიძლიათ სიონის ცენტრალური შესასვლელის მახლობლად, ქარვასლის წინ). 1874 წელს ხანძრის შემდეგ აღადგინეს მარტო ქარვასლა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1930-იან წლებში, მოედნის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია ჩატარდა, რამაც იმსხვერპლა ქარვასლის შენობაც (1934 წ.). 1956 წლის 21 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურიძე, უ. ჯაფარიძის მონაწილეობით, არქიტექტორები: გ. მელქაძე, კ. ჩხეიძე, კ. ხეჩინაშვილი, შ. ყავლაშვილი). ძეგლი 1991 წელს პარადულად ხალხის თანდასწრებით მოანგრიეს. მისი ადგილი მოგვიანებით შადრევანმა დაიკავა. 1967 წელს მოედნის ქვეშ ამოქმედდა ამავე სახელწოდების მეტროსადგური.

მოედნის მოპირდაპირე მხარეს, გალავნის დასწვრივ ერთ-ორ სართულიანი სახლები აშენდა, იმდროინდელი თბილისისთვის დამახასიათებელი შეკიდული აივნებით, რომელთაც აჟურული ორნამენტებით შემკობილი მოაჯირები და ტიმპანები ჰქონდა. ერთ ასეთ სახლში, რომელიც ყოფილი მეგობრობის მუზეუმის ადგილას იდგა, 1829 წელს ალექსანდრე პუშკინი გაჩერებულა. ეს სახლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში სხვა ნაგებობემა შეცვალა, რომელთა დიდმა ნაწილმა დღემდე მოაღწია.

მოედნის შუაგულში 1956 წლის 21 აპრილს ლენინის მოედანზე დაიდგა ლენინის მონუმენტი.

1991–1992 წლების ე. წ. თბილისის ომის დროს მოედანზე რამდენიმე შენობა განადგურდა. 1992 წელსვე გამოცხადდა საავტორო უფლებების მოსაპოვებელი არქიტექტურული კონკურსი

დანგრეული კვარტლის რეკონსტრუქციაზე, რომელიც განხორციელდა კიდეც 1999 წლიდან 2 საცხოვრებელი სახლის აშენებით (ლეონიძის ქ.) და საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი კორპუსის რეკონსტრუქციით (არქ. გიორგი გეგეშიძე). თუმცა იმავე წელსვე გამოცხადდა ახალი კონკურსი უკვე მრავალფუნქციურ ნაგებობაზე, უშუალოდ მოედნის მიმდებარედ. შედეგად 2002 წელს მოედანზე გაიხსნა ახალი სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტი“.

2006 წლის 23 ნოემბერს მოდანზე საზეიმოდ გაიხსნა სვეტზე აღმართული წმინდა გიორგის ქანდაკება (რომელიც მოქანდაკე ზურაბ წერეთლის საჩუქარია ქალაქისთვის). 27-ტონიანი 9 მეტრი სიმაღლის ქანდაკებაზე ორი კგ ოქრო დაიხარჯა.

პარლამენტის შენობის ადგილას ადრე ტაძარი იდგა. მართლმადიდებლური ქრისტიანული საკათედრო ტაძარი ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელ ხალხთან რუსეთის გამარჯვების სიმბოლოდ აღიმართა და რუსი წმინდანის ალესანდრე ნეველის სახელს ატარებდა. მშენებლობა 1871 წელს დაიწყო, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო მალევე შეჩერდა. მშენებლობა მოგვიანებით განახლდა და 1897 წელს უკვე მზა ტაძარი საზეიმოდ ეკურთხა. ტაძარი არაერთი წელი ფუნქციონირებდა და მუდმივი მრევლიც ჰყავდა. 1921 წლის თებერვალში ტაძრის ეზოში დაკრძალეს საქართველოს სამხედრო სკოლის სტუდენტები, ე. წ. იუნკერები, რომლებიც წითელ მე-11 არმიასთან ბრძოლაში დაიღუპნენ.

როცა საბჭოთა საქართველოს მთავრობის დადგენილებით თბილისის მთავრობის სასახლის აგება გადაწყდა, მის ადგილმდებარეობად ქალაქის მთავარი მაგისტრალი, ნეველის ტაძრის შენობის ადგილი შეირჩა და 1930 წლის 7 თებერვალს საბჭოთა მმართველობამ ტაძრის დემონტაჟი დაიწყო.

მას შემდეგ, რაც 1930 წელს პარლამენტის შენობის აგების იდეა გაჩნდა, 1932 წლის დადგენილებით, შეიქმნა მშენებლობის კომიტეტი და მთავრობის სასახლის პროექტზე კონკურსი გამოცხადდა. პროექტები სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების არქიტექტორებმა წარადგინეს და საბოლოოდ, მოსკოვური ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელსაც იმ პერიოდის ცნობილი არქიტექტორები წარმოადგენდნენ, გაიმარჯვა ვიქტორ კოკორინისა და გიორგი ლეჟავას პროექტმა.

1933 წლის 17 სექტემბერს მშენებლობას საფუძველი საზეიმო ვითარებაში ჩაეყარა და მას მთავრობის წარმომადგენლები, არქიტექტორები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები დაესწრნენ. მშენებლობის უფროსად არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი სიკო ფიცხელაური დანიშნეს.

მშენებლობა ორ ეტაპად მიმდინარეობდა: 1933-1938 და 1946-1953 წლებში. თავდაპირველად აშენდა შენობის უკანა, ანუ ბ კორპუსი, შემდგომ წინა, ა მთავარი კორპუსი, სადაც უნდა განთავსებულიყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოები – უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო. ნაგებობა რუსთაველის პროსპექტიდან (ასე ერქვა მას და არა გამზირი) 13 მეტრით სიღრმეში იყო შესული, რაც მის აღქმას აადვილებდა და უკეთ აჩენდა ნაგებობის მასშტაბებს.

გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს რუსთაველის პროსპექტზე აიყარა ტრამვაის ლიანდაგი, დაიგო ასფალტი და მასზე ტროლეიბუსების მიმოსვლა გაჩაღდა. მშენებლობის მეორე ეტაპზე კოკორინისა და ლეჟავას პროექტში მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო და თავისი შესწორებები შეიტანა არქიტექტორმა ვლადიმერ ინასარიძემ. საბოლოოდ მთავრობის სასახლის შენობის აგება ამ სამი არქიტექტორის სახელს უკავშირდება.

მოგვიანებით, 1965 წლის შემოდგომაზე, რუსთაველის გამზირის მხარეს, შენობის კიბის წინ, კვარცხლბეკზე დაიდგა ორი მონუმენტური კომპოზიცია. აქვე გაამწვანეს ტერასებიც, რომლებიც შემდეგში შადრევნებმა ჩაანაცვლა.

გაკვეთილის თემა	8.10. დავით აღმაშენებელი
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე: გაეცნობა დავით აღმაშენებლის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას გააანალიზებს ვაჭრობის განვითარების საჭიროებას ქვეყნისათვის და შეადარებს თანამედროვე ტენდენციებს.
ესგ მისაღწევი შედეგი	(II) 1 (II) 2 (II)6 (II) 9
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** აზრობრივი რუკის საშუალებით, დაასახელონ ის სფეროები, რომელთა განვითარებაც საჭიროა ქვეყნისათვის. (5 წთ) **აქტივობა 2.** ტექსტზე მუშაობა – წყვილებში ამუშავებენ თემებს: ვაჭრობის განვითარება დავითის ეპოქაში და განათლება დავითის დრო. (20 წთ) **აქტივობა 3.** შესრულებული დავალების პრეზენტაცია. (10 წთ) **აქტივობა 4.** შეადგინონ რეიტინგული სია – რომელი დარგების განვითარებაა დღეს ყველაზე პრიორიტეტული და დაასაბუთონ თავისი არჩევანი. (5 წთ) **აქტივობა 5.** შეფასება
საკლასო მენეჯმენტი	მთელი კლასი, წყვილები
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი
წინარე ცოდნა	დავით მეოთხის სამხედრო და სასამართლო რეფორმები.

რეიტინგული სიის შედგენის დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი სქემა

ყველაზე მნიშვნელოვანი

ნაკლებად მნიშვნელოვანი

გაკვეთილის თემა	**8.11. სახელმწიფო მმართველობა გაერთიანებულ საქართველოში**
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლე გაეცნოს სახელმწიფოს მმართველობის ძველ და თანამედროვე სტრუქტურას და გააცნობიეროს პიროვნების როლი ქვეყნის ისტორიაში
ესგ მისაღწევი შედეგი	(II) 1 (II) 2 (II) 8
გაკვეთილის მსვლელობა	**აქტივობა 1.** მოსწავლეები ეცნობიან დავით აღმაშენებლის დროინდელი სახელმწიფოს მმართველობის სქემას, ამოწერენ ვაზირებს და მასწავლებლის დახმარებით, განსაზღვრავენ მათ შესატყვის თანამედროვე თანამდებობებს. (10 წთ) **აქტივობა 2.** მინი ლექცია ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობი შესახებ იმ პერიოდის საქართველოში. (5 წთ) **აქტივობა 3.** გამოთქვან საკუთარი მოსაზრება, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო მოხელე. პასუხები იწერება დაფაზე. (10წთ). **აქტივობა 4.** ჯგუფური მუშაობის დროს შეიმუშაონ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების ჩამონათვალი და წარუდგინონ კლასს. (10წთ) **აქტივობა 5.** შეფასება. (5წთ) **აქტივობა 6.** საშინაო დავალება – დაწერონ თემა: რა სჭირდება მოქალაქეს სახელმწიფოსაგან და სახელმწიფოს მოქალაქისგან.
საკლასო მენეჯმენტი	ჯგუფებში მუშაობა, მთელი კლასი
რესურსი	სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, თაბახის ფურცლები
შეფასება	მიმდინარე დავალების შეფასების რუბრიკა
წინარე ცოდნა	ქართლის სამეფოს მმართველობის სტრუქტურა

ცხრილი პირველი აქტივობისთვის

ვაზირი	თანამედროვე თანამდებობა
მწიგნობართუხუცესს- ჭყონდიდელი	პრემიერ- მინისტრი
მანდატურთუხუცესი	შინაგან საქმეთა მინისრტი
ამირსპასალარი	თავდაცვის მინისტრი
მეჯურჭლეთუხუცესი	ფინანსთა მინისტრი

დამატებითი ინფორმაცია

სამხედრო რეფორმები, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ლაშქრის გაწვრთნა-ორგანიზებას და საომარ მოქმედებათა ტაქტიკისა და სტრატეგიის გარდაქმნა-გაუმჯობესებას. დავით აღმაშენებელმა მკაცრი სამხედრო დისციპლინა შემოიღო ჯარში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლაშქრის კარგად გაწვრთნას, ამ მიზნით მან არსებულ წესებში საგრძნობი ცვლილებები შემოიტანა. მოქმედების სისწრაფისათვის ქვეითი ჯარი შეიცვალა ცხენოსანი რაზმებით. ფართოდ იქნა გამოყენებული მტრის შემოტყუებისა და მასზე მოულოდნელად თავდასხმის ხერხი. შეიქმნა მზვერავების (მსტოვრები) ფართო ქსელი. საქართველოს ლაშქრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება იყო სწრაფი მანევრირების უნარი, რასაც ხელი შეუწყო დავითის მიერ აგებულმა ხიდებმა და მოწესრიგებულმა გზებმა. დიდი ყურადღება მიექცა წინამბრძოლებს, რომელთა მოვალეობა იყო პირველნი შებრძოდნენ მტერს. თვით დავით აღმაშენებელი „უმსგავსო სპასპეტი და წინამბრძოლი“ ყოფილა. საქართველოში მუდმივი ლაშქრის შექმნისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ყივჩაყთა ჩამოსახლებას საქართველოში 1118-1120 წლებში. დავით აღმაშენებელმა „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“ ყივჩაყი უზრუნველყო საჭურვლითა და ცხენებით და კარგად გაწვრთნა. ყივჩაყთა ვალდებულება საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს მიმართ მხოლოდ სამხედრო სამსახური იყო, ამდენად ისინი მუდმივ ლაშქარს წარმოადგენენ. საჭიროების შემთხვევაში მეფეს შეეძლო შეეყარა „თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი“, რომლებსაც, როგორც ჩანს, გადამწყვეტ მომენტებში იყენებდა მეფე.

თანამედროვე საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ეროვნული გვარდიის შექმნა 1990 წლის 20 დეკემბერს. 1991 წლის 30 აპრილს საქართველოში პირველი საგაზაფხულო გაწვევა ოფიციალურად გამოცხადდა. ქართული არმიის დღედ სწორედ 30 აპრილი გამოცხადდა.

მნიშვნელოვანი რეფორმების დაწყება ქართულ შეიარაღებულ ძალებში 2003 წლის შემდეგ დაიწყო. იზრდებოდა სამხედრო ბიუჯეტი, საქართველო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა ში ჩაერთო. დაიგეგმა ქართული არმიის ნატოს სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა.

დავათის სტელა – ქართული საკულტო-მემორიალური ძეგლი. აღმოჩენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში სოფელ დავათში ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მზვერავთა რაზმის მიერ 1980 წელს, მდინარე არაგვის მარცხენა შენაკადის, აბანოსხევის სათავესთან VIII-IX საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესიის ინტერიერში. იგი სხვადასხვა ანალოგიური სტელების ნაწილებთან ერთად მშენებლებს შესამკობად ჩაუშენებიათ ნავების გამმიჯნავი ბურჯის კუთხეებში. ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1984 წელს სტელების ნაწილები ბურჯიდან გამოიღო. ამჟამად ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში.

ქართველი მეცნიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ-ერთი სტელათაგანი, რომლის ერთ ნაწილზე დატანილია შემდეგი ტიპის გამოსახულება: ორ მთავარანგელოზს, მიქაელსა და გაბრიელს, ხელთ უპყრიათ ეტრატი, რომელზეც ნაკაწრის სახით შესრულებულია ქართული ასომთავრული ანბანი. ესაა პირველი ანბანი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მეცნიერთა აზრით დავათის სტელა შესრულებულია IV საუკუნეში, დაახლოებით 367 წელს. თუ დაუკვირდებით სურათს, შეამჩნევთ შემდეგ ასოებზე **კ**, **ტ** და **ჭ**-ზე ქარაგმას.

რამინ რამიშვილის აზრით, ეს სხვა არაფერია თუ არა შესაბამისი ციფრი 5000+300+20=5320. ქართული დამწერლობის დაარსებად ძვ. წ. 284 წელი მიიჩნევა, ე. ი. ბიბლიის მიხედვით ქვეყნის შექმნიდან ქრისტეს შობამდე კი 5604 წელი მოითვლება. დავათის სტელაზე მინიშნებული რიცხვი 5320 სხვა არაფერია თუ არა 5604-284=5320.

ადრეფეოდალურ საქართველოში „ბჭე“ და„ მსაჯული“ მოსამართლეს ნიშნავდა. თუმცა, ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით, მოსამართლეს ამ ტერმინით ანტიკურ ხანაშიც მოიხსენიებდნენ.

შუასაუკუნეებში ძალზე მნიშვნელოვან საქმეებს იხილავდა მეფე. მეფის კომპეტენციაში შედიოდა ისეთი საქმეების გარჩევა, როგორიც იყო მაგალითად, სიგელის წართმევა, მეფის სალაროს გატეხვა ან მეფეთა ორგულობა. საჭიროების შემთხვევაში მეფე დარბაზსაც მოიწვევდა. ხდებოდა ისეც, რომ მსხვილი საქმეების გარჩევას მეფე რომელიმე ბატონიშვილს მიანდობდა.

დავით აღმაშენებლის დროს უმაღლეს სასამართლოს ერქვა „სააჯო კარი“ და ექვემდებარებოდა მწიგნობართუხუცესს- ჭყონდიდელს.

ერეკლე მეორის მეფობის დროს, სასამართლოს რეორგანიზაცია მოხდა და ჩამოყალიბდა მდივანბეგთა სასამართლო. ის მოქმედებდა იმერეთის სამეფოშიც, გურიასა და სამეგრელოში.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ გატარებული სასამრთლო რეფორმა შეეხო საქართველოსაც. შეიქმნა ახალი მომრიგებელი განყოფილებები მომრიგებელი მოსამართლეებით, საქალაქო სასამართლოები და სასამართლო პალატა.

ბოლო წლებში ჩატარებული სასამართლო რეფორმის საფუძველზე ჩამოყალიბდა თანა-მედროვე ტიპის სასამართლო სისტემა, რომელიც სამსაფეხურიანია. პირველადი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს რაიონული და საქალაქო სასამართლოები. მეორე ინსტანციის- ანუ სააპელაციო და მესამე ინსტანციის- საკასაციო (უზენაესი) სასამართლო,რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

მოსამართლის მაგიდაზე დევს მართლმსაჯულების ერთ-ერთი სიმბოლო – ჩაქუჩი.გარდა ჩაქუჩისა, მოსამართლის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია მანტია. სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეები სხვადასხვა ფერის მანტიით არიან შემოსილი. მაგ: პირველადი ინსტანციის მოსამართლე – შინდისფერი მანტიით არის შემოსილი, სააპელაციოს მოსამართლე – მწვანე, უზენაესი სასამართლოს – შავი.

11. შემაჯამებელი დავალება — რა ვიცი და რა შემიძლია

კარი I კახეთი. შემაჯამებელი დავალება რა ვიცი და რა შემიძლია

შემაჯამებელი სამუშაო მოიცავს რამდენიმე ტიპის დავალებას, რომელთა მიზანია მოსწავლეებმა მოიპოვონ ინფორმაცია მეღვინეობის განვითარების ტრადიციებსა და ყურძნის ჯიშებზე, გააცნობიერონ მეღვინეობის, როგორც ტრადიციული დარგის განვითარების პერსპექტივები, საკუთარი ჩართულობით ხელი შეუწყონ ყურძნის ჯიშების პოპულარიზაციას.

საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ მისაღწევი შედეგები საზ. მეც (II) 3 საზ. მეც. (II) 6 საზ. მეც (II) 7

ორგანიზების ფორმა – მცირე ჯგუფები

ამ სამუშაოს ერთ-ერთი დავალებაა საინფორმაციო ბროშურის შექმნა, რომელიც შეიძლება შეფასდეს შემდეგი რუბრიკის გამოყენებით. დავალების მაქსიმალური ქულაა-10

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
ინფორმაციის მიწოდება ინფორმაციის მიწოდება სრულყოფილია, ჩანს ვინ აკეთებს ბროშურას, რა არის მიზანი, რა აუდიტორიაზეა გათვლილი შეიცავს ინფორმაციულ ლოზუნგებს ან სათაურებს -2 ინფორმაცია ზედაპირულია, ჩანს ვინ აკეთებს, მაგრამ არ არის გამოკვეთილი სამუშაოს მიზანი-1 ინფორმაცია მინიმალურია და არ შეესაბამება სამუშაოს მიზანს-0	2
შინაარსის ცოდნა შინაარსი კარგად არის ორგანიზებული, მოძიებული მასალა თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი, ჩანს რომ მოსწავლეებს ესმით მეღვინეობის განვითარების მნიშვნელობა, მოცემულია პროდუქციის აღწერილობა და სარგებელი-2 შინაარსი არცთუ ისე კარგად არის ორგანიზებული. ჩანს რომ მოსწავლეებს ჭირდებათ დახმარება გაიაზრონ მეღვინეობის განვითარების მნიშვნელობა-1 შინაარსი მინიმალურია და არ არის ორგანიზებული-0	2
დამაჯერებლობა ბროშურაში წარმოდგენილია არგუმენტირები, თუ რატომ უნდა მოხდეს ამა თუ იმ ჯიშის პოპულარიზაცია, ჩანს იდეები, წინადადებები ლოგიკურია-2 წინადადებები არადამაჯერებელია-1 ნაშრომს არ ახლავს არგუმენტები ყურძნის ამა თუ იმ ჯიშის პოპულარიზაციის შესახებ-0	2
დიზაინი თვალსაჩინოებები, ფოტოები, გრაფიკული გამოსახულებები თუ სხვა ატრიბუტები, ხელს უწყობს შინაარსის ათვისებას და ხარისხიანია-2 თვალსაჩინოებები, ფოტოები, გრაფიკული გამოსახულებები ნაკლებად უწყობს ხელს შინაარსის ათვისებას-1 არ არის გამოყენებული თვალსაჩინოებები, ფოტოები და გრაფიკული გამოსახულებები-0	2
ტექნიკური ასპექტები წერისა და გრამატიკის თვალსაზრისით არ არის დაშვებული შცდომები-2 რამდენიმე შეცდომაა დაშვებული, რაც გავლენას ახდენს ტექსტის შინაარსზე-1 ბევრი შეცდომაა დაშვებული, რაც ართულებს ტექსტის გაგებას-0	2

დავალება II პროექტის მომზადება თემაზე„ დაიცავი ბუნება''

მიზანი- მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ, გაიაზრონ ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობა, იმსჯელონ გარემოს დაცვით პრობლემებზე და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება.

საგნობრივი სტანდარტით მისაღწევი შედეგები:

საზ. მეც (II) 3 საზ. მეც (II) 9 საზ.მეც (II) 14

დავალების შეფასების რუბრიკა

I კრიტერიუმი

№	სამუშაოს ორგანიზება	ქულები
1.	სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის დავალებები სწორად გადანაწილდა	2
2	სამუშაო ორგანიზებულია, თუმცა ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	1
3	სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა	0

II კრიტერიუმი

№	გამოფენის ფორმა და შინაარსი ადეკვატურია	ქულები
1	გამოფენაზე წარმოდგენილი ნიმუშები ადეკვატურია დავალების მიზანთან. ბუნების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემა გააზრებულია	2
2	გამოფენაზე წარმოდგენილი ნიმუშები ნაწილობრივ პასუხობს დავალების მიზანს და პრობლემის გააზრებაც ნაკლებად ადეკვატურია	1
3	გამოფენის ფორმა და შინაარსი არ პასუხობს დავალების მიზანს	0

III კრიტერიუმი

№	მოძიებული მასალის ადეკვატურობა	ქულები
1	მოძიებული მასალა ადეკვატურია დავალების მიზანთან, შინაარსობრივად გამართულია და არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს	2
2	მოძიებული მასალა შეესაბამება დავალების მიზანს, თუმცა აღინიშნება შინაარსობრივი გაუმართაობა და ფაქტობრივი შეცდომები	1
3	მოძიებული მასალა არაადეკვატურია დავალების მიზანთან	0

IV კრიტერიუმი

№	პრეზენტაციის მიზნის გააზრება	ქულები
1	ჯგუფის წევრებს ესმით პრეზენტაციის მიზანი, წარმოდგენილი თეზისები და კვლევის შედეგები შესაბამისობაშია დავალების მოთხოვნასთან	2
2	ჯგუფის წევრებს ესმით პრეზენტაციის მიზანი, თუმცა მათი კვლევის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება დავალების მოთხოვნას	1
3	ჯგუფის წევრებს არ აქვთ გააზრებული პრეზენტაციის მიზანი	0

V კრიტერიუმი

№	პლაკატის შესაბამისობა დავალების მიზანთან	ქულები
1	ჯგუფის წევრების მომზადებული პლაკატის შინაარსი ადეკვატურია მოცემულ დავალებასთან. პლაკატს ახლავს შესაბამისი მოწოდება ბუნების დაცვის აუცილებლობის შესახებ.	2
2	ჯგუფის წევრების მომზადებული პლაკატი და მოწოდება ნაკლებად შეესაბამება დავალების მიზანს	1
3	ჯგუფის წევრებს არ აქვთ მომზადებული პლაკატი ან პლაკატის შინაარსი არ შეესაბამება დავალების მიზანს	0

კარი II აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი. რა ვიცი და რა შემიძლია

შემაჯამებელი დავალება წარმოადგენს კვლევას, რომლის მიზანია იმ პრობლემების ანალიზი, რომლის წინაშეც დგას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მიტოვებული სოფლები და იმ მექნიზმების გაცნობიერება, რომელიც საჭიროა ამ პრობლემების გადასაჭრელად.

საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ მისაღწევი შედეგები

საზ. მეც (II) 3 საზ. მეც (II) 7. საზ. მეც(II) 9 საზ. მეც. (II) 14

დავალების შეფასების რუბრიკა. მაქსიმალური ქულაა-10

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
საკვლევი საკითხის აქტუალობის დასაბუთება ნაშრომში დამაჯერებლად ჩანს ის ძირითადი პრობლემა/ საკითხები, რომელთა მოსაგვარებლად მომზადდა აღნიშნული კვლევა-2 ჩამოთვლილია ძირითადი პრობლემები/ საკითხები, მაგრამ არადამაჯერებელია მათი აქტუალურობა-1 არ ჩანს ძირითადი პრობლემები, რისთვისაც მომზადდა კვლევა-0	2
კვლევის მიზანი ჩანს შესასრულებელი სამუშაოს მიზანი და მოსალოდნელი შედეგებიც მკაფიოა-2 შესასრულებელი სამუშაოს მიზანი ბუნდოვანია-1 ნაშრომში არ არის მითითებული კვლევის მიზანი-0	2
კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის დამუშავება მოძიებული ინფორმაცია სრულყოფილია და შეესაბამება კვლევის საკითხს-2 მოძიებული ინფორმაცია ზედაპირულია, არასრულყოფილი-1 არ არის მოძიებული ინფორმაცია საკვლევი საკითხის ირგვლივ	2
მონაცემთა შეგროვება კვლევაში ნათლად ჩანს მონაცემთა შეგროვების და ანალიზის გზები, რომელიც შესაბამისობაშია კვლევის საჭიროებებთან-2 მონაცემთა შეგროვების გზები და ანალიზი არ არის სრულყოფილი და ზედაპირულია-1 მონაცემთა შეგროვების გზები არ არის შესაბამისობაში საჭიროებებთან-0	2
დასკვნა კვლევას ახლავს დასკვნა, რომელშიც ჩანს კვლევის შედეგები, დაკავშირებულია ძირითად საკითხთან, ამომწურავია ინფორმაცია-2 კვლევას ახლავს დასკვნა, რომელიც ზოგადია და ნაკლებად უკავშირდება ძირითად საკითხს-1 კვლევას არ ახლავს დასკვნა-0	2

კარი III სამცხე- ჯავახეთი შემაჯამებელი დავალებები. რა ვიცი და რა შემიძლია
საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ მისაღწევი შედეგები
საზ. მეც.(II) 1 საზ. მეც. (II) 2 საზ. მეც. (II) 13 საზ. მეც. (II) 14

მიზანი-მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივი და სოციალ-კულტურული მახასიათებლების შესახებ, გაიაზრონ ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება და გამოხატონ საკუთარი პოზიტიური დამოკიდებულება. სახლში მომზადებული მასალის საფუძველზე, იმსჯელონ, რა როლი ითამაშა სამცხე- ჯავახეთმა საქართველოს ისტორიაში.

ორგანიზების ფორმა – მთელი კლასი.

შემაჯამებელი სამუშაოს ერთ-ერთი დავალებაა სომხური კულტურის დღეების მოწყობა. ამ აქტივობის განსახორციელებლად გაითვალისწინეთ, რომ კარგად დაგეგმილი ღონისძიება არის შედეგიანი. ამისათვის წინასწარ განსაზღვრეთ:

მიზანი	რატომ ტარდება, რისთვის კეთდება და რა შედეგს გამოიღებს
აუდიტორია	ვისთვისაა განკუთვნილი, ვინ უნდა დაესწროს
ფორმატი	რა ტიპის იქნება- კონცერტი, გამოფენა, კონფერენცია, პრეზენტაცია
შინაარსი	რა იქნება უმთავრესი თემები
ადგილი	სად ჩატარდება დაგეგმილი ღონისძიება
წამყვანი	ეყოლება თუ არა წამყვანი
დროის ჩარჩო	როდის ჩატარდება და რა ხანგრძლივობით
ტექნიკური აღჭურვილობა	აუდიო ან ვიდეო აპარატურა

სასურველია დაამზადოთ რელიზები, რომელიც მოიცავს:
ღონისძიების ორგანიზატორთა მონაცემებს
ინფორმაციას როდის, სად, რა ვინ, რატომ
ანოტაციას ღონისძიების შესახებ

დავალება II მოცემულია რეფერატი – სამცხე- ჯავახეთი-საქართველოს სამხრეთი კარიბჭე, წარსული და დღევანდელობა.

რეფერატის შეფასების რუბრიკა. მაქსიმალური ქულა- 10

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
ნაშრომის სტრუქტურულად გამართულობა	1
დავალების პირობის ადეკვატურად გაგება დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული-2 დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული-1	2
შინაარსის სანდოობა და ფაქტობრივი სიზუსტე შინაარსი კორექტულია, ფაქტები ზუსტია და მკაფიო-3 შინაარსი ძირითადად კორექტულია თუმცა გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამო ინფორმაცია-2 შინაარსი შეუსაბამოა და ხშირად ვხვდებით მცდარ ინფორმაციას-1	3
არგუმენტირებული მსჯელობა მსჯელობს არგუმენტირებულად და აყალიბებს საკუთარ პოზიციას-2 ცდილობს გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ, მაგრამ უჭირს მოსაზრებების დაცვა-1	2
ნაშრომი ენობრივად გამართულია	1
დასკვნები	1

დისკუსია თემაზე: უნდა იცოდეს თუ არა ბავშვმა სახელმწიფო ენა

დისკუსიის დაწყებამდე მოსწავლეთა ორი ჯგუფი (თითო ჯგუფში სამი მოსწავლე) მოამზადებს არგუმენტებს საკუთარი პოზიციის დასაცავად.

მოსწავლეთა ერთი ჯგუფი წარმოადგენს არგუმენტებს სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

მოსწავლეთა მეორე ჯგუფი წარმოადგენს არგუმენტებს, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა არ არის აუცილებელი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვისთვის.

ორივე ჯგუფი შეეცდება გააბათილოს მოწინააღმდეგის არგუმენტები

დისკუსიის დასაწყისში ორივე მხარე 3-წუთიანი რეგლამენტის დაცვით აყალიბებს საკუთარ პოზიციას.

შემდეგ უსმევს კრიტიკულ შეკითხვებს მოწინააღმდეგეს

დისკუსია ბოლოვდება ფარული კენჭისყრით, რომელშიც მთელი კლასი მონაწილეობს. კლასელებმა უნდა გამოავლინონ გამარჯვებული გუნდი.

დავალების შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
არგუმენტირებული მსჯელობა დისკუსიის მონაწილე მსჯელობს და არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას მისი მოსაზრებები რეალისტურია-3 დისკუსიის მონაწილე მსჯელობს სოფლის მეურნეობის/ ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე, აყალიბებს არგუმენტებს, მაგრამ მისი მოსაზრებები ნაკლებად რეალისტურია-2 დისკუსიის მონაწილე მსჯელობს, მაგრამ ვერ აყალიბებს არგუმენტებს-1 დისკუსიის მონაწილეს არ შეუძლია მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ-0	3
საუბარი საუბრობს გამართულად და გასაგებად-2 საუბარი ზერელეა და ნაკლებად შეესაბამება სადისკუსიო თემას-1 საუბრობს გაუგებრად და შინაარსი არ შეესაბამება სადისკუსიო თემას-0	2
დისკუსიის წესების დაცვა იცავს დისკუსიის წესებს და კორექტულია თანაკლასელთა მიმართ-2 უჭირს დისკუსიის წესების დაცვა და ნაკლებად კორექტულია-1 არ იცავს დისკუსიის წესებს-0	2
დროის ლიმიტი დისკუსიის მონაწილე იცავს დროის ლიმიტს-2 დისკუსიის მონაწილეს უჭირს დროის ლიმიტის დაცვა-1 არ იცავს დროის ლიმიტს-0	2
მოსმენა დისკუსიის მონაწილე უსმენს მოკამათეს და აცლის აზრის გამოთქმას დისკუსიის მონაწილე არ უსმენს მოკამათეს-0	1

კარი IV გურია. შემაჯამებელი სამუშაო რა ვიცი და რა შემიძლია

ამ კარის შემაჯამებელი დავალება გულისხმობს გურული სიმღერების საღამოს ჩატარებას.

მიზანი- მოსწავლემ მოიძიოს ინფორმაცია გურული ფოლკლორის შესახებ, გაიაზროს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა.

საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ მისაღწევი შედეგები

საზ. მეც.(II) 3 საზ. მეც. (II) 13 საზ. მეც.(II) 14

პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია გურული სიმღერების შესახებ, მოისმინონ, შეადგინონ რეპერტუარი.

საღამო შეფასდება შემდეგი რუბრიკით. დავალების მაქსიმალური ქულაა10

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
ორგანიზებულობა	1
ტექნიკური უზრუნველყოფა	1
შინაარსობრივი გამართულობა:	8
მონაწილეები ასახელებენ ცნობილ გურულ სიმღერებს	1
საუბრობენ გურული სიმღერის თავისებურებებზე	1
საუბრობენ გურული სიმღერების მსგავსებაზე სხვა მხარის სიმღერებთან	1
საუბრობენ დასავლეთ საქართველოს მხარეების სიმღერების განსხვავებაზე აღმოსავლეთ საქართველოს მხარეების სიმღერებთან	1
საუბრობენ გურული სიმღერების ცნობილ შემსრულებლებზე	1
საუბრობენ ძველი სიმღერების ჩაწერისა და შენახვის მეთოდებზე	1
მსჯელობენ აისახება თუ არა ამა თუ იმ მხარის მცხოვრებთა ხასიათი მათ სიმღერებზე	1
მსჯელობენ თუ რამდენად გამართლებულია ხალხური სიმღერების გათანამედროვეობა	1

კარი V რაჭა-ლეჩხუმი. რა ვიცი და რა შემიძლია

შემაჯამებელ სამუშაოში მოცემულია რამდენიმე აქტივობა, რომლის შესრულების შემდეგ სასურველია მოსწავლეებმა შეადგინონ საინფორმაციო ცნობარი „ეკოტურები რაჭაში“.

დავალების მიზანია მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია რაჭის ბუნებრივი გარემოსა და ღირშესანიშნაობების შესახებ, გააცნობიერონ ეკოტურიზმის განვითარების სარგებლიანობა, გაანალიზონ ეკოტურიზმის განვითარებისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი. საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ მისაღწევი შედეგები

საზ მეც (II) 3 საზ. მეც. (II) 6 საზ. მეც (II) 7. საზ. მეც. (II) 14

საონფორმაციო ცნობარის შეფასების რუბრიკა. დავალების მაქსიმალური ქულაა-10

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
ცნობარს ახლავს ინფორმაცია ტურის ორგანიზატორთა შესახებ	1
ცნობარს ახლავს მარშრუტის აღწერილობა	1
ცნობარს ახლავს ინფორმაცია ადგილის სპეციფიკის შესახებ	1
ცნიბარს ახლავს შემეცნებითი ხასიათის ინფორმაცია ადგილობრივი ძეგლების შესახებ	1
ცნობარს ახლავს ჩამონათვალი ეკოლოგიურად სუფთა და ტრადიციული კერძების შესახებ	1
ცნობარს ახლავს ინფორმაცია ფასების შესახებ	1
ცნობარს ახლავს ინფორმაცია გასართობი ღონისძიებების შესახებ(ადგილობრივი ფოლკლორის გაცნობის მიზნით)	1
ცნობარს ახლავს ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ	1
ცნობარს ახლავს სასარგებლო რჩევები	1
ცნობარს ახლავს ინფორმაცია ტურის მიზნებისა და სარგებლიანობის შესახებ	1

კარი VI. აფხაზეთი. რა ვიცი და რა შემიძლია

დავალების მიზანი: მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია აფხაზეთში სოფლის მეურნეობის დარგების და ტურიზმის განვითარების შესახებ, არგუმენტირებულად იმსჯელონ მათ სამომავლო პერსპექტივებზე, ჩამოაყალიბონ და დაიცვან საკუთარი პოზიცია.

საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ მისაღწევი შედეგები

საზ. მეც. (II) 3 საზ. მეც. (II) 6 საზ. მეც. (II) 7საზ. მეც(II) 14

მოცემულია შემაჯამებელი სამუშაოს დავალების რამდენიმე ტიპი. მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს საკუთარი შეხედულებით მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე.

დავალება I პრეზენტაციის მომზადება თემაზე„ მეურნეობის ყველაზე პერსპექტიული დარგები აფხაზეთში“. ორგანიზების ფორმა – მცირე ჯგუფები.

შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გაცნობიერება ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა-2 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა-1 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა-0	2
სამუშაოს ორგანიზება სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა-2 სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა-1 სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა-0	2
დროის ლიმიტი იცავენ დროის ლიმიტს-2 უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა-1 ვერ იცავენ დროის ლიმიტს-0	2
თემა გასაგებადაა წარმოდგენილი	1
შინაარსი კორექტულია, ფაქტები ზუსტია და მკაფიო, გამოყენებულია თვალსაჩინოებები-3 შინაარსი ძირითადად კორექტულია, გამოყენებულია თვალსაჩინოებები, თუმცა გვხვდება ზოგიერთი შეუსაბამო ინფორმაცია-2 შინაარსი შეუსაბამოა და ხშირად ვხვდებით მცდარ ინფორმაციას, თვალსაჩინოებები მწირია-1 შინაარსი შეუსაბამოა, არ არის გამოყენებული თვალსაჩინოებები-0	3

დავალება II დისკუსია თემაზე: რომელი დარგის განვითარებაა უფრო პერსპექტიული: სოფლის მეურნეობის თუ ტურიზმის?

დისკუსიის დაწყებამდე მოსწავლეთა ორი ჯგუფი (თითო ჯგუფში სამი მოსწავლე) მოამზადებს არგუმენტებს საკუთარი პოზიციის დასაცავად.

მოსწავლეთა ერთი ჯგუფი წარმოადგენს არგუმენტებს სოფლის მეურნეობის განვითარების უპირატესობაზე აფხაზეთში.

მოსწავლეთა მეორე ჯგუფი წარმოადგენს არგუმენტებს ტურიზმის განვითარების უპირატესობაზე აფხაზეთში.

ორივე ჯგუფი შეეცდება გააბათილოს მოწინააღმდეგის არგუმენტები.

დისკუსიის დასაწყისში ორივე მხარე 3 წუთიანი რეგლამენტის დაცვით აყალიბებს საკუთარ პოზიციას.

შემდეგ უსმევს კრიტიკულ შეკითხვებს მოწინააღმდეგეს

დისკუსია ბოლოვდება ფარული კენჭისყრით, რომელშიც მთელი კლასი მონაწილეობს. კლასელებმა უნდა გამოავლინონ გამარჯვებული გუნდი.

დავალების შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
არგუმენტირებული მსჯელობა დუსკუსიის მონაწილე მსჯელობს და არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას მისი მოსაზრებები რეალისტურია-3 დისკუსიის მონაწილე მსჯელობს სოფლის მეურნეობის/ ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე, აყალიბებს არგუმენტებს, მაგრამ მისი მოსაზრებები ნაკლებად რეალისტურია-2 დისკუსიის მონაწილე მსჯელობს, მაგრამ ვერ აყალიბებს არგუმენტებს-1 დისკუსიის მონაწილეს არ შეუძლია მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ-0	3
საუბარი საუბრობს გამართულად და გასაგებად-2 საუბარი ზერელეა და ნაკლებად შეესაბამება სადისკუსიო თემას-1 საუბრობს გაუგებრად და შინაარსი არ შეესაბამება სადისკუსიო თემას-0	2
დისკუსიის წესების დაცვა იცავს დისკუსიის წესებს და კორექტულია თანაკლასელთა მიმართ-2 უჭირს დისკუსიის წესების დაცვა და ნაკლებად კორექტულია-1 არ იცავს დისკუსიის წესებს-0	2
დროის ლიმიტი დისკუსიის მონაწილე იცავს დროის ლიმიტს-2 დისკუსიის მონაწილეს უჭირს დროის ლიმიტის დაცვა-1 არ იცავს დროის ლიმიტს-0	2
მოსმენა დისკუსიის მონაწილე უსმენს მოკამათეს და აცლის აზრის გამოთქმას დისკუსიის მონაწილე არ უსმენს მოკამათეს	1

კარი VII. თბილისი. რა ვიცი და რა შემიძლია

ამ კარის შემაჯამებელი დავალება გულისხმობს ექსკურსიის მოწყობას თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის სანახავად.

მიზანი – მოსწავლეები მოიძევენ ინფორმაციას თბილისის ღირშესანიშნაობების შესახებ, გაიაზრებენ ამა თუ იმ ძეგლის თუ დაწესებულების მნიშვნელობას .

ორგანიზების ფორმა – მთელი კლასი

საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ შედეგი

საზ. მეც(II) 11 . საზ. მეც. (II) 12 საზ. მეც (II) 14 საზ. მეც. (II) 15

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ექსკურსია შეიცავს სწავლების ელემენტს და ის შეიძლება განვიხილოთ როგორც პედაგოგიური პროცესი. ამ პროცესში მონაწილეობს ორი მხარე: ის, ვინც გასცემს ინფრომაციას და ის ვინც იღებს ამ ინფრომაციას. ექსკურსია ერთ- ერთი საშუალებაა მოსწავლეებს განუვითარდეთ სოციალური და კვლევითი უნარები. ამ ტიპის აქტივობები ახალისებს შეკითხვებს მოსწავლეების მხრიდან, აღიარებს მათ ინიციატივას, ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობას. საშუალებას აძლევს ცოდნის განვითარებისა და გააზრებისათვის.

როგორც ნებისმიერი ექსკურსია, ეს აქტივობაც მოიცავს სამ ეტაპს: ეტაპებს: I ექსკურსიისათვის მომზადება ანუ წინასწარ შეირჩევა ობიექტი, ხდება შესწავლილი მასალის განმეორება და დამატებითი ინფორმაციის მოძიება. II საკუთრივ ექსკურსიას, III ექსკურსიის შემდეგ მუშაობას საეკსკურსიო მასალის გასამტკიცებლად. ამისათვის სასურველი იქნება მოსწავლეებმა გააკეთონ ჩანაწერები იმის შესახებ თუ რა იყო ახალი, რაც ნახეს . რა მოეწონათ და რატომ, რა დამატებითი ინფორმაცია მიიღეს.

ექსკურსიის შემდეგ მოსწავლეებმა მოამზადონ ანაგარიში, რომელიც შეფასდება შემდეგი რუბრიკის გამოყენებით.

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
ანგარიშში არის ინფორმაცია ექსკურსიის ტიპის შესახებ (შემეცნებითი/გასართობი)	1
ანგარიშში არის მითითებული ექსკურსიის მიზანი	1
ანგარიშში არის ინფორმაცია ექსკურსიის მოსალოდნელი შედეგების შესახებ	1
არჩევანის დასაბუთება მოსწავლე აღწერს სანახავ ობიექტს და ასაბუთებს საკუთარ არჩევანს-2 მოსწავლე ასახელებს სანახავ ობიექტს და უჭირს დაასაბუთოს საკუთარი არჩევანი-1 მოსწავლე მხოლოდ ასახელებს სანახავ ობიექტს, მაგრამ ვერ ასაბუთებს საკუთარ არჩევანს-0	2
ინფორმირებულობა მოსწავლე ფლობს ექსკურსიამდე ინფორმაციას სანახავი ობიექტის შესახებ, ასახელებს ინფორმაციის წყაროს-2 მოსწავლის მიერ ექსკურსიამდე მოძიებული მასალა მწირია-1 მოსწავლეა არ აქვს ინფორმაცია სანახავი ობიექტის შესახებ-0	2
ექსკურსიაზე მიღებული ინფორმაციის ანალიზი მოსწავლე აანალიზებს ექსკურსიაზე მიღებულ ინფორმაციას, ადარებს წინარე ცოდნას, გამოაქვს დასკვნები-2 მოსწავლეს უჭირს ახლადმიღებული ინფორმაციის ანალიზი-1 მოსწავლეს არ აქვს ახალი ინფორმაცია-0	2
მოსწავლე ასაბუთებს ექსკურსიის სარგებლიანობას	1

კარი 8. სახელმწიფო – ჩვენი საქართველო. რა ვიცი რა შემიძლია

დავალება გულისხმობს ეკოლოგიურ პრობლემებზე პროექტის მომზადებას.

დავალების მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ პრობლემის დანახვა, პრობლემის შესწავლა, პრობლემის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პროექტის მიზნის ჩამოყალიბება, სამოქმედო გეგმის შედგენა, საკუთარი ჩართულობით პრობლემის გადასაჭრელი მექნიზმების განსაზღვრა.

საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ესგ მისაღწევი შედეგები

საზ. მეც.(II) 6 საზ. მეც.(II) 7 საზ. მეც.(II) 13 საზ. მეც(II) 14

ორგანიზების ფორმა- მცირე ჯგუფები

დავალება შეფასდება შემდეგი რუბრიკის გამოყენებით.

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გაცნობიერება ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა-2 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა-1 ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა-0	2
სამუშაოს ორგანიზება სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა-2 სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა-1 სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა-0	2
პრობლემის შესწავლა ჯგუფი პრობლემის შესასწავლად იყენებს ინფორმაციის სხადასხვა წყაროს- ოჯახი, მეგობრები, ბიბლიოთეკა, მედია- საშუალებები, მასწავლებლები, ორგანიზაციები, რომლებიც ამ პრობლემაზე მუშაობენ-2 მოსწავლე პრობლემის შესასწავლად იყენებს ინფორმაციის მოპოვების რამდენიმე წყაროს, თუმცა ეს ინფორმაცია ზედაპირულია-1 მოსწავლე პრობლემის შესასწავლად იყენებს ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროს-0	2
აქტივობების ადეკვატურობა ჯგუფის მიერ აღწერილი აქტივობები ადეკვატურია პროექტის მიზანთან-2 ჯგუფის მიერ აღწერილი აქტივობები ნახევრად ადეკვატურია-1 ჯგუფის მიერ აღწერილი აქტივობები არ არის ადეკვატური-0	2
პრობლემის მოგვარება ჯგუფი ასახელებს პრობლემის გადაჭრის ორ გზას, რომელიც რეალისტური და ეფექტურია-2 ჯგუფი ასახელებს პრობლემის გადაჭრის ორ გზას, მაგრამ ეს გზები არ აარის ეფექტური-1 ჯგუფი გვათავაზობს პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ერთ გზას-0	2

12. დამატებითი ინსტრუმენტები

რჩევები მოსწავლეებს:

ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ნებისმიერ თემაზე, რისი წარმოდგენაც კი შეგიძლიათ. მთავარია, დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეძლებთ ყველაზე მნიშვნელოვანი და სარწმუნო ინფორმაციის მოპოვებას საკვლევ თემაზე.

ინფორმაციის ნახვა

ვინაიდან ინტერნეტი ყველასათვის არის ხელმისაწვდომი და ყველას შეუძლია განათავსოს ინფორმაცია. აუცილებელია შეამოწმოთ, რამდენად სარწმუნოა ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოიპოვეთ, ვიდრე მას გამოიყენებთ.

სცადეთ, შემდეგნაირად დააყენოთ პრობლემა:

- იგივე ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტის სხვა გვერდებზე?
- ვის მიერ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია?
- რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს პირს ან ორგანიზაციას, რომელმაც გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო?
- სანდოა ის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც აქვეყნებს მოცემულ ინფორმაციას?
- ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია გადაამოწმეთ სხვა წყაროების საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციასთან შედარების გზით:
- ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტები შეგიძლიათ მოიძიოთ წიგნებში, ინტერვიუების საშუალებით ან საკუთრი გამოცდილებით?
- ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია ახალია? გასაგები ენით არის გადმოცემული, უფრო გასაგებია ვიდრე ის მსგავსი ინფორმაცია, რომელიც წიგნში შეიძლება იყოს მოცემული, ინტერვიუს საშუალებით ან პირადი გამოცდილებით შეიძლება იყოს მოპოვებული?
- რომელი ინფორმაცია ესადაგება შენს მიზანს ყველაზე მეტად?

სურათებისა და გამოსახულებების ინტერპრეტირება

ტექსტის მსგავსად, სურათიც მრავალ ინფორმაციას შეიცავს. შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ სურათის ინტერპრეტაციასა და მის აღქმა-გაგებაში.

სურათის განხილვა

- აღწერეთ სურათი თქვენი სიტყვებით.
- გაუზიარეთ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით , თუ რა ქმნის სურათში აზრს, რა არის მასში განსაკუთრებული ან მნიშვნელოვანი.
- დაუსვით ერთმანეთს კითხვები სურათთან დაკავშირებით.
- მიეცით ერთმანეთს მცირე დავალებები, როგორიცაა, მოძებნე, იპოვე, მაჩვენე, ამიხსენი...
- იმსჯელეთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რატომ იქნა შერჩეული ეს სურათები? რომელი სურათი ესადაგება და იძლევა დამატებით ინფორმაციას იმ ტექსტზე, რომელზეც არის დართული სურათები? რომელი სურათი ეწინააღმდეგება ტექსტში გამოთქმულ მოსაზრებას?

გამოფენის მოწყობა

რჩევები

1. რისი ჩვენება გვსურს?
   - რა არის ის მთავარი გზავნილი, რისი თქმაც ამ გამოფენის საშუალებით გვსურს?
   - რა სახელწოდება შევურჩიოთ გამოფენას?
2. ვინაა აუდიტორია?
   - ჩვენი სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები
   - მშობლები და დედმამიშვილები
   - კლიეტები ტურისტული სააგენტოდან
3. სად გაიმართება გამოფენა?
   - საკლასო ოთახში თუ სკოლის სხვა ტერიტორიაზე
   - საჯარო ადგილზე (მაგალითად, მუნიციპალური შენობის დარბაზში)
   - რა სივრცე ექნება დათმობილი გამოფენას და როგორი იქნება განათება?
   - გვექნება ის ინფრასტრუქტურა, რომელიც გვსურს რომ გვქონდეს?

4. როგორ გავხადოთ გამოფენა შთამბეჭდავი?
   - მოდელები და საგამოფენო ექსპონატები ისე უნდა განვათავსოთ, რომ შესაძლებელი იყოს ხელით შეხება
   - უნდა გავითვალისწინოთ და გამოვყოთ სივრცე იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს საგამოფენო ტერიტორიაზე თამაშის მოწყობა, ექსპონატების მოსინჯვა, მათზე დაკვირვება თუ ექსპერიმენტის ჩატარება
   - შევქმნათ მუსიკალური ფონი ან ჩვენ თავად დავუკრათ მუსიკა
   - შევთავაზოთ დამთვალიერებელს მსუბუქი ლანჩი
   - დავნიშნოთ გიდები, რომლებიც დამთვალიერებლებს ექსპონატებს გააცნობენ
   - დავამზადოთ ფლაერები, რომლებიც დამთვალიერებლებს ექსპონატებს გააცნობს
   - მოვაწყოთ შეჯიბრება ან ვიქტორინა
5. გამოფენის გამართვამდე, ვის უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია გამოფენის შესახებ?
   - სკოლის მოსწავლეებს
   - სკოლის მომსახურე პერსონალს
   - სკოლის საბჭოს წევრებს
   - დამრიგებელს
   - ექსპერტს, რომელიც დაგვეხმარება გამოფენის გამართვაში
   - სტუმრებს
6. რა უნდა გავაკეთოთ ?
   - შევადგინოთ გეგმა
   - შევადგინოთ მასალათა ჩამონათვალი
   - შევადგინოთ დროის განრიგი (ვინ რას აკეთებს და რა დროს)
   - ვაწარმოოთ ხარჯთაღრიცხვა (რა თანხა გვაქვს ხელთ და რამდენი დავხარჯეთ)
   - დავამზადოთ ფლაერები ან მოსაწვევი ბარათები
   - მივაწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივ გაზეთს
7. რა შეფასება ექნება გამოფენას?
   - რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმები?
   - ვინ შეაფასებს გამოფენას (მასწავლებლები, თანაკლასელები, მოწვეული სტუმრები)?

პრეზენტაციების მომზადება და გაკეთება

სიტყვით გამოსვლისათვის მზადება და მისი დაგეგმვა

1. ვინ იქნება მსმენელის როლში?
   - სად უნდა გაიმართოს სიტყვით გამოსვლა?
2. ვინ წარსდგება სიტყვით აუდიტორიის წინაშე?
   - მარტო უნდა წარსდგე სიტყვით თუ ჯგუფთან ერთად?
   - როგორ უნდა მოხდეს ჯგუფის ორგანიზება?
3. რა არის სიტყვით გამოსვლის მიზანი?
   - რას შეიტყობს ახალს წარმოთქმული სიტყვიდან დამსწრე საზოგადოება?
   - გულისხმობს თქვენი გამოსვლა, მსმენელთა მხრიდან გაჟღერებულ კითხვებზე პასუხს ან მათი მხრიდან კომენტარებს?
4. რა დრო უნდა დაეთმოს სიტყვით გამოსვლას?
   - უნდა გაითვალისწინოთ დრო აუდიტორიის მხრიდან დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად?
   - უნდა გაითვალისწინოთ დრო აუდიტორიის მხრიდან გაკეთებულ კომენტარების მოსასმენად?
5. რა რესურსებია ხელმისაწვდომი?
   - დაფა
   - პროექტორი
   - კომპიუტერი და პროექტორი PPT-ში მომზადებული პრეზენტაციისთვის
   - პოსტერი (ფლიპჩარტი)
   - სტერეოდანადგარი
6. როგორ უნდა შეძლო აუდიტორიის ყურადღების დაპყრობა?
   - მიეცით აუდიტორიას საშუალება, დასვან კითხვები.

13. ტესტური დავალების ნიმუშები

შემაჯამებელი ტესტური დავალება

დავალება I. უპასუხეთ დასმულ კითხვებს. თითო სწორი პასუხი ფასდება თითო ქულით.

1. რომელი მდინარის აუზებს მოიცავს კახეთის ტერიტორია

ა. ივრის და ალაზნის ბ. რიონის და ალაზნის გ. ივრის და რიონის

2. ღვინის შესანახ ადგილს ჰქვია

ა. საწნახელი ბ. სათავსო გ. მარანი

3. კახეთის რომელ ქალაქში მდებარეობს „ ბატონის ციხე''

ა. სიღნაღი ბ. თელავი გ. გურჯაანი

4. რომელი სტიქიური მოვლენა გვხვდება ყველაზე ხშირად კახეთში

ა. სეტყვა ბ. ზვავი გ. მეწყერი

5. რომელი სარწმუნოების მიმდევრები არიან პანკისელი ქისტები

ა. ქრისტიანები ბ. მუსლიმები გ. იუდეველები

6. რომელი დაცული ტერიტორია არ მდებარეობს კახეთში

ა. ლაგოდეხი ბ. კინტრიში გ. ვაშლოვანი

დავალება II. დაალაგეთ ქრონოლოგიურად უძველესიდან უახლესისაკენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მათი აგების დროის მიხედვით:

1. ბატონის ციხე

2. ერეკლე მეორის ძეგლი

3. დავით გარეჯისნ მონასტერი

დავალება III. ახსენით, რომელია ზედმეტი და რატომ. დავალება ფასდება 2 ქულით.

1. ალავერდი

2. სვეტიცხოველი

3. ნეკრესი

დავალება IV. შეცდომების გასწორება. ტექსტში დაშვებულია სამი შეცდომა. ფასდება როგორც აღმოჩენილი შეცდომა, ისე მისი გასწორებული ვარიანტი. დავალების მაქსიმალური ქულაა – 6

ირანის ერთ-ერთ მხარეში, ხორასანში, 400 წლის წინ, ირანის მმართველმა შაჰ- თამაზმა ქართველები ძალით გადაასახლა, თუმცა მათ ენის შენარჩუნება მაინც შეძლეს. ირანელთა პოლიტიკის გამო, კახეთი მძიმე მდგომარეობაში იყო. ამიტომ ქვეყნისათვის თავდადებულმა ქართველებმა აჯანყება მოაწყვეს, რომელიც ისტორიაში ალავერდის აჯანყების სახელითაა ცნობილი.

შეცდომაა	**უნდა იყოს**

სწორი პასუხები

დავალება	სწორი პასუხი
1	ა
2	გ
3	ბ
4	ა
5	ბ
6	ბ
7	312
8	ზედმეტია სვეტიცხოველი, რადგან ის არ მდებარეობს კახეთში
9	ხორასანი – ფერეიდანი, თამაზი-აბასი, ალავერდი – ბახტრიონი

შემაჯამებელი დავალება.

ტექსტის ანალიზი. ყურადღებით გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა – 10

აფხაზეთი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე გადის, სამეგრელო- ზემო სვანეთთან მდინარე ენგურის ხეობით გამოიყოფა. აფხაზეთის შესახებ ცნობები ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნიდან მოიპოვება. იმდროისათვის განვითარებული ყოფილა არა მარტო მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, არამედ სპილენძისა და ბრინჯაოს დამუშავებაც. აფხაზეთი იყო შემადგენელი ნაწილი იმ სამეფოსი, რომელიც ანტიკური ეპოქის დასაწყისში დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. აფხაზთა სამეფო ყოველთვის მოიაზრებოდა გაერთიანებული საქართველოს ნაწილად. სალაპარაკო და სახელმწიფო ენა იყო ქართული. ქართული სახელმწიფოს არსებობას ამ ტერიტორიაზე ადასტურებს უძველესი ტაძრების ფრესკებზე აღმოჩენილი ქართული ასომთავრული წარწერები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებულია ქართული კულტურისა და ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები. ერთიანი საქართველოს პირველი მეფის აგებული ბედიის მონასტერიც აფხაზეთშია.

აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, გვხვდებიან კათოლიკეებიც, გავრცელებულია ისლამიც.

აფხაზები დღემდე უდიდეს პატივს სცემენ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

კითხვები:

1. რომელი მხრიდან ესაზღვრება რუსეთი აფხაზეთს (1ქ)

2. ტექსტიდან გამომდინარე, მეურნეობის რომელ დარგებს მისდევდნენ აფხაზები (2ქ)

3. რომელი ძველი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთი და გაიხსენეთ, რომელ მითშია დაცული ცნობები ამ სამეფოს შესახებ (2ქ)

4. ტექსტში დასახელებული რომელი ფაქტი ადასტურებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს არსებობას (1ქ)

5. გაიხსენე, ბედიის ტაძრის გარდა, რომელი ხუროთმოძღვრული ძეგლი უკავშირდება ბაგრატ მესამის სახელს (1ქ)

6. რომელი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები ცხოვრობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე (3ქ)

სწორი პასუხები

1. რუსეთი

2. მიწათმოქმედება, მესაქონლეობა

3. კოლხეთის სამეფო, მითი არგონავტების შესახებ

4. ბაგრატის ტაძარი

5. მართლმადიდებლები, კათოლიკეები, მუსლიმები

14. რესურსი

მუზეუმები

თბილისი

საქ. ეროვნული მუზეუმი. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)
საქ. ეროვნული მუზეუმი. გიორგი ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ
საქ. ეროვნული მუზეუმი. ეროვნული გალერეა
საქ. ეროვნული მუზეუმი. თბილისის არქეოლოგიური საცავი
საქ. ეროვნული მუზეუმი. საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი
გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი
შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის მუზეუმი
კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმი
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი
აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გობელენის მუზეუმი
ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი
ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუზეუმი
მირზა-ფათალი ახუნდოვის სახ. აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი
ელენე ახვლედიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეა
თინათინ თუმანიშვილის სახ. თოჯინების მუზეუმი
დენდროლოგიური მუზეუმი (ბოტანიკური ბაღი)
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკურ მეცნიერებათა ისტორიის მუზეუმი
თბილისის I საჯარო სკოლის მუზეუმი
გურამ რჩეულიშვილის მუზეუმი (თბილისის 30-ე საჯარო სკოლა)
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი
ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმი
ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი
ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა- მუზეუმი

გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური მუზეუმი
ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმი
ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი
მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი
ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი
მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი
შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილის) სახლ-მუზეუმი

კერძო მუზეუმები თბილისში

საქართველოს მინერალების მუზეუმი – თბილისი, ლესელიძის ქ. 27/1
ფოტოგრაფიის ქართული მუზეუმი – www.photomuseum.org.ge
უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი – თბილისი, დიმიტრი უზნაძის 12
აკაკი ვასაძის სახლ-მუზეუმი – თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 3
ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვის სახლ-მუზეუმი – თბილისი, მიხეილ ზანდუკელის ქ. 6 D
სოსო წერეთელის ბინა-მუზეუმი – თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 2
ანიმაციური თოჯინების მუზეუმი – თბილისი, ამაღლების ქ. 29
კინოს ისტორიის მუზეუმი – დავით აღმაშენებლის გამზ. 40 (საბავშვო კინოცენტრი „ფიფქია“)
ზურაბ ლეჟავას შემოქმედებითი მემკვიდრეობის მუზეუმი – თბილისი, ბარნოვის ქ. 73
მუხრან მაჭავარიანის სახლ- მუზეუმი – თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. 48
ნათელა იანქოშვილის ბინა-მუზეუმი – თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი 26

აჭარა

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი
აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის მუზეუმი
ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი
იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი
პეტრა-ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ახალშენის მუზეუმი
მეჯინისწყლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
შუახევის ეთნოგრაფიული მუზეუმი
სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის ციხე-მუზეუმი
კვიახიძეების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმი
შერიფ ხიმშიაშვილის სახლ–მუზეუმი
ქედის ისტორიული მუზეუმი

გურია

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი
ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრი
გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი
ნიკო მარის სახლ-მუზეუმი
მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი
ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი

იმერეთი

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა
ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
ქუთაისის სპორტის მუზეუმი
ქუთაისის დავით მხეიძის სახელობის ფოტო-კინო მატიანეს მუზეუმი
ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი
ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. ოთარ ლორთქიფანიძის სახ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი
კორნელი კეკელიძის მემორიალური მუზეუმი
ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი
გიორგი ახვლედიანის სახელობის წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმი
ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი
შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი
დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი
ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი
ალპინისტ და-ძმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი
საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი
ხონის ისტორიული მუზეუმი
პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი
ირაკლი აბაშიძის სახლ-მუზეუმი
ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
უშანგი ჩხეიძის სახლ – მუზეუმი
ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი
სოფლის ისტორიის მუზეუმი

კახეთი

თელავის ისტორიული მუზეუმი
წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი
საქ. ეროვნული მუზეუმი. სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი
გრემ-ნეკრესის მუზეუმ-ნაკრძალი
ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი
ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი
ყვარლის მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმი
ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი
გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი
ვასო გოძიაშვილის მემორიალური მუზეუმი
სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი
ვანო სარაჯიშვილის მუზეუმი
სანდრო შანშიაშვილის სახლ-მუზეუმი
სანდრო მირიანაშვილის მემორიალური მუზეუმი
ირეოდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმი
ალექსანდრე გზირიშვილის სახლ- მუზეუმი
ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი
რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი
ივანე ბერიტაშვილის მუზეუმი
იოსებ ნონეშვილის მუზეუმი
გიორგი მაისურაძის სახელობის სოფლის ისტორიის მუზეუმი
ჯონ მალხაზ შალიკაშვილის სახელობის ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი
დიდების მემორიალი-მუზეუმი
ხალხთა მეგობრობის მუზეუმი

მცხეთა-მთიანეთი

დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი
დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმი
ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი
ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი
დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
კორშას ეთნოგრაფიული მუზეუმი
მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი
ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი
ფუსტელთა სკოლა- მუზეუმი

სამეგრელო და ზემო სვანეთი

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
საქ. ეროვნული მუზეუმი. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი
გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჟიული შარტავას სახ. სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი
ხობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

წალენჯიხის ეთნოგრაფიული მუზეუმი
ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმი
ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი
მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმი
არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმი
თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმი
ჟიული შარტავას მუზეუმი
ძუკუ ლოლუას სახ. ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი
აკადემიკოს ტარასი კვარაცხელის სახლ-მუზეუმი

სამცხე_ჯავახეთი

საქ. ეროვნული მუზეუმი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი
ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ნინოწმინდის საბრძოლო დიდების მუზეუმი
ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმი
ვიქტორ ოვსეპიანის სახლ-მუზეუმი

ქვემო ქართლი

კლდეკარის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალი
საქ. ეროვნული მუზეუმი. დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმი
გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმი
ალექსანდრე მელიქ ფაშაევის სახლ-მუზეუმი
რუსთავის ისტორიული მუზეუმი

შიდა ქართლი

სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი
ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი
ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი
ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი
ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი
დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალი
ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი
გიორგი მაზნიაშვილის მუზეუმი
ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი

ელექტრონული რესურსები

www.mes.gov.ge (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)
www.tpdc.ge (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი)
www.naec.ge (გამოცდების ეროვნული ცენტრი)
www.meca.ge (აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო)
www.moecs.gov.ge (აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო)
www.moe.gov.ge (საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო)
www.heritagesites.ge (საქ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო)
www.nplg.gov.ge (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა – „საჯარო“)
www.folk.ge (საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი)
www.imsa.ge (ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია)
www.mastsavlebeli.ge (მასწავლებლის ინტერნეტგაზეთი)
www.manuscript.ge (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)
www.qim.ge (ქართველი ისტორიული მოღვაწენი)
www.istoria.ge
www.mtavari.ge (ქართული საბრძოლო ხელოვნება)
www.saunje.ge
www.orthodoxy.ge
www.alazani.ge
www.kvirike.ge
www.children.dsl.ge
www.georgianmuzeums.ge
www. sanostudio.ge
www.lib.ge
www.amsi.ge
www.davidrumsey.com (მსოფლიო ისტორიული რუკები)
www.codna.ge
www.icode.ge
www.buki.ge
www.school.ge
www.el.ge
http://www.diaspora.gov.ge/
http://www.church.ge/
http://www.geohistoryclub.blogspot.com/ (ისტორიკოსთა კლუბი)

საქართველოს დაცული ტერიტორიები

სახელმწიფო ნაკრძალი	ეროვნული პარკები	ბუნების ძეგლი	აღკვეთილი	დაცული ლანდშაფტი	გეგმარებითი
სათაფლიის	ყაზბეგის	არწივის ხეობის	თორის	თუშეთის	ცენტრალური კავკასიონი
კინტრიშის	ალგეთის	ტახტიტეფას	ჭაჭუნას	კინტრიშის	მაჭახელას
ლიახვის	თბილისის	ალაზნის ჭალის	ყორულის		ხევსურეთის
თუშეთის	ვაშლოვანის	იმერეთის მღვიმეთა	გარდაბნის		თრიალეთის
ლაგოდეხის	ბორჯომ-ხარაგაულის		ლაგოდეხის		ყაზბეგის
ვაშლოვანის	მტირალას		ილტოს		სამეგრელოს
ბაწარას	კოლხეთის		ნეძვის		მარიამჯვრის
ბაბანეურის	ჯავახეთის		კაცობურის		
მარიამჯვრის			ქობულეთის		
ბორჯომის			თეთრობის		
ქობულეთის			ქცია-ტაბაწყურის		
რიწის			კარწახის		
ფსხუ-გუმისთის			სულდის		
ბიჭვინთა-მიუსერას			მადატაფის		
			ხანჩალის		
			ბუღდაშენის		
			სათაფლიას		

ISBN 978-9941-481-25-3





დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში